

**პირადი უფლებების დაცვა
სანიჰტო და
პალდაულებითი
სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

პირადი უფლებების დაცვა

ბანჩინება

№ას-1559-1462-2012

9 იანვარი, 2014 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კ-ის მიმართ 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით ნ. ა-ის შესახებ გავრცელებული პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2011 წლის 20 დეკემბერს გ. კ-მა სოციალურ ქსელის „ფეისბუქის“ მეშვეობით გაავრცელა ნ. ა-ის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები, კერძოდ, მან ნ. ა-ს ბრალი დასდო მისი ყოფილი მეუღლის, დ. კ-ის განზრახ მკვლელობაში. მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნ. ა-მა მოწამლული მწვადი დაუტოვა დ. კ-ს, თანაც შვილებს დაავალა მამისთვის ეთხოვათ, რომ აუცილებლად ეჭამა დედის მიერ დატოვებული მონამლული ხორცი. 2012 წლის 28 იანვარს გ. კ-მა სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2009 წლის 25 აპრილს ნ. ა-ის მიერ დაქირავებული ი. დ-ე შეეცადაც მოეკლა გ. კ-ი და მისი ფეხმძიმე მეუღლე ე. გ-ი, რის შედეგადაც ორივე დაინვალიდა. თავდასხმის შემკვეთი იყო ნ. ა-ი საყვარელ ვ. ო-ან ერთად.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის მოთხოვნა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე ხანდაზმულია. ინფორმაცია, რომელსაც მოსარჩელე პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევს, პირველად გამოქვეყნდა 2009 წელს და არა 2011-2012 წლებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე გ. კ-ს დაევალა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ 2011 წლის 12 დეკემბრს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს ნ. ა-ის მიმართ ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ამავე ქსელში, შემდეგი სახით: „თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/1878-12 დაკმაყოფილდა მოსარჩელე ნ. ა-ის სარჩელი მოპასუხე გ. კ-ის მიმართ 2011 წლის 12 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელებული ცნობები მიჩნეულ იქნა ცილისმამებად, ნ. ა-ის ზიანის მიმყენებელ და სახელის გამტეხ ქმედებად.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით, 2011 წლის 20 დეკემბერს გ. კ-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ნ. ა-მა 2007 წლის 2 ივლისს დილით მონამღვლი მწვადები დაუტოვა თავისი შვილების მამას, დ. კ-ს და ბავშვები გააფრთხილა, რომ ეს ხორცი მათ არ ეჭამათ. დ. დილის 10:00 საათზე მივიდა ნ. ა-ან სახლში, სამზარეულოში რომ შევიდა, შვილებმა უთხრეს: დედამ ღორის მწვადები დაგიტოვა და აბა, შენ იცი, დედას არ აწყენინო და ჭამეო. დ. შვილებსაც უთხრა: – დამიჯექით და ერთად ვჭამოთო. ნ. უპასუხა: მამა ხო იცი, მე ჭამა არ მინდა და ისედაც მარხვაზე ვარ, დ. ლ-გ. დაპატიჟა საქმელად, რაზედაც მას დედისთვის მიცემული პირობის გამო უთქვამს უარი. დ. მარტო ჭამა ის მწვადი. ნ. საღამოს 6 საათისთვის დაბრუნდა სახლში, მაშინვე სახლში შევიდა, ტაფა ცარიელი რომ ნახა, გახარებია, ერთი რაც უკითხავს ბიჭისთვის: სიმართლე მითხარი, შენ ერთი ნაჭერი მაინც ხომ არ გიჭამია ამ ტაფიდანო? და არ გაბედო ჩემი მოტყუებაო. ეს ყველაფერი თვითონ ნ. და ლ-გ. მოგვიყვანენ ვახშობისას 2007 წლის 13 სექტემბერს საღამოს 10:00 საათისთვის, დედამისიც, ნ. ა-იც სუფრაზე იჯდა ჩვენთან ერთად და მანაც დაადასტურა“. სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ მეშვეობით 2012 წლის 11 იანვარს გ. კ-ის მიერ გავრცელდა ინფორმაცია იმის თა-

ობაზე, რომ „2009 წლის 25 აპრილს დაყაჩაღების საქმეზე 30 წლის დაპატიმრებული ი. ნ. ძე დ-ე, მან არ აღიარა, რომ ეს საშინელება გ. კ-ის რძლის ნ. გ. ასული ა-ის და მისი საყვერლის, ვ. ვ. ძე ო-ას დავალებული იყო, რომ გ. კ-ის პირად ქონებას (5-7 მილიონ დოლარს) დაპატრონებოდნენ. რძალმა და მისმა საყვარელმა ვ. წინასწარ მისცეს 20 000 დოლარი და ნახევარ მილიონ დოლარს დაპირდნენ 6 თვის გასვლის შემდეგ, როცა გ. კ-ის ქონება ნ. ა-ის ხელში გადავიდოდა“. სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ მეშვეობით, 2012 წლის 28 იანვარს გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „2009 წლის 25 აპრილს დაყაჩაღების გათამაშებით გ. კ-ის რძლის ნ. ა-ან დაქირავებულმა „არაკაცმა“ ი. დ-ემ 20 000 დოლარად სასიკვდილოდ გამიმეტა გ. კ-ი და ექვსთვენახევრის ორსული მეუღლე ე-გ-ი“

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ. იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 144-ე მუხლებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაცია გამოქვეყნდა სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ მეშვეობით 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს, ხოლო ნ. ა-ის მიერ სარჩელი შემოტანილი იქნა 2012 წლის 20 თებერვალს. შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2009 წლიდან, რადგანაც ინფორმაცია, რომელსაც მოსარჩელე „პატივისა და ღირსების შემლახველად“ მიიჩნევდა, პირველად გავრცელდა 2009 წელს და არა – 2011-2012 წლებში, რის დასადასტურებლადაც აპელანტმა მიუთითა 2009 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის ოქმებსა და ამონაბეჭდებზე ქართული პრესის ელექტრონული არქივიდან და ჟურნალ „გზაში“ 2009 წლის 12 ნოემბერს გამოქვეყნებული მასალის ასლებზე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ ნ. ა-ს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ შეეტანა სარჩელი გ. კ-ის მიმართ ვერსიების სახით გამოთქმულ განცხადებებზე,

ვინაიდან ეს განცხადებები პირველ რიგში გამოითქმებოდა ვერსიების სახით და მეორე – აღნიშნული განცხადებების სისწორეს განიხილავდნენ სამართალდამცავი ორგანოები. სიხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის შემდეგ, როდესაც დადგინდა, რომ ნ. ა-ს არ ჰქონია რაიმე სახის შემხებლობა ჩადენილ დანაშაულთან, გ. კ-მა, ახლა უკვე სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საშუალებით განათავსა მტკიცებითი ხასიათის განცხადებები, რაც გახდა 2012 წლის 20 თებერვალს პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფის შესახებ ნ. ა-ის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება სასამართლოს მიერ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის გამოუყენებლობასთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას იმ განცხადებისაგან, რომელიც გაკეთებულია წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზრი დატულია აბსოლუტური პრივილეგიით. ამავე კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, ხოლო ამავე მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, აბსოლუტური პრივილეგია ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო განთავისუფლებას.

გამომდინარე იქიდან, რომ გ. კ-ის მიერ სოციალური ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა მტკიცებითი ხასიათის მატარებელ განცხადებას – ფაქტს და იგი არ იყო იმ ვერსიების (აზრის) გაგრძელება, რომელსაც გ. კ-ი გამოთქვამდა წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე ანდა პრესაში მისი ძმის დ. კ-ის სიხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ სადავო განცხადებები არ მიიჩნია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებულ ქმედებად.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა აპელანტის განმარტებას იმის შესახებ, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ფაქტების მცდარობის მტკიცების ტვირთს აკისრებს მოსარჩელეს, მაგრამ ამავე დროს არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება, პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით 2011 წლის 20 დეკემბრს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს გავრცელებული ფაქტების სისწორეს, დადასტურებოდა მხოლოდ ნ. ა-ის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს გავრცელებული ფაქტების მცდარობა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართებულად იქნა მიჩნეული დადგენილად, რომ გავრცელებული ფაქტები საზოგადოებაში აღქმულ იქნა რეალურად, მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ აღნიშნული განცხადების გავრცელებას მოჰყვა მისი რეპუტაციის დისკრედიტაცია, კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ნ. ა-ი მუშაობდა პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში, მეცნიერ-მუშაკად კვლევის ინსტიტუტში, გავრცელებული ინფორმაციის გამო, სამსახურში შეიქმნა არაჯანსაღი დამოკიდებულება მის მიმართ, სტუდენტებში დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ის იყო მსუბუქი ყოფაცქევის, მკველელი, რასაც ა-მა ორი კვირა გაუძლო, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნა წასულიყო სამსახურიდან, ე. ი. კ-ის მიერ გავრცელებული განცხადებებით ნ. ა-ი საზოგადოებაში უარყოფითი კუთხით წარმოჩინდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ნ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა გ. კ-ის მიმართ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით გავრცელებული პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფის შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო, მოპასუხეს უნდა დავალებოდა იმავე სოციალური ქსელის მეშვეობით ნ. ა-ის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმეზე ახალი

გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, არასწორად განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რითაც, მისი მოსაზრებით, დაერღვა აზრის ქონისა და გამოხატვის თავისუფლება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული პრეცედენტული სამართლის ნორმები და პრაქტიკა, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც გამოხატვის თავისუფლების გარდა, მოსაზრების ქონის თავისუფლებასაც გულისხმობს. სასამართლომ უგულვებელყო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი, რადგან სადავო გამონათქვამების ფაქტებად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, ამ ფაქტების მცდარობის ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რაც მან ვერ დაადასტურა.

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც, პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს, გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის ამავე საშუალებებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით გ. კ-მა გაავრცელა სამი შეტყობინება:

1. 2011 წლის 20 დეკემბრის სტატუსი: „ნ. ა-მა 2007 წლის 2 ივლისს დილით მონამღვლი მწვადები დაუტოვა თავის შვილების მამას, დ. კ-ს და ბავშვები გააფრთხილა, რომ ეს ხორცი მათ არ ეჭამათ. დ. დილის 10:00 საათზე მივიდა ნ. ა-ან სახლში, სამზარეულოში რომ შევიდა შვილებმა უთხრეს: დედამ ღორის მწვადები დაგიტოვა და აბა, შენ იცი, დედას არ აწყენინო და ჭამეო. დ. კ-მ შვილებსაც უთხრა: – დამიჯექით და ერთად ვჭამოთო. ნ. უპასუხა: მამა ხო იცი, მე ჭამა არ მინდა და ისედაც

მარხვაზე ვარ, დ. კ-მ ლ-გ. დაპატიჟა საქმელად, რაზედაც მას დედსითვის მიცემული პირობის გამო უთქვამს უარი. დ. მარტო ჭამა ის მწვადი. ნ. სალამოს 6 საათისთვის დაბრუნდა სახლში, მაშინვე სახლში შევიდა, ტაფა ცარიელი რომ ნახა, გახარებია, ერთი რაც უკითხავს ბიჭისთვის: სიმართლე მითხარი, შენ ერთი ნაჭერი მაინც ხომ არ გიჭამია ამ ტაფიდანო? და არ გაბედო ჩემი მოტყუებო. ეს ყველაფერი თვითონ ნ. და ლ-გ. მოგვიყვენ ვახშობისას 2007 წლის 13 სექტემბერს სალამოს 10:00 საათისთვის, დედამისიც, ნ. ა-იც სუფრაზე იჯდა ჩვენთან ერთად და მანაც დაადასტურა“;

2. 2012 წლის 11 იანვარს დაინერა, რომ „2009 წლის 25 აპრილს დაყარალების საქმეზე 30 წლით დაპატიმრებულია ი. ნ. ძე დ-ე, მან არ აღიარა, რომ ეს საშინელება გ. კ-ის რძლის ნ. გ. ასული ა-ის და მისი საყვარლის, ვ. ვ. ძე ო-ას დავალებული იყო, რომ გ. კ-ის პირად ქონებას (5-7 მილიონ დოლარს) დაპატრონებოდნენ რძალმა და მისმა საყვარელმა ვ. წინასწარ მისცეს 20 000 დოლარი და ნახევარ მილიონ დოლარს დაპირდნენ 6 თვის გასვლის შემდეგ, როცა გ. კ-ის ქონება ნ. ა-ის ხელში გადავიდოდა“;

3. 2012 წლის 28 იანვარს გავრცელდა შემდეგი შეტყობინება: „2009 წლის 25 აპრილს დაყარალების გათამაშებით გ. კ-ის რძლის ნ. ა-ან დაქიარავებულმა „არაკაცმა“ ი. დ-ემ 20 000 დოლარად სასიკვდილოდ გამიმეტა გ. კ-ი და ექვს თვენახევრის ორსული მეუღლე ე-გ-ი.“

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. კ-ს ზემოაღნიშნული გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ ნ. ა-ის სარჩელი ხანდაზმული იყო, რადგანაც სადავო ინფორმაცია გ. კ-მა ჯერ კიდევ 2009 წელს გაავრცელა, რასაც ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის ოქმები და ჟურნალ „გზის“ 2009 წლის 12 ნოემბრის ნომერი.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის“ მე-19 მუხლის თანახმად, ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა

განცხადებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა პირთან დაკავშირებით ინფორმაცია არაერთგზის ვრცელდება, მოსარჩელის სუბიექტური შეფასების საგანია, რომელ მათგანს მიიჩნევს დიფამაციურად და სადავოდ გახდის. სწორედ ამ სადავო განცხადების მიმართ უნდა აითვალოს ხანდაზმულობის ვადა. მოცემულ შემთხვევაში, ნ. ა-ს სარჩელი არ აღუძრავს გ. კ-ის მიერ 2009 წელს გაკეთებულ განცხადებებზე, არამედ, სადავოდ გახადა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული სამი ჩანაწერი, რომელთა მიმართაც ხანდაზმულობის ვადა ამოწურული არ არის. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ნ. ა-ს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, სადავოდ გაეხადა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების პროცესში გ. კ-ის მიერ გამოთქმული ვერსიები.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ, ვინაიდან სადავო განცხადებები გამოქვეყნდა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით, იგი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ გ. კ-ის მიერ დამეგობრებული პირებისათვის და საჯაროდ არ გავრცელებულა, რაც სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა.

გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ. „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბ-

ბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს.

გ. კ-ი თავის საკასაციო საჩივარში მიუთითებს გამოხატვის თავისუფლების დიდ მნიშვნელობაზე, ციტირებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე ცნობილი გადაწყვეტილება გამოხატვის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამასთან, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მისი შეზღუდვა დასაშვებია კანონიერი საფუძვლის არსებობისას, ისეთ პირობებში, როდესაც მას ცალკეული პირის თუ პირთა ჯგუფის კანონიერი ინტერესები უპირისპირდება.

კასატორი მართებულად აღნიშნავს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებულადაა დაცული საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო აქტებით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თუმცა საყურადღებოა, რომ მის მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილი გადაწყვეტილებები შეეხება პრესის თავისუფლების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებულ განმარტებებს, რასაც მოცემული დავის განხილვისას მნიშვნელობა ვერ ექნება.

გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე უფლებას აერთიანებს და განსხვავებული დაცვის სფეროები გააჩნია, კერძოდ, განსხვავებულია მიდგომა, როდესაც საქმე ეხება მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას, როდესაც სასამართლო ვალდებულია, გადაწყვეტილება კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვის პირობებში მიიღოს. ასევე განსხვავებულია დაცვის სტანდარტი, როდესაც საუბარია საჯარო პირის მიმართ ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელსაც საზოგადოებრივი თუ თანამდებობრივი

მდგომარეობიდან გამომდინარე, თმენის მომეტებული ვალდებულება ეკისრება, მაგრამ, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ამ შემთხვევაში, საუბარია კერძო პირის მიერ სხვა კერძო პირის შესახებ განცხადების გავრცელებაზე, შესაბამისად, მტკიცება, რომ ნ. ა-ს რაიმე თმენის ვალდებულება გააჩნდა, უსაფუძვლოა.

ის გარემოება, რომ დაცვის სტანდარტი განსხვავებულია კერძო პირის შემთხვევაში, ნათლად ჩანს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4 თავიდან, რომელიც ცილისწამებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხს აწესრიგებს, კერძოდ, მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა. ანუ, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, განსხვავებით იმავე კანონის მე-14 მუხლისაგან, როდესაც კერძო პირის მიმართ ცილისწამებლური ინფორმაციის გავრცელებას ეხება საქმე, მოსარჩელეს მხოლოდ ორი გარემოების მტკიცების ვალდებულება ეკისრება: 1) მცდარი ფაქტების გავრცელების და 2) ამგვარი ინფორმაციის გავრცელების შედეგად მისთვის ზიანის მიყენების.

მოცემულ საქმეზე გ. კ-ის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, უპირისპირდება ნ. ა-ის რეპუტაციის უფლება, რომელიც აღიარებული და დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიკალური რეპრესიების, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ნებსებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთე-

ლობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცების ტვირთი და მას მოსთხოვა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტების დადასტურება. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, დადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა. მოცემულ შემთხვევაში, გ. კ-ის მიერ გავრცელებული განცხადებების თანახმად, ნ. ა-მა ერთი დანაშაული ჩაიდინა და მეორე დანაშაულის დამკვეთი იყო. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ ფაქტების ჭეშმარიტების დადასტურება ერთადერთი მტკიცებულებით – სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა შესაძლებელი. შეუძლებელია, თუნდაც სამოქალაქო საქმეზე, პირს იმის მტკიცება მოეთხოვებოდეს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და, ამდენად, ამ ინფორმაციის შემცველი განცხადება ცილისმწამებლურია. ამგვარი განმარტება სრულად ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ გ. კ-ის განცხადებების თანახმად, მან ნ. ა-ის მიერ დ. კ-ის მონამვლის შესახებ მათი შვილებისაგან გაიგო. საქმეზე მონმედ დაკითხული ნ. კ-ი და ლ-გ. კ-ი უარყოფენ მსგავსი საუბრის ფაქტს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეუძლებელია საუბარი, რომ ნ. ა-მა ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ სადავო განცხადებები წარმოადგენდა მის მოსაზრებას, აზრი კი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

კასატორი მართებულად აღნიშნავს, რომ აზრის თავისუფლება უპირობადაა დაცული საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო აქტებით, კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფ-

ლებას, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სადავო განცხადებების შინაარსზე. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, ანუ, აზრი უნდა შეიცავდეს მსჯელობა-შეფასების ელემენტებს, ამა თუ იმ საკითხისადმი პირის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატველ ფორმულირებას. სადავო განცხადებები კი, ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მკითხველზე დადასტურებული ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს, ყოველგვარი მსჯელობისა და იმაზე მინიშნების გარეშე, რომ ეს მხოლოდ გ. კ-ის მოსაზრებაა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ ნ. ა-მა ვერ დაადასტურა გ. კ-ის მიერ გავრცელებული განცხადებების შედეგად ზიანის მიყენების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საქმეზე მოწმედ დაკითხული ი. ც-ის განმარტებით, ნ. ა-ი მუშაობდა მეცნიერ-მუშაკად რუსეთის კვლევების ინსტიტუტში. სადავო განცხადებების გავრცელების შემდეგ, სამსახურში გაჩნდა არაჯანსაღი დამოკიდებულება, დაიწყო მითქმა-მოთქმა. გამოვლინდა სტუდენტების ნეგატიური განწყობა, იშლებოდა ლექციები. მოსარჩელის მიმართ ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ტერორი, რომელსაც ნ. ა-მა ორი კვირის განმავლობაში გაუძლო და შემდეგ სამსახური დატოვა. ამ გარემოებების საპირისპირო მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ არის, ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო განცხადებები საზოგადოებაში აღქმულ იქნა რეალურად. აღნიშნული განცხადების გავრცელებას მოჰყვა მოსარჩელის რეპუტაციის შელახვა და დისკრედიტაცია, რაც საკმარისი საფუძველია სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერი, დასაბუთებულია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

განჩინება

№ას-179-172-2012

1 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჯ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ვ. მ-ის მიმართ მორალური ზიანის – 3400 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით, შემდეგ საფუძველებზე მითითებით:

ვ. მ-მ 2001-2002 წლებში თაღლითურად მიითვისა გ. ჯ-ის კუთვნილი 400 გრძივი მეტრი 1/2 და 3/4 დიუმიანი შავი ლითონის წყლის მილი, აღნიშნულთან დაკავშირებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ვ.მ-ს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 400 გრძივი მეტრი 1/2 და 3/4 დიუმიანი შავი ლითონის წყლის მილის ან მისი საბაზრო ღირებულების ეკვივალენტი თანხის დაბრუნება. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის სექტემბერში, აღსრულებული არ არის. 2007 წლის ოქტომბერში გ.ჯ-მა მი-

მართა სააღსრულებლო ბიუროს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, მაგრამ მას უარი ეთქვა ვ.მ-ის მიერ გ.ჯ-ის მიმართ პროკურატურაში შეტანილი საჩივრისა და ამ საჩივრის თაობაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო. მოპასუხის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველზე, გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა ერთჯერადად, 3 თვის შემდეგ, გ.ჯ-მა განმეორებით მიმართა სააღსრულებლო ბიუროს, რომელმაც ისევ უარი განაცხადა აღსრულებაზე მოპასუხის ახალი მოთხოვნის გამო, გადაწყვეტილების დაზუსტებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მან მოითხოვა განმარტება იმის შესახებ, მილი ლითონის იყო, თუ პლასტმასის. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით განმარტა, რომ წყლის მილებში იგულისხმებოდა ლითონის მილები. აღსანიშნავია, რომ ამავე სასამართლო სხდომაზე ვ.მ-მ ორჯერ განაცხადა, რომ მას საერთოდ არ სჭირდებოდა სააღსრულებლო ფურცელი, რადგანაც იგი აპირებდა მოსარჩელის მეუღლისათვის ეჩუქებინა აუდიტის დასკვნაში მითითებული თანხა. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირდა აღნიშნული დაპირება, მოსარჩელეს სააღსრულებლო ბიუროში განუმარტეს, რომ მას აღარ სჭირდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება და ზედმეტად, მომსახურების საფასურის – 100 ლარის გადახდა. გ.ჯ-მა გაითვალისწინა რა მოცემული რჩევა, ენდო ვ.მ-ის დაპირებას, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა და არანაირ ჩუქებას არ ჰქონია ადგილი. 2010 წლის ივნისში, მოსარჩელემ კვლავ მიმართა სააღსრულებლო ბიუროს, ხოლო ვ.მ-მ უსაფუძვლო განცხადებით, უკვე ახალი განმარტებები მოითხოვა, კერძოდ, თუ რა სახეობის იყო ლითონის მილი, ასევე რამდენი მილი იყო 1/2 და რამდენი 3/4 დიუმიანი. სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი არ იყო ბუნდოვანი, ხოლო ის საკითხი, რომლის განმარტებაც მოპასუხემ მოითხოვა, არ ექვემდებარებოდა განმარტებით გადასაწყვეტ საკითხს. ვ.მ-მ, სასამართლო სხდომაზე აღიარა, რომ მილი მისცა მეზობელს, შესაბამისად, მან იცის რა სახეობის მილი გასცა. გ.ჯ-ი თანახმაა, მიიღოს 400 გრძივი მეტრი, იმ სახეობისა და ტექნოლოგიური შემადგენლობის (ან ნებისმიერი სახეობის) ლითონის მილი, როგორც მოპასუხემ გადასცა მეზობელს. ვ.მ-მ 2010 წლის 23 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ, თუ სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებაში მითითებული იქნებოდა მილების ზომითი პროპორციულობა მათი ხარისხის, ფასისა და სახეობის მიხედვით, ის აუცილებლად აღასრუ-

ლებდა სასამართლო გადაწყვეტილებას, მაგრამ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ფაქტები არ არის ასახული სასამართლო გადაწყვეტილებაში, იგი არ ექვემდებარება აღსრულებას. მოპასუხე 2007 წლის 5 მარტის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ერთადერთ პრობლემად მიიჩნევს, არა ლითონის მილის საერთო მეტრაჟს (400 გრძ.მ), არამედ იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული ლითონის სახეობა – 1/2 და 3/4 დიუმისანი მილის ოდენობა გრძივ მეტრებში. მოსარჩელე თანახმაა, მიიღოს ნებისმიერი სახეობის ლითონის მილი, დიამეტრი – 1/2 და 3/4 დიუმის ნებისმიერი რაოდენობრივი პროპორციით. მოპასუხის ქმედებით სისტემატურად ილახება მოსარჩელის პატივი და ღირსება, კერძოდ, ამ უკანასკნელს ბრალს სდებს სიყალბესა და ფალსიფიკაციაში, მოითხოვდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ექსპერტიზას, თუმცა ექსპერტიზამ ვერც ერთხელ დაადგინა სიყალბე და ფალსიფიკაცია. ვ.მ-მ მიმართა პროკურატურას გ.ჯ-ის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოთხოვნით, რის საფუძველზეც, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიაყენა სოლიდური მორალური და მატერიალური ზიანი, რამაც მინიმუმ 6000 ლარზე მეტი შეადგინა, საიდანაც მატერიალური ზიანის ოდენობაა 4600 ლარი (მილის ღირებულების – 1600 ლარიდან თვითური 3%-ის სარგებელი, რასაც მიიღებდა მოსარჩელე 2002 წლიდან მოყოლებული 8 წლის განმავლობაში), ხოლო მორალურმა ზარალმა, სულ მცირე, 10000 ლარი, ანუ საერთო ზიანმა 12000 ლარი შეადგინა, საბოლოოდ მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 3400 ლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით გ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 17 აპრილს შედგენილ სააპელაციო საჩივარში ვ. მ-მ აღნიშნა „...ის მორიგი თაღლითობა იყო ჯ-ისა. მან გაუკეთა ფალსიფიკაცია მტკიცებულებას...“ „...ჯ-მა, რომ დაემტკიცებია ის რაც სასამართლოში არ ყოფილა, მოახდინა მტკიცებულებათა ფალსი-

ფიკაცია, თვითონ დანერა ვითომ მიზარების ხელშეკრულება და მასზე ჩემი ხელმოწერა დაამონტაჟა ქსეროქსის მეშვეობით...“ 2007 წლის 4 მაისს შედგენილ შესაგებელში ვ.მ-მ აღნიშნა „...სრული სიცრუეა გ.ჯ-ის სააპელაციო საჩივარში (და არა მარტო ამ საჩივარში) მოყვანილი ფაქტები, თითქოს არარსებული ჩემი ხელწერილის დედანი ჩააბარა სასამართლოს...“ „...ვითომდა მისი კუთვნილი ავტოფარეხის რალაც ამონაწერზე ან გარდაცვლილი პოლკოვნიკ ი. ჩ-ის ხელმოწერა დაამონტაჟა (არც ამ დოკუმენტის არსებობა იყო შესაძლებელი)...“ „...გ. ჯ-ის მხრიდან ჩემს მიმართ (დანყებული 2002 წლიდან) ყველა საჩივარი (ვითომდა მისი კუთვნილი ავტოფარეხის გასხვისების ან მიღების და „არმატურის“ მითვისება-განკარგვა) არის მიმართული ჩემგან თანხის გამოძალვის მიზნით...“ 2007 წლის 18 ოქტომბერს ქ.ქუთაისის პროკურატურაში წარდგენილ განცხადებაში ვ.მ-მ აღნიშნა „...გ. ჯ-მა ჩემი დაშანტაჟება და დევნა დაიწყო 2002 წლის დასაწყისში, როცა მას მე უარი უთხარი 3000 აშშ დოლარის სესხებაზე...“ „...სიყალბე დასტურდებოდა ორი ფაქტორით...“ „...პოლიციელების მოტყუებისა და დოკუმენტის გაყალბების შემდეგ გ. ჯ-მა ქალაქის პროკურატურას მოსთხოვა ამ პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის საქმის აღძვრა...“ „...ამ შემთხვევაშიც მან თაღლითური გზით შექმნა მიღება-ჩაბარების ყალბი დოკუმენტი ქსეროასლის სახით...“ „...მან კვლავ გამოიყენა დამონტაჟებული ყალბი ქსეროასლი... სასამართლოს შეცდომაში შეყვანის შემდეგ გამყალბებელმა გ. ჯ-მა, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, საჩივრები შეიტანა პროკურატურაში მოსამართლე ი. ლ-სა და მის თანაშემწე თ. ქ-ს წინააღმდეგ და პროკურატურის მიერ გატარებული იქნა შესაბამისი ზომები...“ გ. ქ-ისადმი გაგზავნილ განცხადებაში ვ.მ-მ აღნიშნა „...აღნიშნული გარემოება გაცნობიერებული აქვს თვით მოდავე მხარესაც და ამიტომაც, რომ იგი დაჟინებით ცდილობს გამოსძალოს სასამართლოს მისთვის ხელსაყრელი, უკანონო განმარტება...“ გ. ქ-ისადმი გაგზავნილ წერილში ვ.მ-მ აღნიშნა „...დავის საგანი (ლითონის მიღების სახით) ბუნებაში არ არსებობს. იგი მოდავე მხარის მოგონილია...“ 2010 წლის 30 ნოემბერს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში წარდგენილ განცხადებაში ვ.მ-მ აღნიშნა „...გ. ჯ-მა, თავისი დაუსრულებელი საჩივრებითა და განცხადებებით მობინადრეებს დაგვირღვია სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების ნორმალური რიტმი...“ „...ამის შესანიღბად გამოიმუშავებული აქვს რეალობის კონტექსტიდან ფაქტების ფრაგმენტულად ამოგლეჯის, მათი თაღლითურად ჩახლართვისა და დემაგოგიური გზით (და თანაც კანონის სახელით) სინამდვილედ გა-

სადების პროფესიული ხელნერა. მისი ილუზიების დამაბნეველი ხლართების მსხვერპლი არაერთგზის გამხდარა ავტორიტეტული უწყების (პოლიცია, სასამართლო) ცალკეული წარმომადგენელი, რაც კეთილი ნების სირცხვილად მიგვაჩნია...“ „...არც ერთი ზემოთ აღნიშნული საქმე არ გახლავთ გ.ჯ-ისათვის მთავარი, ის უმნიშვნელო ხელმოსათბობი, ფრაგმენტული ეპიზოდებია უფრო შორს მიმავალი და უფრო მასშტაბური ავანტურის განსახორციელებლად, რომელიც გამოიხატება მის მიერ ათწლეულის წინ გაყიდული საცხოვრებელი ბინის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ბინის დაბრუნებაში, რომლისთვისაც წლებია ნიადაგს ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებს...“ „...გთხოვთ, დაგვიცვათ ყალბისმქმნელისა და თაღლითისაგან, რომლის დაუსჯელობით პიკს მიღწეულმა თავხედობამ ყოველგვარ ზღურბლს გადააბიჯა...“ ზემოხსენებულ განცხადებებს გ.ჯ-ი მიიჩნევს მისი პატივისა და ღირსების შემლახველად და ითხოვს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. პალატამ იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“, „კ“ ქვეპუნქტებით და ჩათვალა, რომ მოსარჩელე არ არის „სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი, ასევე პირი, რომლის გადანყვეტილება და აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მისკენ, მისი გარკვეული ქმედების შედეგად, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოების ინტერესი იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან, შესაბამისად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, იგი კერძო პირია. ამავე კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-13 მუხლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სასამართლომ განმარტა შემდეგი: იმისთვის, რომ დადგეს პასუხისმგებლობა ცილისწამების გამო, აუცილებელია: 1. სადავო განცხადება იყოს ფაქტების შემცველი; 2. უნდა იყოს დამაჯერებელი, ისეთი, რომ ადამიანმა, რომელიც სრულყოფილად არ იცნობს საქმის ვითარებას, სარწმუნოდ მიიჩნიოს იგი; 3. უნდა იყოს შეურაცხყოფელი; 4. განცხადებაში უნდა ხდებოდეს პირის „იდენტიფიცირება“, თან არ არის აუცილებელი, პირდაპირ იყოს დასახელებული ის პირი, რომლის შესახებაც კეთდება განცხადება, საკმარისია, რომ ადამიანთა ჯგუფისათვის სავსებით ნათელი იყოს და, ზო-

გადად, ექვს არ იწვევდეს, თუ ვის ეხება იგი; 5. ცხადია, განცხადებაში მითითებული ფაქტები უნდა იყოს სიცრუე და 6. აღნიშნული, განცხადებაში მითითებულ პირს, უნდა აყენებდეს ზიანს. პალატამ მიუთითა 2007 წლის 17 აპრილს შედგენილ სააპელაციო საჩივარში, 2007 წლის 4 მაისის შესაგებელსა და 2007 წლის 18 ოქტომბრის განცხადებაში გაკეთებულ ვ. მ-ის განმარტებაზე და ჩათვალა, რომ მან ბრალი დასდო აპელანტს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ეს განცხადებები იყო ფაქტების შემცველი, დამაჯერებელი, შეურაცხმყოფელი, შეეხო უშუალოდ აპელანტს და მიაყენა მას ზიანი. მართალია, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, მაგრამ, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებაში (საქმეზე №ას-268-591-09) განმარტა: „განსახილველი ნორმა ეხება წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე პირის მიერ გაკეთებულ არა ნებისმიერ განცხადებას, არამედ ისეთ განცხადებას, რომელიც გაკეთებულია თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, რაც უშუალოდ უკავშირდება მისი, როგორც პროცესუალური მხარის უფლებამოსილებას“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია მიუთითოს წარმოდგენილი საბუთის სიყალბეზე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია, დაუსაბუთებლად, მტკიცებითი ფორმით დასდოს ბრალი მოწინააღმდეგე მხარეს დანაშაულის ჩადენაში. ასეთი ბრალდება არ უკავშირდება პირის, როგორც პროცესუალური მხარის, უფლებამოსილებას, შესაბამისად, ვალერი მანჯგალაძე არ სარგებლობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრივილეგიით, აქედან გამომდინარე, თუ არ დამტკიცდება სადავო განცხადებებში მითითებული ფაქტები, ვ. მ-მ, შესაძლებელია, პასუხი აგოს ცილისწამების გამო. ამავდროულად, სასამართლოს მოსაზრებით, სადავო განცხადებებში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და იგი ჯერ არ დასრულებულა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რადგან ვ. მ-ის მიერ მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, ის გარემოება, ჩაიდინა თუ არა აპელანტმა დანაშაული, უნდა დადასტურდეს სისხლის სამართლის

საქმეზე მიღებული შემაჯამებელი აქტით. ამგვარი აქტი კი, საქმეში წარმოდგენილი არ არის. პალატამ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აპელანტის მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია, ამავდროულად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს სხდომაზე ვ. მ-მ მიუთითა, რომ სადავო ინფორმაცია გავრცელდა „დღეს კი არა 3 წლის წინ“ ჩათვალა, რომ მოპასუხემ მიუთითა ფაქტზე, რომლის სამართლებრივი შეფასებითაც შესაძლებელია, დადგინდეს სარჩელის ხანდაზმულობა. დადასტურებულია, რომ აპელანტისათვის ზემოხსენებული განცხადებების თაობაზე ცნობილი იყო მათი გავრცელების დროიდანვე. ამ პერიოდიდან სარჩელის აღძვრამდე კი ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული 100-დღიანი ხანდაზმულობის ვადა გასულია და აპელანტის მოთხოვნა ხანდაზმულიცაა. სხვა სადავო განცხადებებით ვ. მ-ს არ გაუვრცელებია აპელანტის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები. ამ განცხადებებით ვ. მ-მ არსებითად შეაფასა აპელანტის მოქმედებები და გამოხატა თავისი დამოკიდებულება აპელანტის მიმართ, შესაბამისად, ეს განცხადება არ შეიძლება, ჩაითვალოს ცილისწამებად. ამასთანავე, მიუხედავად განცხადებების შეურაცხმყოფელი ტონისა, ისინი არ შეიცავენ დადასტურებად ან უარყოფად ფაქტებს. ამდენად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სადავო განმარტებებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლების გამო:

გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია სამართლის ნორმები, რადგანაც პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლე, მართალია, მიუთითებს ცალკეულ კანონებზე (საქალაქო კოდექსის პირველი, მე-2, მე-6, მე-18, 316-ე, 317-ე და 413-ე მუხლებზე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველსა და მე-13 მუხლებზე), მაგრამ პრაქტიკულად მხოლოდ მათი განმარტებით შემოიფარგლა და ისინი არ დაუკავშირა არც სასარჩელო მოთ-

ხოვნას და არც მონინალმდევე მხარის მიერ წარმოდგენილ სა-აპელაციო შესაგებელსა თუ საჩივრებს. სასამართლომ არ მიუთითა, თუ რაში გამოიხატება სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობისა და მართლზომიერების კანონისმიერი ვალდებულებების ფარგლები. სააპელაციო სასამართლომ ვრცლად მიმოიხილა ფაქტები და გარემოებები, სათანადოდ დაუკავშირა ისინი სასარჩელო და სააპელაციო მოთხოვნებს, შესაბამისი დასკვნებიც გააკეთა, პრაქტიკულად დაეთანხმა და დაადასტურა აპელანტის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, თუმცა საბოლოოდ მიიღო საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. პალატამ ასევე მიუთითა, რომ სადავო განცხადებაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც არ არის დასრულებული. ვინაიდან სასამართლო არ აკონკრეტებს აღნიშნული მოსაზრების ზუსტ არსს, იგი შეიძლება ორაზროვნად იქნას გაგებული, რაც ეწინააღმდეგება განჩინებაში მოყვანილ მსჯელობასა და უდანაშაულობის პრეზუმციას, იწვევს გაუგებრობასა და ბუნდოვანებას. მოპასუხე შესაგებელში აღნიშნავს: „თუ მოსარჩელე პატივისა და ღირსების შელახვად ჩემს მიერ პროკურატურის ორგანოებში მისი სიყალბის მამხილებელი განცხადებების შეტანას მიიჩნევს, იგი მოტივირებულია არა გ.ჯ-ის პატივისა და ღირსების ხელყოფით, არამედ ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე მისთვის კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით“. გ.ჯ-ის განმარტებით, „საკითხის ამგვარად დაყენებაში, გარდა თანხის გამოძალვის ბრალდებისა, მე მთლიანად ვეთანხმები მონინალმდევე მხარეს, რადგან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას მის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში შეტანილ განცხადება-საჩივრებში ბრალდებების სახით დაფიქსირებული ფაქტები მიაჩნია სწორად და საფუძვლიანად, მაგრამ შეიძლება მოპასუხეს ეს ასე მიაჩნდეს მანამ, სანამ სამართლებრივად არ იქნება უარყოფილი მისი ბრალდებები, ხოლო მოსარჩელე მხარემ მისი პატივისა და ღირსების ხელყოფად არ უნდა მიიჩნიოს, მომჩივნის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში შეტანილ საჩივრებში, მტკიცებულების სახით დაფიქსირებული ბრალდებები, რამდენადაც მწვავე და მძიმე არ უნდა იყოს იგი მისთვის, თუ ისინი შეიცავენ სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დადგენისათვის საჭირო ცნობებს და ეს მან უნდა ითმინოს მანამ, სანამ არ დაასაბუთებს ამ ფაქტების უსაფუძვლობას და, თუ ამის შემდეგ მომჩივანი კვლავ გააგრძელებს სამართლებრივად უარყოფილი უსაფუძვლო ბრალდებების სხვადასხვა

ფორმით გავრცელებას, არ აქვს მნიშვნელობა სად და რა ფორმით, ასეთი ქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატივისა და ღირსების ხელყოფად“. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ გ.ჯ-ი არც სარჩელითა და არც სააპელაციო საჩივრით, პატივისა და ღირსების ხელყოფად არ მიიჩნევეს ფაქტებს, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში დააფიქსირა და რომლებზეც, საბოლოო სამართლებრივი შეფასება ჯერ არ გაკეთებულა, არამედ, უფლების დარღვევას წარმოადგენს სამართალდამცავ ორგანოებში მისი და ვ.მ-ის საერთო ნაცნობ-მეგობრებში, საზოგადოებაში იმ ბინძური, ცილისმწამებლური, რეპუტაციის შემლახველი ბრალეული განცხადებების სხვადასხვა ფორმით გავრცელება, რომლებსაც რაიმე კავშირი არ აქვს ბრალდებებთან, რომლებიც არ შეიცავენ სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების დადგენისათვის საჭირო ცნობებს, რომლებთან დაკავშირებითაც მიღებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებებში ცალსახადაა დადასტურებული ბრალდების უსაფუძვლობა. სასამართლომ არ მიუთითა ფაქტზე, რითაც დადგინდებოდა სარჩელის ხანდაზმულობა. სინამცხმყოფელი და უკანასკნელი 9 წლის მანძილზე ასამდე შეურაცხმყოფელი და ცილისწამებლური განცხადება აქვს გავრცელებული კასატორის წინააღმდეგ, რომელთაგან გ.ჯ-მა სარჩელში მიუთითა სხვადასხვა დროს გაკეთებული რამდენიმე განცხადება, საიდანაც ნაწილი მიმართული იყო სასამართლოს შინაგანი რწმენის შესაქმნელად, ნაწილი კი ეხებოდა ვ.მ-ის მიერ ლითონის მიღების თაღლითური გზით მითვისების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ცილისწამებლურ განცხადებას, რომლებიც, მართალია, თავდაპირველად 100 დღეზე მეტი დროით ადრე იყო გავრცელებული და მაშინ შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებებისა თუ გარემოებების გამო, იმ ეტაპზე გ.ჯ-ს არ მოუთხოვია პატივისა და ღირსების შელახვისათვის გამონეეული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ ვ.მ-ის მიერ წლების მანძილზე განმეორებით და სისტემატურად პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება, იწვევს მორალურ ზიანს და ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაინდოს ბოლოს ჩადენილი მსგავსი ქმედებების დროიდან. განჩინებაში არ არის მითითებული, თუ როდის გაეცნო ან როდის იყო შესაძლებელი კასატორი გაცნობოდა ვ.მ-ის მიერ ბოლო დროს განმეორებით გავრცელებულ ცილისწამებლურ განცხადებებს. სასამართლომ არ გამოიყენა „სიტ-

ყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა, რომ მოპასუხის მიერ წარმორჩენილი „შეფასებითი მსჯელობა“ არ არის დაცული, თუ ფაქტი, რომელსაც ის ეფუძნება, მცდარი ან შეურაცხმყოფელი აღმორჩნდება და მათ არ გაითვალისწინეს კასატორის მიერ დოკუმენტურად, მათ შორის, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგენილი არა ერთი მცდარი და შეურაცხმყოფელი ფაქტი, რომლებსაც მოპასუხე მხარე ეფუძნებოდა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლმა მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს დააკისრა და უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გ.ჯ-მა შეძლო, დაემტკიცებინა, რომ მონინააღმდეგე მხარემ გაავრცელა სადავო განცხადებები, რომლებიც ლახავენ კასატორის პატივსა და ღირსებას, სადავო განცხადებები არ შეესაბამება სინამდვილეს, ისინი არ გაკეთებულია პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან სასამართლოში სიტყვის თავისუფლების ფარგლებში. სასამართლომ არ გაითვალისწინა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განსაზღვრული სტანდარტი, რომელსაც, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დიფამაციის საქმეში იყენებენ, ანუ ის, რომ მოქალაქის მიერ სარჩელის წარდგენისას, იგი ვალდებულია, დაამტკიცოს მხოლოდ ორი გარემოება: ა) ის, რომ მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებები, ბ) ხოლო აღნიშნული განცხადებები ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას. ვინაიდან ზიანში იგულისხმება მორალური ზიანიც, კასატორმა შეძლო უტყუარი მტკიცებულებებით დაედასტურებინა ზემოთ მითითებული გარემოებები. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლში აღნიშნული კასატორის მიერ დადასტურებული გარემოება, თუნდაც შინაგანი რწმენის შესაქმნელად, რომ ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობა მოპასუხისათვის ცნობილი იყო, არც ერთი სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული. არასწორად იქნა უარყოფილი დიფამაციის ცნება, ასევე უგულებელყოფილია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-16 მუხლის მოთხოვნები. ვ.მ-ის მიერ კასატორის წინააღმდეგ უსაფუძვლო და ცილისწამებლური განცხადებების სხვადასხვა ფორმით გავრცელება მოტივირებულია არა, გ.ჯ-ის მიერ ყალბი დოკუმენტების გასაღება-გამოყენების ფაქტების გამო, მისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით, არა მისი ან საზოგადოების კანონიერი ინტერესის დაც-

ვით, არამედ იგი კასატორის წინააღმდეგ მოქმედებდა ბოროტი განზრახვით. მილის მითვისების ფაქტთან დაკავშირებით, უკანასკნელი 7 წლის მანძილზე, ვ.მ-ის მიერ, კასატორის პატივისა და ღირსების დარღვევა ხდებოდა და ხდება დღესაც, ღირსებით დაცულ სფეროში აშკარა ინტერვენციის გზით, რასაც კასატორის ფიზიკური და სულიერი სიმშვიდის შელახვა, ასევე დარღვევა მოჰყვა და აღნიშნული ბრალეული ქმედებაა. ვ.მ-ე წინასწარი განზრახვით ლახავდა კასატორის ღირსებას, აცნობიერებდა და კვლავ აცნობიერებს ქმედების მართლწინააღმდეგობას, რის გამოც დიდია მისი ბრალის ხარისხის სიმძიმე და მისგან გამონეული კასატორის ზნეობრივი ტანჯვის ხარისხი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 17 აპრილს შედგენილ სააპელაციო საჩივარში ვ. მ-მ აღნიშნა: „...ის მორიგი თალღითობა იყო ჯ-ისა. მან გაუკეთა ფალსიფიკაცია მტკიცებულებას...“, „...ჯ-მა, რომ დაემტკიცებია ის რაც სასამართლოში არ ყოფილა, მოახდინა მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, თვითონ დაწერა ვითომ მიზარების ხელშეკრულება და მასზე ჩემი ხელმოწერა დაამონტაჟა ქსეროქსის მეშვეობით...“.

2007 წლის 4 მაისს შედგენილ შესაგებელში ვ. მ-მ აღნიშნა: „...სრული სიცრუეა გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარში (და არა მართლ ამ საჩივარში) მოყვანილი ფაქტები, თითქოს არარსებული ჩემი ხელწერილის დედანი ჩააბარა სასამართლოს..“, „...ვითომდა მისი კუთვნილი ავტოფარეხის რალაც ამონაწერზე ან გარდაცვლილი პოლკოვნიკ ი. ჩ-ის ხელმოწერა დაამონტაჟა (არც ამ დოკუმენტის არსებობა იყო შესაძლებელი)..“. „...გ. ჯ-ის მხრიდან ჩემს მიმართ (დანეხული 2002 წლიდან) ყველა საჩივარი

(ვითომდა მისი კუთვნილი ავტოფარების გასხვისების ან მიღების და „არმატურის“ მითვისება-განკარგვა) არის მიმართული ჩემგან თანხის გამოძალვის მიზნით..“.

2007 წლის 18 ოქტომბერს ქ. ქუთაისის პროკურატურაში წარდგენილ განცხადებაში ვ. მ-მ აღნიშნა: „...გ. ჯ-მა ჩემი დაშანტაჟება და დევნა დაიწყო 2002 წლის დასაწყისში, როცა მას მე უარი უთხარი 3000 აშშ დოლარის სესხებაზე..“ . „...სიყალბე დასტურდებოდა ორი ფაქტორით..“ . „...პოლიციელების მოტყუების და დოკუმენტის გაყალბების შემდეგ გ. ჯ-მა ქალაქის პროკურატურას მოსთხოვა ამ პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის საქმის აღძვრა..“ . „...ამ შემთხვევაშიც მან თაღლითური გზით შექმნა მიღება-ჩაბარების ყალბი დოკუმენტი ქსეროასლის სახით..“ . „...მან კვლავ გამოიყენა დამონტაჟებული ყალბი ქსეროასლი... სასამართლოს შეცდომაში შეყვანის შემდეგ გამყალბებელმა გ. ჯ-მა, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, საჩივრები შეიტანა პროკურატურაში მოსამართლე ი. ლ-სა და მის თანაშემწე თ. ქ-ს წინააღმდეგ და პროკურატურის მიერ გატარებული იქნა შესაბამისი ზომები..“ .

გ. ჭ-ისადმი გაგზავნილ განცხადებაში ვ. მ-მ აღნიშნა: „...აღნიშნული გარემოება გაცნობიერებული აქვს თვით მოდავე მხარესაც და ამიტომაც, რომ იგი დაჟინებით ცდილობს გამოსძალოს სასამართლოს მისთვის ხელსაყრელი, უკანონო განმარტება..“ . „...დავის საგანი (ლითონის მიღების სახით) ბუნებაში არ არსებობს. იგი მოდავე მხარის მოგონილია..“ .

2010 წლის 30 ნოემბერს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში წარდგენილ განცხადებაში ვ. მ-მ აღნიშნა: „...გ. ჯ-მა, თავისი დაუსრულებელი საჩივრებითა და განცხადებებით მოზინადრეებს დაგვირღვია სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების ნორმალური რიტმი..“ . „...ამის შესანიღბად გამომუშავებული აქვს რეალობის კონტექსტიდან ფაქტების ფრაგმენტულად ამოგლეჯის, მათი თაღლითურად ჩახლართვისა და დემაგოგიური გზით (და თანაც კანონის სახელით) სინამდვილედ გასაღების პროფესიული ხელწერა. მისი ილუზიების დამაბნეველი ხლართების მსხვერპლი არაერთგზის გამხდარა ავტორიტეტული უწყების (პოლიცია, სასამართლო) ცალკეული წარმომადგენელი, რაც კეთილი ნების სირცხვილად მიგვაჩნია..“ . „...არც ერთი ზემოთ აღნიშნული საქმე არ გახლავთ გ. ჯ-ისათვის მთავარი, ის უმნიშვნელო ხელმოსათბობი, ფრაგმენტული ეპიზოდებია უფრო შორს მიმავალი და უფრო მასშტაბური ავანტურის განსახორციელებლად, რომელიც გამოიხატება მის მიერ ათწლეულის წინ გაყიდული საცხოვრებელი ბინის გასხვისების ხელშეკრულების

ბათილად ცნობისა და ბინის დაბრუნებაში, რომლისთვისაც წლე-
ბია ნიადაგს ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებს..“, „...გთხოვთ დაგვიცვათ
ყალბისმქმნელისა და თაღლითისაგან, რომლის დაუსჯელობით
პიკს მიღწეულმა თავხედობამ ყოველგვარ ზღურბლს გადააბი-
ჯა..“.

საქმის მასალებით დადგენილია და მხარეებს შორის სადავო
არაა ის გარემოება, რომ მოსარჩელე „სიტყვისა და გამოხატვის
თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათ-
ვის წარმოადგენს კერძო პირს, შესაბამისად, პასუხისმგებლო-
ბის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებული უნდა იქნეს ამავე
კანონის მე-13 მუხლი, რომელიც ადგენს კერძო პირის ცილის-
წამების მაკვალიფიცირებელ გარემოებებს, კერძოდ, პირს ეკის-
რება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო
პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში და-
ამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად
მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხა-
დებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ამდენად, მითითებული ნორ-
მის ანალიზი ცხადყოფს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება მო-
სარჩელეს (გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინიცია-
ტორს), ხოლო მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოად-
გენს ის, რომ: ა) მოპასუხემ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ)
სადავო განცხადება ეხება უშუალოდ მოსარჩელეს; გ) აღნიშ-
ნული განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდა-
რი ფაქტების შემცველია; დ) სადავო განცხადება ზიანს აყე-
ნებს მოსარჩელის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.
დასახელებულ ელემენტთაგან თუდაც ერთ-ერთის სარჩელში
მიუთითებლობა ან/და დაუდასტურებლობა გამორიცხავს სარ-
ჩელის დაკმაყოფილებას.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო განცხადებების მოპასუხის
მიერ გავრცელების ფაქტი, ასევე ის გარემოება, რომ სადავო
განცხადებები ეხება უშუალოდ მოსარჩელეს, საკასაციო სასა-
მართლოს მხრიდან შემონიშნებას არ საჭიროებს და ამ კუთხით
სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები სა-
ვალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. რაც შეეხება სა-
აპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოპა-
სუხის მიერ გაკეთებული განცხადებებით შეილახა მოსარჩელის
პატივი და ღირსება, რითაც მას მიადგა ზიანი, გამომდინარე-
ობს ნორმათა სწორი განმარტებიდან და ფაქტების მართებუ-
ლად შეფასებიდან. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაეს-
მა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „ზიანი ასეთ შემთხვევებ-
ში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ღირსებისა და საქმი-

ანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია“. (იხ.სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის დაუსაბუთებლად მიჩნევის მთავარი წინაპირობაა ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების გამო არ არის გადაწყვეტილი გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის საკითხი.

საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა და განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. ამავდროულად საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, ანუ არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმავე 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ შემდეგს: „ვინაიდან მხარის განმარტებას ისეთივე მტკიცებულებითი ძალა გააჩნია, როგორც სხვა დანარჩენ მტკიცებულებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი), ბ.კ-ის სარჩელის დამამტკიცებელ მტკიცებულებად მისი, როგორც მხარის, განმარტებაც უნდა განვიხილოთ. ამასთან, ამ მტკიცებულების დამაჯერებლობა საფუძვლიანად გამყარებულია საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებითაც, კერძოდ: მოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შს განყოფილების საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის მიერ 2008 წელს გაცემული ცნობით. ამ განყოფილების წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე ც. შ-ას კუთვნილი ოქროს საიუველირო ნაწარმის ქურდობის ფაქტზე, რომლის ჩადენაში ეჭვმიტანილი იყო ბ. კ-ე. მართალია, მითითებული მტკიცებულება ც. შ-ას მიერაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი შინაარსი ადასტურებს, რომ ბ. კ-ის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა“, „ამ მტკიცებულებათა სიცხადე და დამა-

ჯერებლობა კანონით მოთხოვნილი მტკიცების საკმაოდ მაღალი სტანდარტის დაცვას ადასტურებს. სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის უარყოფელი სხვა რაიმე მტკიცებულების წარმოდგენის მოთხოვნა კი არგუმენტაციას მოკლებულია“.

განსახილველ საქმეში სახეზე გვაქვს როგორც მოსარჩელის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმიდან ამოღებულ იქნა ხელწერილის სიყალბის ეპიზოდი და შემდეგ 6 თვის უკან საერთოდ გაუქმებულ იქნა მოსარჩელის ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება, რასაც მოპასუხე მხარე არ შედავებია, ასევე სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუქვდიათ ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და მოსარჩელე გ.ჯ-ის მიმართ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადასტურდებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ იმ გარემოების დადგენა, რომ გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და საქმეზე არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი საკმარისია იმ შეფასების გასაკეთებლად, რომ მოსარჩელემ დაძლია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოების (გავრცელებული განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს) დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, კასატორის პრეტენზია გასაზიარებელია, თუმცა, სარჩელი უსაფუძვლოა ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობა განეკუთვნება სასარჩელო მოთხოვნის შემაფერხებელ კატეგორიას, რაც ნიშნავს იმას, რომ სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის შემთხვევაში, შეუძლებელია სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუნდაც დგინდებოდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, კერძოდ, ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას 2007 წელს გავრცელებული ცილისწამებლური განცხადებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რაზედაც კასატორს არ წარმოუდგენია დასამ-

ვები და დასაბუთებული პრეტენზია.

კასატორის აზით, ვინაიდან მოპასუხე წლებია აგრძელებს მისი პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელებას, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ბოლოს ჩადენილი ამგვარი ქმედებების დროიდან. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა ისეთ განცხადებებს, რომლებშიც გამოყენებული პატივისა და ღირსების შემლახავი გამონათქვამების შეტყობიდან არ არის გასული ხანდაზმულობის ვადა. ამის მაგალითად კასატორს მოჰყავს პროკურორ ვ.ჭ-ისადმი 2010 წლის 30 ნოემბრის და გ. ჭ-ისადმი 2010 წლის განცხადებები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფაქტისა და აზრის გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. საქმეში „ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ“, ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ შეფასებითი მსჯელობების ნამდვილობის დამტკიცება შეუძლებელია და რომ ასეთი მოთხოვნა ზღუდავს აზრის თავისუფლებას. საქმეში „დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ განმარტა შემდეგი: იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გა-

მოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

ამდენად, მოხმობილი გადაწყვეტილებებისა და კანონის ნორმათა შეჯერებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურორ ვ.ჭისადმი 2010 წლის 30 ნოემბრის განცხადებაში გამოთქმული ფრაზებით – „თაღლითი“, „ყალბისმქმნელი“, „გამოსძალოს სასამართლოს მისთვის ხელსაყრელი, უკანონო განმარტება“, „თავისი დაუსრულებელი საჩივრებითა და განცხადებებით მობინადრეებს დაურღვია სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების ნორმალური რიტმი“, „გამომუშავებული აქვს რეალობის კონტექსტიდან ფაქტების ფრაგმენტულად ამოგლეჯის, მათი თაღლითურად ჩახლართვისა და დემაგოგიური გზით (და თანაც კანონის სახელით) სინამდვილედ გასაღების პროფესიული ხელწერა“ და მისთ., ვ. მ-მ, არსებითად, შეაფასა მოსარჩელის მოქმედებები და გამოხატა თავისი დამოკიდებულება გ.ჯ-ის მიმართ. შესაბამისად, ეს გამონათქვამები განეკუთვნება აზრის კატეგორიას („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

ანალოგიურად ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პრეტენზია გ.ჭ-ისადმი გაგზავნილ განცხადებებთან მიმართებაში, სადაც ვ.მ-ე მიუთითებს შემდეგს: „...აღნიშნული გარემოება გაცნობიერებული აქვს თვით მოდავე მხარესაც და ამიტომაც, რომ იგი დაჟინებით ცდილობს გამოსძალოს სასამართლოს მისთვის ხელსაყრელი, უკანონო განმარტება..“. „...დავის საგანი (ლითონის მიღების სახით) ბუნებაში არ არსებობს. იგი მოდავე მხარის მოგონილია.“. დასახელებული გამონათქვამები არც მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით და არც იზოლირებულად განხილვის შემთხვევაში არ იძლევა მათი ფაქტის კატეგორიისადმი მიკუთვნების საკმარის საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

იმ გარემოების მხედველობაში მიიღებით, რომ მოპასუხის განცხადებათა ნაწილი ხანდაზმულია, ხოლო სხვა განცხადებების ცილისწამებად მიჩნევის წინაპირობები არ არსებობს, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ არსებითად სწორად უთხრა უარი გ. ჯ-ს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

ბანჩინება

№ას-186-175-2014

21 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

კომპანია „ს. ეიმ“ და კომპანია „პ. ვიმ“ სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს „ბ. ბ-ის“ და შპს „ა. ს-ის“ მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩე-ლეებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კომპანია „ს. ეიმ“ და კომპანია „პ. ვიმ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 დეკემბრის განჩინებით კომპანია „ს.ეისა“ და კომპანია „პ.ვის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კომპანია „ს. ეიმ“ და კომპანია „პ. ვიმ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით კომპანია „პ.ვი-ს“ საკასაციო საჩივარი, ხოლო ამავე პალატის 2014 წლის 13 მარტის განჩინებით – კომპანია „ს.ეი-ს“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორების წარმომადგენელმა ს. რ-მა და განმარტა, რომ მხარეთა შორის შედგა მორიგება, რის გამოც უარს აცხადებდა საკასაციო საჩივარზე, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 199¹ მუხლის თანახმად, მო-

ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, ასევე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კომპანია „ს. ეისა“ და კომპანია „ჰ. ვის“ წარმომადგენელ ს. რ-ის განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მოცემულ საკასაციო საჩივარზე უნდა შეწყდეს წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ წინამდებარე საქმეზე მოსარჩელე მხარეს წარმოადგენენ კომპანია „ს.ეი“ და კომპანია „ჰ.ვი“.

კომპანია „ს.ეისა“ და კომპანია „ჰ.ვის“ საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შემონმების ეტაპზე, 2014 წლის 15 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორთა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ს. რ-მა (პ/№.....) და განმარტა, რომ მხარეთა შორის შედგა მორიგება, რის გამოც უარს აცხადებდა საკასაციო საჩივარზე, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 199¹ მუხლის თანახმად, მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, ასევე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

საქმეში წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული მინდობილობით, რომელიც გაცემულია კომპანიის ერთადერთი დირექტორის – ი. ი-ის მიერ, დასტურდება, რომ კომპანია „ს.ეისა“ სახელით ს. რ-ს (პ/№....) სხვა საპროცესო უფლებებთან ერთად, მინიჭებული აქვს უფლება, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ჩათვლით. ასევე წარმოდგენილია კომპანია „ჰ.ვი-ს“ ერთადერთი დირექტორის მ. ტ. მ.ვის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლითაც რწმუნებულ ს. რ-ს (პ/№....) უფლება აქვს ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქმას მასზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად,

მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს კასატორი მხარის უფლება, კანონით გათვალისწინებული შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად განაცხადოს უარი თავის საკასაციო საჩივარზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კასატორთა უფლება მოსილმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე, პალატა მიიჩნევს, რომ კომპანია „ს.ეისა“ და კომპანია „ჰ.ვის“ საკასაციო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილს თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იცხვებს სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე ნორმის მე-4 ნაწილით დადგენილა, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მხარეთა მიერ საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვამდე საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, კასატორებს სრულად უნდა დაუბრუნდეთ კომპანია „ს. გ-ის“ (მ. ჟ-ის) მიერ 2014 წლის 7 თებერვალს №2 საგადახდო დავალებით გადახდილი 8000 ლარი და „ჰ.ვის (მ. ჟ-ის) მიერ 2014 წლის 7 თებერვლის №3 საგადახდო დავალებით გადახდილი 4740 ლარი..

რაც შეეხება მხარის შუამდგომლობას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტზე, რომლითაც სარჩელის დაკმაყოფილე-

ბაზე უარის თქმის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, გაუქმდა ამავე კოლეგიის 2011 წლის 24 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

სააპელაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საქმის მასალებით არ დასტურდება.

საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, საქმის წარმოება შეწყდა კომპანია „ს.ეისა“ და კომპანია „ჰ.ვის“ საკასაციო საჩივარზე, რის გამოც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები (განჩინებები), მათ შორის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, ძალაში დარჩა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხზე განმეორებით მსჯელობის წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. კომპანია „ს.ეისა“ და კომპანია „ჰ.ვის“ წარმომადგენელ ს. რ-ის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. შეწყდეს წარმოება კომპანია „ს.ეისა“ და კომპანია „ჰ.ვის“ საკასაციო საჩივარზე სამოქალაქო საქმეზე – კომპანია „ს.ეისა“ და კომპანია „ჰ.ვის“ სარჩელის გამო სს „ბ. ბ-ისა“ და შპს „ა. ს-ის“ მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე.

3. კასატორთა წარმომადგენელ ს. რ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. კომპანია „ს.ეისა“ (ს/№....) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით კომპანია ს. გ-ის (მ. ქ-ის) მიერ 2014 წლის 7 თებერვალს №2 საგადახდო დავალებით გადახდილი 8000 ლარი.

5. კომპანია „ჰ.ვის“ (ს/№....) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების

ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ჰ.ვის (მ. ქ-ის) მიერ 2014 წლის 7 თებერვალს №3 საგადახდო დავალებით გადახდილი 4740 ლარი..

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აუცილებელია

განჩინება

№ას-803-762-2013

10 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა-მა 2004-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ე. ჯ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელესთან ხელშეკრულების გარეშე შპს „ე. ჯ-ა“ სარგებლობს შპს „ა-ი 2004-ის“ კუთვნილი 5 კმ სიგრძის 6 კვ. ელექტროხაზით და თავის ელექტროენერგიას ამ ხაზში მუდმივად „ცენტროლიტის“ №25 ფიდერიდან თავის მომხმარებლამდე ატარებს. ელექტროხაზი მაღალი ძაბვისაა და გააჩნია 31 ცალი რკინის ფორმის საყრდენი და 30 გრძივი კილომეტრის სადენები. ყოველივე ჩამოთვლილი, მოითხოვს მესაკუთრის მიერ საექსპლუატაციო და მიმდინარე სარემონტო ხარჯების განევას. 2010 წლის დეკემბრამდე გატარებული ელექტროენერგიის ფასის მცირედი ნაწილი მოპასუხემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად გადაიხადა. 2010 წლის დეკემბრიდან – 2011 წლის დეკემბრამდე კომპენსაციის თანხა შეადგენს 19 920 ლარს.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სემეკის დადგენილება, რომელიც გატარების ტარიფებს განსაზღვრავს, ეხება მხოლოდ გამანაწილებელ კომ-

პანიებს. აღნიშნული კომპანიების რიცხვს კი არ მიეკუთვნება შპს „ა-ი 2004“. მოპასუხის განცხადებით, სემეკის დადგენილება სპეციალურ სუბიექტებს ეხება და ამ დადგენილების ნორმების ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია. ელექტროენერჯის გატარება წარმოადგენს ლიცენზირებად საქმიანობას, აღნიშნული ლიცენზია კი, მოსარჩელეს არ გააჩნია, შესაბამისად, იგი ნებართვის გარეშე ახორციელებს სამენარმო საქმიანობას. სს „ე. ჯ-ა“ ასევე განმარტავს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს და ვერც ელექტროენერჯის გატარება ვერ ჩაითვლება ელექტროენერჯის შესყიდვა-რეალიზაციის სრული ციკლის ანალოგიურ მომსახურებად, ასევე, მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი წლების განმავლობაში დანერგილი სასამართლო პრაქტიკის გადასინჯვის დასასაბუთებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ა-ი 2004-ის“ სარჩელი შპს „ე. ჯ-ის“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს „ე. ჯ-ას“ შპს „ა-ი 2004-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე მისი კუთვნილი ქსელით სარგებლობისათვის თმენის კომპენსაცია 3 869 ლარისა და 57 თეთრის გადახდა. შპს „ა-ი 2004-ის“ სარჩელი შპს „ე. ჯ-ის“ მიმართ მისი კუთვნილი ქსელით სარგებლობისათვის, ყოველთვიური კომპენსაციის – 1 660 ლარის გადახდის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა-ი 2004-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ა-ი 2004-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შპს „ა-ი 2004-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ე. ჯ-ას“ შპს „ა-ი 2004-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა 9 673.92 ლარის გადახდა. შპს „ა-ი 2004-ის“ სარჩელი შპს „ე. ჯ-ის“ მიმართ, მისი კუთვნილი ქსელით სარგებლობისათვის ყოველთვიური კომპენსაციის 1660 ლარის გადახდის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: უდავოა, რომ შპს „ა-ი 2004-ის“ საკუთრებას წარმოადგენს: ა) „წევა-ზაჰვისის“ ქვესადგურიდან „ცენტროლიტის“ ქვესადგურამდე განლაგებული მაღალი ძაბვის ლითონის ფორ-

მის ტიპის საყრდენი 7 ცალი ბოძი, მაღალი დაბვის ელექტროხაზების საერთო სიგრძეა 5 051 გრ.მ (№1 ლითონის ბოძიდან №7 ლითონის ბოძის ჩათვლით), მაღალი დაბვის ხაზის რაოდენობა შეადგენს 6 ცალს (ს.კ: 01.00.821) და ბ) „ნევა-ზაჰვისის“ ქვესადგურიდან „ცენტროლიტის“ ქვესადგურამდე განლაგებული მაღალი დაბვის ლითონის ფერმის ტიპის საყრდენი 7 ცალი ბოძი, მაღალი დაბვის ელექტროხაზების საერთო სიგრძეა 6 273,06 გრ.მ (№8 ლითონის ბოძიდან – №15 ლითონის ბოძის ჩათვლით) მაღალი დაბვის ხაზის რაოდენობა შეადგენს 6 ცალს (ს.კ: 01.00.819). მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ შპს „ე. ჯ. ა“, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიანტს, სარგებლობს შპს „ა-ი 2004-ის“ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მაღალი დაბვის 6კვ. სიმძლავრის 5კმ-იანი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზით, რომელშიც ატარებს თავის ელექტროენერჯიას და, ამდენად, ექსპლუატაციას უწევს შპს „ა-ი 2004-ის“ კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზს. მოპასუხეს არც ის გარემოება გაუხდია სადავოდ, რომ სარჩელით მოთხოვნილ პერიოდში, კერძოდ, 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე, სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით და მითითებულ პერიოდზე გატარებული ჰქონდა 1934784 კვ. ელექტროენერჯია. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურებულია „ცენტროლიტის“ №25 ფიდერით გატარებული ელ.ენერჯის შესახებ ინფორმაციით. დადგენილია, რომ შპს „ე. ჯ. ა-ს“ შპს „ა-ი 2004-სათვის“ სარჩელით მოთხოვნილ პერიოდზე (2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით) მომსახურების ღირებულება არ გადაუხდია. ვინაიდან მხარეებს შორის ურთიერთობა არ არის მონესრიგებული ხელშეკრულებით, შესაბამისად, არ არის განსაზღვრული შპს „ა-ი 2004-ის“ კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის საფასურიც. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ა-ი 2004“ სადავო პერიოდში თავად ახორციელებდა მისი კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის მოვლა-პატრონობას და ზრუნავდა, ემუშავა გამართულად.

მოცემულ შემთხვევაში, არსებობს პრეზუმფცია, რომ მესაკუთრე თავად უვლის და პატრონობს კუთვნილ ქონებას. აღნიშნული ვარაუდის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება იმას, ვინც საწინააღმდეგოზე უთითებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ არ გაიზიარა შპს „ე. ჯ. ა-ის“ პოზიცია, რომ შპს „ა-ი 2004“ არ უწევს მომსახურებას (მოვლა-პატრონობა) მის კუთვნილ ელექტროგადამცემ ქსელებს. გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილებით

ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის საფასურის ოდენობა 1 კვტ/სთ-ზე განსაზღვრა 0,2 თეთრით, რომლის ჯამურმა ოდენობამ სადავო პერიოდზე (2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით) 3869.57 ლარი შეადგინა (1 934 784 კვ.ელექტროენერგია X 0,2 თეთრზე).

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ა-ი 2004“ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით სადავოდ ხდის ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ საფასურს და მიაჩნია, რომ მისი ყოველთვიური ოდენობა არასწორად იქნა განსაზღვრული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება, გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. იმავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები (შემდგომში წესები) არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, განაწილების ლიცენზიატს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და, მეორე მხრივ, მომხმარებელს შორის ელექტროენერგიის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ანდა მოხმარების დროს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესებით დადგენილი პირობები სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოებას, განაწილებას, გატარებას ან და მოხმარებას. ამ წესებთან შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრება აკრძალულია. სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მე-15 მუხლის თანახმად, ელექტროენერგიის გატარებისა და ელექტროენერგეტიკული მომსახურების ხელშეკრულება იდება განაწილების ლიცენზიატსა და ელექტროენერგიის ქსელის მფლობელს შორის, კერძოდ, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი, მაგრამ ფლობს ელექტროენერგიის ქსელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ელექტროენერგია, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თა-

ნახმად, ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ, მართალია, მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, მაგრამ სარჩელით მოთხოვნილ პერიოდში, კერძოდ, 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე, მოპასუხე შპს „ე. ჯ-ა“ სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით და მითითებულ პერიოდში გატარებული ჰქონდა 1 934 784 კვ. ელექტროენერჯია და ამით უზრუნველყოფდა თავის მომხმარებელამდე ელექტროენერჯის მიწოდებას.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, რაც უნდა შესრულდეს ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას. აღნიშნული ნორმისა და საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა მოსარჩელის კუთვნილი მაღალი ძაბვის ელექტროხაზებით ელექტროენერჯის გატარების მომსახურების ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და, ენერგეტიკის სფეროში მოქმედი წესების შესაბამისად, ელექტროხაზების მესაკუთრეს უფლება აქვს, მოითხოვოს მისი ქსელით სარგებლობისათვის მომსახურების საფასურის გადახდა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე მოპასუხე შპს „ე. ჯ-ამ“ მთლიანობაში გაატარა 1 934 784 კვ. ელექტროენერჯია. მხარეები არ შეთანხმებულან ტრანზიტისა და ენერგეტიკული მომსახურების ტარიფზე. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეები არ შეთანხმდნენ კონკრეტულ ტარიფზე და არც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაუდგენია ტარიფის ოდენობა, ამიტომ თავად საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს და განსაზღვროს შპს „ა-ი 2004-სათვის“ გონივრული ტარიფი, რომელიც შეესაბამება სემეკის მიერ ელექტროენერჯის გატარებისათვის და ენერგეტიკული მომსახურებისათვის ამგვარი ძაბვის ელექტროგადამცემი ელექტროხაზისათვის დადგენილ ტარიფს. გონივრული ტარიფის დადგენისას სააპელაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სადავო პერიოდში შპს „ა-ი 2004“ ახორციელებდა არა მარტო თავისი ქსელებით

შპს „ე.ჯ-ის“ კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებას, არამედ მომსახურებას უწევდა (მოვლა-პატრონობა) აღნიშნულ ქსელებს, რაც აუცილებელია ელექტროგადამცემი ხაზის გამართული მუშაობისთვის.

ამის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე, შპს „ე.ჯ-ის“ მიერ შპს „ა-ი 2004-სთვის“ ყოველ გატარებულ 1 კვტ.სთ ელექტროენერჯიაზე გადასახდელი გონივრული ტარიფი უნდა განისაზღვროს 0.5 თეთრით, რაც 1 934 784 კვტ საათი ელექტროენერჯის გატარებისათვის შეადგენს 9 673.92 ლარს. კომპენსაციის აღნიშნული ოდენობა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შეესაბამება ელექტროხაზების მესაკუთრისათვის მისი ქსელით სარგებლობისა და ამ ქსელების გამართულად მუშაობის შენარჩუნებას. რაც შეეხება აპელანტის მეორე მოთხოვნას, რომელიც შეეხება შპს „ე.ჯ-ისათვის“ მისი ქსელით სარგებლობისათვის ყოველთვიურად 1 660 ლარის დაკისრებას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა უსაფუძვლოა, კერძოდ, პალატამ განმარტა, რომ ამ ნაწილში, ელექტროხაზების მესაკუთრეს მისი ქსელით სარგებლობის სახით მოპასუხისათვის მომსახურება ჯერ არ გაუწევია, შესაბამისად, ამ ნაწილში და ამ ეტაპზე კომპენსაციის დაკისრების საკითხი სასამართლო განწყვეტილებით ვერ მონესრიგდება, ხოლო მისი სამომავლოდ დარეგულირება მხარეთა კერძო ინიციატივის ფარგლებში მოსაწესრიგებელ ურთიერთობას წარმოადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ე.ჯ-ამ“ შემდეგ გარემოებათა გამო: შპს „ა-ს“, როგორც განაწილების ლიცენზიის არმქონე პირს, რომელსაც საკუთრებაში აქვს ქსელი, კანონი ავალდებულებს გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ მისი ქსელებით სარგებლობა ითმინოს. სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ქსელის არაგანაწილების ლიცენზიის მქონე მესაკუთრეს ავალდებულებს, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ენერჯია სხვა მომხმარებელთა ელექტრონული ენერჯიით მომარაგების მიზნით. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობაც ამ პრინციპით უნდა დადგინდეს. სასამართლომ კი, დაუსაბუთებლად დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, მისი საკუთრებით სარგებლობის თემის სანაცვლოდ მიიღოს რემონტისა და სხვა ხარჯები, რაც

არ შეიძლება, შეზღუდვით გამოწვეული თმენის კომპენსაციას უკავშირდებოდეს. უდავოა, შპს „ა-ის“ ქონებაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სხვა მსგავსი ხარჯების გადახდა წარმოადგენს მესაკუთრის კანონისმიერ ვალდებულებებს და მისი ანაზღაურება არ შეიძლება, დაეკისროს სს „ე ჯ-ას“, რადგან ეს უკანასკნელი კანონით ვალდებულია, მხოლოდ სხვისი გადამცემი ხაზით სარგებლობის გამო, მესაკუთრეს თმენისათვის გადაუხადოს კომპენსაცია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გადამცემი ხაზებით ელექტროენერჯის გატარების გარდა სხვაგვარი სარგებლობა შეუძლებელია. აპელანტი ლიცენზიატი საწარმო არ არის და ვერც გადამცემი ხაზით სარგებლობის თმენა ჩაითვლება ელექტროენერჯის შესყიდვა-რეალიზაციის სრული ციკლის ანალოგიურ საქმიანობად. განაწილების მომსახურება გატარების მომსახურების გარდა, მოიცავს ელექტროენერჯის მიღებას ორი ან ორზე მეტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიწოდების პუნქტიდან, გამანაწილებელი ქსელის ექსპლოატაციას და მიღებული ელექტროენერჯის საცალო მომხმარებელზე რეალიზაციას, თანახმად „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტისა.

საქმეში არსებული სემეკის 2011 წლის 24 თებერვლის ნერილში ცალსახად და გარკვევით წერია, რომ ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაციის გაანგარიშების მეთოდისა არც ერთი ნორმატიული აქტით არაა განსაზღვრული და კომისიის მიერ არ რეგულირდება. „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების გათვალისწინებით, სემეკი ვალდებულია, 2014 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცოს მესამე პირთა მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის გატარების საფასურის გაანგარიშების წესი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ე. ჯ. ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავოა, რომ შპს „ა-ი 2004-ის“ საკუთრებას წარმოადგენს: ა) „წევა-ზაჰვის“ ქვესადგურიდან „ცენტროლიტის“ ქვესადგურამდე განლაგებული მაღალი ძაბვის ლითონის ფერმის ტიპის საყრდენი 7 ცალი ბოძი, მაღალი ძაბვის ელექტროხაზების სა-

ერთო სიგრძეა 5 051 გრ.მ (№1 ლითონის ბოძიდან №7 ლითონის ბოძის ჩათვლით), მაღალი დაბვის ხაზის რაოდენობა შეადგენს 6 ცალს (ს.კ: 01.00.821) და ბ) „წევა-ზაჰესის“ ქვესადგურიდან „ცენტროლიტის“ ქვესადგურამდე განლაგებული მაღალი დაბვის ლითონის ფერმის ტიპის საყრდენი 7 ცალი ბოძი, მაღალი დაბვის ელექტროხაზების საერთო სიგრძეა 6 273,06 გრ.მ (№8 ლითონის ბოძიდან – №15 ლითონის ბოძის ჩათვლით) მაღალი დაბვის ხაზის რაოდენობა შეადგენს 6 ცალს (ს.კ: 01.00.819) (მტკიცებულება: საჯარო რეესტრის ამონაწერი).

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ შპს „ე. ჯ-ა“, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიანტს, სარგებლობს შპს „ა-ი 2004-ის“ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მაღალი დაბვის 6კვ. სიმძლავრის 5კმ-იანი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზით, რომელშიც ატარებს თავის ელექტროენერჯის და ამდენად, ექსპლუატაციას უწევს შპს „ა-ი 2004-ის“ კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზს. მოპასუხეს არც ის გარემოება გაუხდია სადავოდ, რომ სარჩელით მოთხოვნილ პერიოდში, კერძოდ, 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე, სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით და მითითებულ პერიოდზე გატარებული ჰქონდა 1934784 კვ. ელექტროენერჯია. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია ქ/ს „ცენტროლიტის“ №25 ფიდერით გატარებული ელ.ენერჯის შესახებ ინფორმაციითაც.

დადგენილია, რომ შპს „ე. ჯ-ას“ შპს „ა-ი 2004“-სათვის სარჩელით მოთხოვნილ პერიოდზე (2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით) მომსახურების ღირებულება არ გადაუხდია.

დამატებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია სს „ე. ჯ-ას“, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ სს „ე. ჯ-ას“ ვალდებულებაზე შპს „ა-ი 2004-ის“ მიმართ საკასაციო სასამართლოსათვის დადგენილად მიიჩნევა.

ზემოთითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ისმის შემდეგი კითხვები: შპს „ა-ი 2004-ს“ 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე სს „ე. ჯ-ას“ მიერ მისი ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის რა ოდენობის საკომპენსაციო თანხა ეკუთვნის? ეს საკომპენსაციო თანხა მოიცავს თუ არა ამ სახის მოვლა-პატრონობის ხარჯებს და ვის ეკისრება გადახდა?

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ

”გონივრული ტარიფის დადგენისას სააპელაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სადავო პერიოდში შპს „ა-ი 2004“ ახორციელებდა არა მარტო თავისი ქსელებით შპს „ე. ჯ-ის“ კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებას, არამედ მომსახურებას უწევდა (მოვლა-პატრონობა) აღნიშნულ ქსელებს, რაც აუცილებელია ელექტროგადამცემი ხაზის გამართულად ფუნქციონირებისთვის.“ ამდენად, სააპელაციო სასამართლომ 1 კვტ.სთ ელ ენერჯიაზე გადასახდელი 0.5 თეთრის ოდენობის გაანგარიშებაში გაითვალისწინა არა მარტო ელექტროენერჯის გატარებასათვის თმენის ვალდებულება, არამედ ამ ქსელების მომსახურების განევის (მოვლა-პატრონობის) ფაქტი.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და დამატებით განმარტავს, რომ ე.წ ელენერჯის ქსელის სარგებლობისათვის თმენის ვალდებულებისათვის გადასახდელი საკომპენსაციო თანხა მოიცავს ასევე ყველა იმ ხარჯს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე განეულ მომსახურებას.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით ლიცენზიანტისა და არალიცენზიანტი მფლობელის ელქსელით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობა განსხვავდება იმით, რომ ლიცენზიანტი მფლობელისათვის ტარიფს ადგენს სემეკი, ხოლო არალიცენზიანტის საკუთრებაში არსებული ელქსელით სხვა პირის სარგებლობის შემთხვევაში, წარმოიშობა საკომპენსაციო თანხის მოთხოვნა, რაც რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რამაც შეიძლება გაამართლოს თმენის ვალდებულება (იხ. ქვემოთ), კერძოდ, ლიცენზიანტებს შორის ელ. ენერჯის გატარების ტარიფში (არალიცენზიანტი მფლობელის შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა) იგულისხმება განაწილების ლიცენზიანტის მიერ გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით, სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე განეული მომსახურების ფასი (სადავო პერიოდში მოქმედი სემეკის 2011 წლის 8 ივნისი №8 დადგენილებით მიღებული „ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), ე.ი დადგენილ ტარიფში (საკომპენსაციო თანხაში) შედის სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე განეული მომსახურების ფასი. მაგრამ, როგორც აღინიშნა ეს მომსახურების თანხა დადგენილია ლიცენზიის მფლობელი პირებისათვის და ივარაუდება, რომ მათ მიმართ სემეკის მიერ დადგენილი ტარიფი მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რაც აუცილებელია ელექტროენერჯის გატარებისათვის. საკასაციო

პალატა მიიჩნევს, რომ არალიცენზიანტი მფლობელის თემნის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ანალოგიურ ურთიერთობის მიმართ სემეკის მიერ სატარიფო განაკვეთის ზღვრულ ოდენობას. საკომპენსაციო თანხა შეიძლება იყოს იმავე ოდენობის, რაც ტარიფის სახით სემეკის მიერ დადგენილია ლიცენზიანტებს შორის ან ამ ტარიფზე ნაკლები. ამაზე მიუთითებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თემნისათვის განაწილების ლიცენზიატს უფლება არ აქვს, სხვისი კუთვნილი ქსელით სარგებლობის შემთხვევაში, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იმაზე მეტი, რასაც ითვალისწინებს კომისია ტარიფის დადგენისას, იმავე ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერჯის გატარების მომსახურებისათვის. ამდენად, მითითებული წესის მიხედვით ამ ურთიერთობისათვის განაწილების ლიცენზიატს შეუძლია, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იგივე ან იმაზე ნაკლები ტარიფი, რაც დადგენილია სემეკის მიერ ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერჯის გატარების მომსახურებისათვის.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 4 ოქტომბრის №52 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად პასუხისმგებლობა მონყობილობებისა და შენობა-ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობაზე, სარემონტო სამუშაოების მოცულობების შესრულებაზე, მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების სისრულეზე, სარემონტო სამუშაოების დაგეგმილი მოცულობების მარაგანაწილებითა და მასალებით უზრუნველყოფაზე, ასევე შესრულებული სარემონტო სამუშაოების ვადებსა და ხარისხზე ეკისრება სანარმოს ხელმძღვანელს ან მესაკუთრეს.

ამდენად, მითითებული სამართლებრივი დანაწესებიდან გამომდინარე ელქსელის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ვალდებულებების განხორციელება ევალება ამ ქსელების

მესაკუთრეს შპს „ა-ი-2004“-ს. ზუსტად, რომ ამ ქსელების მოვლა-პატრონობაზე განეული მომსახურების ფასი უნდა იქნეს გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ოდენობის დადგენაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უთითებს ამ ქსელების მოვლა-პატრონობაზე გახარჯულ ისეთ ოდენობაზე, რომელიც აღემატება იმავე ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერჯის გატარების მომსახურებისათვის სემეკის მიერ დადგენილ ტარიფს, მოსარგებლეს უფლება არა აქვს მესაკუთრეს ამ ტარიფზე მეტი გადაუხადოს.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის ყურადღება გამახვილოს თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის კანონიერებაზე, რისთვისაც მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა ყურადღება გავამახვილოთ გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში მითითებულ საფუძვლებზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ა-ი-2004“ არ წარმოადგენს განაწილების ლიცენზიანტ მფლობელს. 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე, მოპასუხე შპს „ე. ჯ-ა“ სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით და მითითებულ პერიოდში გატარებული ჰქონდა 1 934 784 კვ. ელექტროენერჯია და ამით უზრუნველყოფდა თავის მომხმარებელს ელექტროენერჯის მიწოდებას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ არის შედავებული კასატორის მიერ, ამდენად, ეს ფაქტები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაბამისად, იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან განაწილების ლიცენზიატები კანონი ადგენს განსხვავებულ წესს, კერძოდ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოთხოვნილი გატარების (მათ შორის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გატარების) მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ანდა წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ამასთანავე, ქსელის მფლობელი უფლებამოსილია თავისი ქსელით სარგებლობისათვის მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგუ-

ლირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პირი, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი, მაგრამ ფლობს ელექტროენერჯის ქსელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ელექტროენერჯია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად

ამდენად, განსახილველი წესები ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაციის განსაზღვრისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მიუთითებენ.

კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ნორმატიული აქტები უთითებენ სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე საკომპენსაციო თანხის განსაზღვრაზე, პირდაპირ ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის, რაც კანონის ანალოგიით გამოყენების საფუძველია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ ურთიერთობისათვის ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ მინის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მინის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზეც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთ-ერთად გადახდით გამოიხატოს.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ აღნიშნა,

რომ „განსახილველი ნორმით წესრიგდება სამეზობლო თემის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის უფლების ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება ნიშნავს საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის არსებობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ კავშირის არსებობა არ არის დამოკიდებული სუბიექტური მიზანშეწონილობასა და არჩევანზე, არამედ ობიექტურად არსებულ ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც უთითებენ აუცილებელ, უალტერნატივო კავშირზე საჯარო გზებთან და ა.შ.“ (№ას-744-801-2011. 13 ოქტომბერი, 2011 წელი).

კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „ა-ი-2004“-ის საკუთრებაში არსებული ელქსელებით სარგებლობს შპს „ე. ჯ-ა“, ხოლო შპს „ა-ი-2004-ის“, როგორც არალიცენზიანტი მფლობელის, ამ სარგებლობის მიმართ თემის ვალდებულება განსაზღვრულია ზემომითითებული სპეციალური სამართლებრივი აქტებით („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“), ხოლო სამოქალაქო კოდექსის გამოყენება განპირობებულია ამ სამართლებრივი აქტებში მითითებების საფუძველზე, სარგებლობის მიმართ თემის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისათვის.

ამრიგად, მსგავს ფაქტობრივ გარემოებებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობა, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, განვმარტოთ ამ ნორმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის შინაარსისა და მისი მოცულობის სამართლებრივი კრიტერიუმები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „თემის ვალდებულება“ წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს, რაც განსხვავდება ზიანის ინტიტუტისაგან. ზიანის ანაზღაურება ემსახურება იმ მდგომარეობის აღ-

დგენას, რომელიც იარსებებდა, ამ ქმედებას, რომ არ გამოენ-
ვია პირის ინტერესების დაუშვებელი ხელყოფა. ამასთან ერ-
თად, როგორც წესი, ამ ხელყოფის გამომწვევია მართლსაწინა-
აღმდეგო ქმედება, ხოლო აუცილებელი გზით სარგებლობის
თმენის ვალდებულება უკავშირდება მართლზომიერ ქმედებას,
რაც კანონით არის დადგენილი და მესაკუთრეს საკუთრებაში
არსებულ მიწაზე სხვა პირის მიერ აუცილებელი გზით სარგებ-
ლობისათვის აკისრებს „თმენის ვალდებულებას“.

ამდენად, კომპენსაციას ექვემდებარება ისეთი ქონებრივი
დანაკლისი, რომლის მიზეზიც არის საკუთრების უფლების ან
მფლობელობის შეზღუდვა, რაც განპირობებულია ობიექტური
აუცილებლობით. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის დად-
გენისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს ამ შეზღუდვის ფარ-
გლები და ის ინტერესი, რაც მესაკუთრეს ან მფლობელს ექნე-
ბოდა ამ შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში. ამ შემთხვე-
ვაშიც მნიშვნელოვანია არა კონკრეტული მესაკუთრის ინტე-
რესის სუბიექტური აღქმა, არამედ შესაბამისი მიწის ნაკვეთის
საშუალო მესაკუთრის ინტერესი.

განსახილველი საქმის თავისებურების გათვალისწინებით
მნიშვნელოვანია, გაირკვეს ელქსელების საშუალო მესაკუთრის
ინტერესი (იგივე სიგრძისა და სიმძლავრის ელექტროგადამცე-
მი ხაზის სარგებლობისას გატარებული ელექტროენერჯის მო-
ცულობის გათვალისწინებით).

მითითებული საკითხის გარკვევისათვის საკასაციო პალატა
მხედველობაში იღებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალ-
მომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის
4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო-
ენერჯის ტარიფების შესახებ“ წესებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მიუხედავად იმისა,
რომ ეს წესები არეგულირებენ ლიცენზიანტებს შორის არსე-
ბულ სატარიფო სისტემას, მისი გამოყენება ატარებს სახელ-
მძღვანელო ხასიათს, რომელიც გვეხმარება კომპენსაციის ოდე-
ნობის განსაზღვრაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით დად-
გენილი საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრისას, რო-
გორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელობა ენიჭება მესაკუთრის ინ-
ტერესის დაკმაყოფილებას, სხვის მიერ მისი საკუთრების შეზ-
ღუდვის გამო, თმენის ვალდებულებისათვის, მაგრამ განსახილ-
ველი ურთიერთობის თავისებურება ვლინდება იმაში, რომ შპს
„ა-ი 2004-ის“ საკუთრებას წარმოადგენს მაღალი ძაბვის 6კვ. სიმ-
ძლავრის 5კმ-იანი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელ-

საც ეს უკანასკნელი ვერ გამოიყენებს სხვა დანიშნულებით გარდა იმისა, რომ გაატაროს ელექტროენერგია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, უნდა გაირკვეს არა ზოგადად მითითებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევის წინაპირობები (რომელშიც ივარაუდება ის შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეს შეხედულებისამებრ შეეძლო გამოეყენებინა მიწის ნაკვეთი თუ არა აუცილებელი გზასთან დაკავშირებული თმენის ვალდებულება), არამედ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერგიის გატარებაზე თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, საშუალო მესაკუთრის ინტერესი ამ შეზღუდვის არ სებობის შემთხვევაში.

ზუსტად, რომ განსახილველი დავის სპეციფიკის თანახმად, საშუალო მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილების ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული წესები. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძინს, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი დავა ეხება არალიცენზიანტ მესაკუთრის უფლებებს, მითითებული სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოვიყენოთ არა, როგორც პირდაპირი გამოყენების წყარო, არამედ – სახელმძღვანელო, რადგან სემეკის მიერ ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის წესისა და პრინციპების განსაზღვრა გამოიყენება ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტის, მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფებისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დადგენისას.

ამ ტარიფების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმები, კერძოდ, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 8 ივნისი №8 დადგენილებით მიღებული „ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ძალადაკარგულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 07/30/2014 №14 დადგენილებით) მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ტარიფი არის ფასების განაკვეთების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ანგარიშსწორება. ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტროენერგიის გატარების ტარიფი არის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გამანაწილებელი ქსე-

ლის მეშვეობით, სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე განეული მომსახურების ფასი. ამავე აქტის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად ელექტროენერჯის გატარების ტარიფები დგინდება ელექტროენერჯის მომხმარებლებისათვის იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია ამ მომხმარებლების მომსახურებაზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისად, ელექტროენერჯის გატარებაზე განეული მომსახურების ფასი წარმოადგენს ამ სახის მესაკუთრისათვის არსებულ ეკონომიკურ ინტერესს, რომელიც წარმოადგენს თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო საფასურს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ მე-7 მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით სს „ე. ჯ-ასათვის“ 6-10 კილოვოლტისათვის გატარების ტარიფია 0,580 თეთრი.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის განაწილების ლიცენზიატს უფლება არ აქვს, სხვისი კუთვნილი ქსელით სარგებლობის შემთხვევაში, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იმაზე მეტი, რასაც ითვალისწინებს კომისია ტარიფის დადგენისას, იმავე ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერჯის გატარების მომსახურებისათვის (საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი). ამდენად, მითითებული წესის მიხედვით ამ ურთიერთობისათვის განაწილების ლიცენზიატს შეუძლია, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იგივე ან იმაზე ნაკლები ტარიფი, რაც დადგენილია სემეკის მიერ ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერჯის გატარების მომსახურებისათვის.

ამდენად, შპს „ა-ი-2004-ის“ ელქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა 1 კვ.სთ-ზე არ უნდა აღემატებოდეს 0,580 თეთრს.

როგორც უკვე აღინიშნა, მითითებული წესით დადგენილი ტარიფი ლიცენზიანტებს შორის მიუთითებს ერთგვარ პრეზუმფციასზე, რომ სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარება-

ზე განუვლია იმ ოდენობის მომსახურება, რაც ტარიფის სახით ამ სახის მომსახურებისთვის არის დადგენილი (ამ შემთხვევაში 0,580 თეთრი/კვტ.სთ). მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება არალიცენზიანტ მესაკუთრეს, მას ყოველთვის შეუძლია მიუთითოს იმ ეკონომიკურ ინტერესზე, რომელიც შეესაბამება ანალოგიურ პირობებში სხვა საშუალო მესაკუთრის ინტერესს (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ მე-7 მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“-ს მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განსხვავებით ლიზენზიანტებს შორის წარმოშობილ ურთიერთობისაგან, არალიცენზიანტი მესაკუთრის ეკონომიკური ინტერესი შეიძლება იყოს სემეკის მიერ დადგენილ ტარიფზე ნაკლები, რაც იმ მხარის დასადასტურებელია ვის სასარგებლოდაც შეიძლება მიუთითებდეს ნაკლები საფასურის გადახდის განპირობებული ფაქტები (კონკრეტულ შემთხვევაში სს „ე. ჯ-ა“). აქედან გამომდინარე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი არ უთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე მიუთითებენ შპს „ა-ი 2004-ის“ ნაკლებ ეკონომიკურ ინტერესზე თმენის ვალდებულებისათვის, ხოლო ის გარემოება, რომ სასამართლო პრაქტიკით (2006, 2007 წწ გადაწყვეტილებები) დადგენილი გატარების 0.2 თეთრი, გავლენას ვერ მოახდენს ამ გადაწყვეტილებების შემდეგ წარმოშობილ სადავო ურთიერთობის პერიოდში განსაზღვრულ (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“) ელექტროენერჯის გატარების ფასის ოდენობაზე. კასატორმა პრაქტიკად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის №335-319-2011 წლის განჩინებაზე, რაზეც უნდა აღინიშნოს, რომ ამ განჩინებით გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება პროცესუალური დარღვევების გამო (დაუსაბუთებლობის), რაც არ უკავშირდება განსახილველ დავას.

შემოაღნიშნულ ფაქტებთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო

სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

ამასთან ერთად კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს სარჩელის უსაფუძვლობაზე.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „ე. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**რეესტრის მონაცემთა უზყუარობისა და სისრულის
პრეზუმფცია**

ბანჩინება

№ას-394-373-2013

20 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-
ლების შესრულება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალი-
ზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: მ. ქ-ის, გ. ც-ის, ი. ქ-ის, ამხანაგობა „ლ. ს-ოს“, ე. ც-ის, ნ. დ-ის, პ. კ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ის, მ. ხ-სა და ნ. ჩ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეების: გ. ც-სა და მ. ქ-ის სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის 389 059.22 აშშ დოლარის დაკისრება, საიდანაც ძირითადი თანხა 105465,91 აშშ დოლარი, დარიცხული პროცენტი – 51378,23 აშშ დოლარი, ხოლო ჯარიმა – 232215,08 აშშ დოლარი, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა დავალიანების დაფარვის მიზნით მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ქონებების იძულებითი რეალიზაცია. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2006 წლის 13 სექტემბერს სს „ს. ბ-ს“, გ. ც-სა და მ. ქ-ეს შორის დაიდო საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მსესხებლებს გაეხსნათ იპოთეკით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზი თანხით 120 000 აშშ დოლარი, 120 თვის ვადით წლიური 10%-დან 24%-მდე სარგებლით. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2006 წლის 13 სექტემბერს მოსარჩელესა და მ.ქ-ეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკით დაიტვირთა მ. ქ-ის სახელზე რიცხული სოფელ გ-ი მდებარე 694 კვ.მ უძრავი ქონება. იპოთეკა დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. 2006 წლის 21 სექტემბერს მოსარჩელესა და მსესხებლებს შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზის შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება და მსესხებლებს გადაეცათ 120 000 აშშ დოლარი, 108 თვის ვადით, 15,5%-

ის დარიცხვით. პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა 0,5%-ით. საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 10 მაისს ბანკსა და ი. ქ-ის შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა ქ.ბათუმში, ჯ-ის ქ.№75-ში მდებარე 71,70 კვ.მ №45 ბინა. ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ი მდებარე მიწის ნაკვეთი მ. ქ-ემ შენატანს სახით შეიტანა ამხანაგობა „ლ. ს-ი“, რომელმაც, თავის მხრივ, მშენებარე საცხოვრებელ სახლში ბინები ფიზიკურ პირებზე გაასხვისა, შესაბამისად, იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა ახალ მესაკუთრეებზეც გადავიდა. მ. ქ-ემ და ი. ც-ემ დაარღვიეს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ერიცხებათ დავალიანება, მიუხედავად ვალდებულების შესრულების თაობაზე წერილობითი გაფრთხილებისა და დამატებითი ვადის განსაზღვრისა, მათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებიათ, ამდენად, სს „ს. ბ-მა“ მოითხოვა სესხის დავალიანების დაკისრება და თანხის ამოღების მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, ხოლო თუ რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავდა დავალიანებას, ბანკმა ასევე მოითხოვა თანხის ამოღება გ. ც-სა და მ. ქ-ის საკუთრებაში არსებული სხვა ქონებიდან.

მოპასუხეებმა: მ. ქ-ემ და გ. ც-ემ სარჩელი ნაწილობრივ – ძირითადი თანხისა და სარგებლის ნაწილში ცნეს, ხოლო ჯარიმის ნაწილში განმარტეს, რომ შეთანხმებული პირგასამტეხლო იყო შეუსაბამოდ მაღალი, რის გამოც ითხოვეს მისი შემცირება.

მოპასუხე ამხანაგობა „ლ. ს-ომ“ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ საფუძველით, რომ ამხანაგობას სს „ს. ბ-ის“ მიმართ ვალდებულება არ გააჩნია, შესაბამისად, სოფელ გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის რეალიზაციის მოთხოვნაზე მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი.

ი. ქ-ემ მისი კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით მოითხოვა, რომ მიუხედავად იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონშებისა, მ. ქ-სა და ი. ც-ის ვალდებულების გამო მან არ უნდა აგოს პასუხი.

მოპასუხეებმა: ე. ც-ემ, ნ. დ-ემ, პ. კ-მა, მ. ბ-ემ, მ. ბ-ემ, მ. ხ-მა და ნ. ჩ-მა ასევე არ ცნეს სარჩელი უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნის ნაწილში და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნა დაამყარეს შემდეგს:

სადავო უძრავი ქონების – ბინების შეძენისას, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, არც მათ მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე და არც მიწის ნაკვეთზე იპოთეკა არ იყო რეგისტრირებული, აღნიშნული დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, თავის მხრივ, საჯარო რეესტრის მიმართ მოქმედებს უტყუარობის, სისრულისა და გარიგების დამდები შეძენის სასარგებლოდ ამ ამონაწერის სისრულის პრეზუმფცია. მათთვის, როგორც შეძენებისათვის, არ უცნობებიან მოსარჩელის მოთხოვნისა და ამ მოთხოვნის უზრუნველყოფის თაობაზე, გარდა აღნიშნულისა, ბანკის მოთხოვნა უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთით და არა მასზე აღმართული, მოპასუხეთა კუთვნილი შენობა-ნაგებობით, რომელიც მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი არ არის და იპოთეკის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება, მოპასუხეების, როგორც ახალი შეძენების მიმართ, არ ვრცელდება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ც-ეს და მ. ქ-ეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 256 844.14 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც – 105 465.91 აშშ დოლარი სესხის ძირი თანხა, – 51 378.23 აშშ დოლარი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი, ხოლო 100 000 აშშ დოლარი დარიცხულ ჯარიმას წარმოადგენდა, აღნიშნული დავალიანების დაფარვა განხორციელდა მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ქონებების იძულებითი რეალიზაციით, კერძოდ, სარეალიზაციოდ მიექცეს მოპასუხეთა

საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ქონებები:

– ქ.ბათუმი, დასახლება გ-ო, სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: მშენებარე, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ საკადასტრო კოდი №...;

– მოპასუხე ნ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმი, დასახლება გ-ო, სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001. კოდი ..., დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი: მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 5, ბინა 20. ფართით 64.90 კვ.მ. საკადასტრო კოდი №...;

– მოპასუხე მ. ხ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმი, დასახლება გ-ო, სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი 01/015, დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ.

შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი: მშენებარე, შენობა – ნაგებობის საერთო ფართი 2329.19 კვ.მ. სართული 4, ბინა 15, ფართით 64.90 კვ.მ. საკადასტრო კოდი...;

– მოპასუხე მ. ბ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმი, დასახლება გ-ო, სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი 01/011 დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ. სართული 4, ბინა №11, ფართით 100.18 კვ.მ, საკადასტრო კოდი № ...;

– მოპასუხე პ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმი, დასახლება გ-ო, სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი 01/008, დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ, შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ. სართული 3, ბინა №8, ფართით 46.11 კვ.მ, საკადასტრო კოდი № ...;

– მოპასუხე ნ. დ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმი, დასახლება გ-ო, სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი 01/006 დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 3, ბინა №6, ფართით 100.18 კვ.მ, საკადასტრო კოდი № ...;

– მოპასუხე ე. ც-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმი, დასახლება გ-ო, სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი 01/001 დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 2, ბინა №1, ფართით 100.18 კვ.მ. საკადასტრო კოდი № ...;

– მოპასუხე ი. ქ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმი, ჯ-ის ქუჩა №75, ბინა №45, ფართით 71.70 კვ.მ, საკადასტრო კოდი № ...;

ამავე გადანყვეტილებით დადგინდა, რომ თუ ვერ მოხერხდებოდა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია ან რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავდა ბანკის მიმართ არსებულ დავალიანებას, თანხის ამოღება განხორციელდებოდა მოპასუხეების გ. ც-სა და მ. ქ-ის საკუთრებაში არსებული სხვა ქონებიდან;

საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გააასაჩივრა მ. ბ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით მ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასა-

მართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 13 სექტემბერს სს „ს.ბ-ს“, გ. ც-ეს და მ. ქ-ეს შორის დაიდო საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად მსესხებლებს გაეხსნათ იპოთეკით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზი 120 000 აშშ დოლარზე, 120 თვის ვადით, წლიური საპროცენტო სარგებლის 10%-დან 24%-მდე.

საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2006 წლის 13 სექტემბერს ბანკს და მ. ქ-ეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკით დაიტვირთა მ. ქ-ის სახელზე რიცხული ქ.ბათუმში, სოფელ გ-ი მდებარე 694 კვ.მ დაზუსტებული ფართის (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, საკადასტრო კოდი №...) მიწის ნაკვეთი. იპოთეკა დამონმდა ნოტარიუსის მიერ და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში კანონის შესაბამისად.

2006 წლის 21 სექტემბერს ბანკს და მსესხებლებს შორის დაიდო საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მსესხებლებზე გაიცა 120 000 აშშ დოლარი, 108 თვის ვადით, 15,5%-ის დარიცხვით. პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე 0,5%.

საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2007 წლის 10 მაისს ბანკს და ი. ქ-ეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად იპოთეკით დაიტვირთა ი. ქ-ის საკუთრებაში რიცხული ქ.ბათუმში, ჯ-ის ქუჩა №75-ში მდებარე 71,70 კვ.მ №45 ბინა. იპოთეკის ხელშეკრულება დამონმდა ნოტარიუსის მიერ და აღირიცხა საჯარო რეესტრში.

სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ი მდებარე 694 კვ.მ დაზუსტებული ფართის მიწის ნაკვეთი მ. ქ-ემ საკუთრებაში გადასცა ამხანაგობა „ლ. ს-ოს“, რომელმაც აღნიშნულ მიწაზე დაიწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა. ამხანაგობა „ლ. ს-ომ“, თავის მხრივ, მშენებარე საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გადასცა (გაასხვისა) ფიზიკურ პირებს და საცხოვრებელი ბინები ირიცხება მოქალაქეების: ე. ც-ის, ნ. დ-ის, პ. კ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ას, ნ. ჩ-ის და ამხანაგობა „ლ. ს-ოს“ საკუთრებაში.

2012 წლის 2 აპრილის მდგომარეობით გ. ც-ეს და მ. ქ-ეს ერიცხებათ შემდეგი დავალიანება: 2006 წლის 21 სექტემბრის ხელ-

შეკრულებიდან გამომდინარე ძირი – 105 465.91 აშშ დოლარი, პროცენტი – 51 378.23 აშშ დოლარი, ჯარიმა – 232 215.08 აშშ დოლარი.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ უნდა მიქცეულიყო მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებები, რომელთა შორისაცაა აპელანტ მ. ბ-ის სახელზე რიცხული ქ.ბათუმში, გ-ოს დასახლებაში მდებარე (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი ... დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ, შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 4, ბინა №11) 100.18 კვ.მ ბინა საკადასტრო კოდით №....

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს მ. ბ-ემ, ასევე ე. ც-ემ, ამხანაგობა „ლ. ს-ომ“, მ. ბ-მა და მ. ხ-ამ, რომელთაგან განსახილველად მხოლოდ მ.ბ-ის სააპელაციო საჩივარი იქნა მიღებული. სხვა აპელანტების მიმართ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

სააპელაციო პალატამ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 867-ე მუხლით და აღნიშნა, რომ 2006 წლის 13 სექტემბერს სს „ს. ბ-ა“ და გ. ც-სა და მ. ქ-ეს შორის დადებული საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს შორის წარმოიშვა ვალდებულებითი ურთიერთობა საბანკო კრედიტის გამო, როცა სს „ს. ბ-მა“ იკისრა ვალდებულება მოქალაქეების: გ. ც-სა და მ. ქ-ის წინაშე გაეხსნა იპოთეკით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზი 120 000 აშშ დოლარზე, 120 თვის ვადით, წლიური საპროცენტო სარგებლის 10%-დან 24%-მდე და შემდეგ აღნიშნული საკრედიტო ხაზის შემადგენელი ხელშეკრულებით მსესხებლებზე გაიცა 120 000 აშშ დოლარი, 108 თვის ვადით, 15,5%-ის დარიცხვით. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე – 0,5%. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვინაიდან საბანკო კრედიტი სესხის ნაირსახეობაა, ზოგადი ნორმის სახით ამ ურთიერთობაში მოქმედებს ამავე კოდექსის 623-ე მუხლიც, რომელიც არ ეწინააღმდეგება სპეციალურ ნორმებს საბანკო კრედიტის თაობაზე. პალატის შეფასებით, სს „ს. ბ-ის“ მიერ გ. ც-სა და მ. ქ-ის საბანკო კრედიტის 120 000 აშშ დოლარის გადაცემით, მას გაუჩნდა უფლება, მოითხოვოს თანხის დაბრუნება სარგებელთან ერთად. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 286-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მასალებით დადგენილი

იყო შემდეგი: საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად 2006 წლის 13 სექტემბერს ბანკს და მ. ქ-ეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა მ. ქ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ.ბათუმში, სოფელ გ-ი, დაზუსტებული ფართით 694 კვ.მ (საკადასტრო კოდი №...). იპოთეკა დამონებული იქნა ნოტარიუსის მიერ და იპოთეკის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ი, მ. ქ-ემ საკუთრებაში გადასცა ამხანაგობა „ლ. ს-ოს“, რომელმაც აღნიშნულ მიწაზე დაიწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამხანაგობა „ლ. ს-ომ“, თავის მხრივ, მშენებარე საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გადასცა (გაასხვისა) ფიზიკურ პირებს და დღეისათვის აღნიშნული ბინები ირიცხება მოქალაქეების: ე. ც-ის, ნ. დ-ის, პ. კ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ას, ნ. ჩ-სა და ამხანაგობა „ლ. ს-ოს“ საკუთრებაში. 2012 წლის 3 აპრილის მდგომარეობით გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერი დადგენილი იყო, რომ აპელანტ მ. ბ-ის საკუთრებას წარმოადგენდა ქ.ბათუმში, გ-ოს დასახლებაში მდებარე (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი ... დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ. შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 4, ბინა №11, საკადასტრო კოდი № ...) 101,18 კვ.მ უძრავი ქონება.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ უსაფუძვლო იყო სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნა მ. ქ-სა და გ. ც-ის დავალიანების თანხის ამოღების მიზნით, მისი უძრავი ქონებების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის შესახებ იმ საფუძველით, რომ როდესაც მ. ბ-ემ შეიძინა სადავო უძრავი ქონება, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, იპოთეკა მ. ბ-ის მიერ შექმნილ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული არ ყოფილა, რაც დასტურდებოდა მის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. საჯარო რეესტრის ამონაწერების მიმართ კი მოქმედებდა უტყუარობის, სისრულის და გარიგების დადებისას შემძენის სასარგებლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერის სისწორის პრეზუმფცია. პალატის განმარტებით, საქმეში არსებული სს „ს. ბ-ის“ მიერ საქმეზე წარმოდგენილი ამონაწერით, დადასტურებული იყო, რომ საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2006 წლის 13 სექტემბერს ბანკსა და მ. ქ-ეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა მ. ქ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ.ბათუმში, სოფელ გ-ი, დაზუს-

ტებული ფართით 694 კვ.მ (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001. საკადასტრო კოდი №...). იპოთეკა დამონმდა ნოტარიუსის მიერ და იპოთეკის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში კანონის შესაბამისად.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით დადგენილი საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია მოსარჩელე ბანკთან მიმართებაში მოქმედებდა. სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლისა და 150-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნებოდა შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ იპოთეკა ვრცელდებოდა როგორც მიწის ნაკვეთზე, ისე მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც აპელანტ მ. ბ-ის და სხვა მოპასუხეთა სახელზე იყო დარეგისტრირებული, შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი მოთხოვნა გადავიდა ახალ მესაკუთრებზეც.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მ. ბ-ის მოთხოვნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად არასათანადო მოპასუხე მ. ბ-ის სათანადო მოპასუხით შეცვლის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ მ. ბ-ე წარმოადგენდა პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. ამასთან, საჯარო რეესტრის 2012 წლის 3 აპრილის ამონაწერიტ ქ.ბათუმში, გ-ოს დასახლებაში მდებარე 694.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 2329,19 კვ.მ შენობა-ნაგებობის ერთ-ერთ მესაკუთრედ დარეგისტრირებული იყო მ. ბ-ე.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 103-ე და 105-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე უნდა განხორციელდეს, რომლის თანახმადაც, თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობით, რათა განკარგონ ფაქტობრივ გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები. სამოქალაქო სამართალწარმოებაში თითოეული მხარის უფლებრივ ტვირთს წარმოადგენს იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურთ დაასაბუთონ თავიანთი სასარჩელო მოთხოვნები ან გააქარწყლონ სასარჩელო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკის-

რებოდა აპელანტს, რომელსაც არ წარმოუდგენია მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ: მ.ბ-ის სათანადო მოპასუხედ მიჩნევის, მისი კუთვნილი უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევისა და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ.ბ-ის არასათანადო მოპასუხედ მიჩნევა შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, რადგანაც არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია კანონის მოთხოვნის შესაბამისად პრეზუმფციული ორი ფაქტის ურთიერთგანსხვავებაზე, სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიაღიჭა უპირატესობა სს „ს. ბ-ის“ მიერ წარდგენილ 2012 წლის 3 აპრილს საჯარო რეესტრის ამონაწერს და ეს მტკიცებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების, ასევე სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის ძალით უპირატესი ძალა მიაღიჭა და საერთოდ არ უმსჯელია მ. ბ-ის მიერ წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერზე. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 149-ე და 150-ე მუხლების საფუძველზე მიწაზე მყარად აღმართულად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად მიიჩნია კასატორისათვის უძრავ ქონებად მიყიდული არარსებული ნაგებობა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგანაც ვალდებულების წარმოშობისათვის არ არსებობდა მ.ბ-სა და მოსარჩელეს შორის ხელშეკრულება, ამასთანავე არ არსებობდა მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის განმაპირობებელი სხვა გარემოება, ამდენად, სასამართლომ მ.ბ-ე არასწორად ჩათვალა სათანადო მოპასუხედ, ხოლო მისი არარსებული ქონება არასწორად მიაქცია აუქციონზე სარეალიზაციოდ.

სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლები.

სასამართლომ ასევე იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გარანტირებულ საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე, თუმცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, პრეზუმფციული მტკიცებულებიდან გამომდინარე, უპირატესობა მია-

ნიჭა მოსარჩელის მიერ წარდგენილ ამონაწერს.

კანონის ზემოაღნიშნული დარღვევის გათვალისწინებით, სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ მიიჩნია მ. ბ-ე არასათანადო მოპასუხედ, რითაც ასევე დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი, ამასთანავე, სასამართლოს არ შეუფასებია ფაქტობრივი გარემოება, რომ მ.ბ-ის მიერ 2010 წლის 20 სექტემბერს ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას გამოყენებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში იპოთეკის არსებობა მითითებული არ ყოფილა.

სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებისას არ იქნა გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით დადგენილი უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. ჯერ კიდევ დაუსრულებელი მშენებლობის უძრავ ქონებად მიჩნევა და სამოქალაქო კოდექსის 149-ე და 150-ე მუხლების შესაბამისად, მათი მიწის არსებით შემადგენელ ნაწილად კვალიფიკაცია არასწორია. არსებულ ვითარებაში, დაუსრულებელი ნაგებობა არ შეიძლება ჩაითვალოს იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნის ობიექტად თანახმად სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილისა. მ.ბ-ის მიერ წარდგენილი 2010 წლის 20 სექტემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერი, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, ადასტურებს, რომ კასატორი კეთილსინდისიერი მფლობელია, როლის მიერ შექმნილი საკუთრება არ შეიძლება აღმოჩენილიყო იპოთეკით დატვირთული კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს სასამართლოს მსჯელობა, როდესაც უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერს. ამგვარი უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობა კანონის არც ერთი დანაწესით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკა-

საციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეთა შორის დავას არ იწვევს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 13 სექტემბერს სს „ს. ბ-ს“, გ. ც-ეს და მ. ქ-ეს შორის დაიდო საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად მსესხებლებს გაეხსნათ იპოთეკით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზი 120 000 აშშ დოლარზე, 120 თვის ვადით, წლიური საპროცენტო სარგებლით 10%-დან 24%-მდე;

საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2006 წლის 13 სექტემბერს სს „ს. ბ-სა“ და მ. ქ-ეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკით დაიტვირთა მ. ქ-ის სახელზე რიცხული ქ.ბათუმში, სოფელ გ-ი მდებარე 694 კვ.მ დაზუსტებული ფართის (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, საკადასტრო კოდი №...) მიწის ნაკვეთი. იპოთეკის ხელშეკრულება დამონმდა ნოტარიუსის მიერ და აღირიცხა საჯარო რეესტრში;

2006 წლის 21 სექტემბერს სს „ს. ბ-სა“ და მსესხებლებს შორის დაიდო საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მსესხებლებზე გაიცა 120 000 აშშ დოლარი, 108 თვის ვადით, 15,5%-ის დარიცხვით. პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%;

საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2007 წლის 10 მაისს სს „ს. ბ-სა“ და ი. ქ-ეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, იპოთეკით დაიტვირთა ი. ქ-ის საკუთრებაში რიცხული ქ.ბათუმში, ჯ-ის ქუჩა №75-ში მდებარე 71,70 კვ.მ №45 ბინა. იპოთეკის ხელშეკრულება დამონმდა ნოტარიუსის მიერ და აღირიცხა საჯარო რეესტრში;

სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ი მდებარე 694 კვ.მ დაზუსტებული ფართის მიწის ნაკვეთი მ. ქ-ემ საკუთრებაში გადასცა ამხანაგობა „ლ. ს-ოს“, რომელმაც აღნიშნულ მიწაზე დაიწყო მრავ-

ვალბინიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა. თავის მხრივ, ამხანაგობა „ლ. ს-ომ“ მშენებარე საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გადასცა (გაასხვისა) ფიზიკურ პირებს და ბინები ირიცხება მოქალაქეების: ე. ც-ის, ნ. დ-ის, პ. კ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ის, მ. ხ-ას, ნ. ჩ-ის და ამხანაგობა „ლ. ს-ოს“ საკუთრებად;

2012 წლის 2 აპრილის მდგომარეობით გ. ც-ეს და მ. ქ-ეს ერიცხებოდათ შემდეგი დავალიანება: 2006 წლის 21 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირი – 105 465.91 აშშ დოლარი, პროცენტი – 51 378.23 აშშ დოლარი, ჯარიმა – 232 215.08 აშშ დოლარი.

სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები სადავოს არ წარმოადგენს და წინამდებარე საქმის გადანყვეტისას ისინი საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალის მქონეა.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ უნდა მიქცეულიყო მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებები, რომელთა შორისაცაა მ. ბ-ის სახელზე რიცხული ქ.ბათუმში, გ-ოს დასახლებაში მდებარე (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი ... დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ, შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 4, ბინა №11) 100.18 კვ.მ ბინა საკადასტრო კოდით №....

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს სს „ს. ბ-ს“, გ. ც-სა და მ. ქ-ეს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით მისი უძრავი ქონების რეალიზაციის წინაპირობა. მ.ბ-ე თავის მოსაზრებას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: ა) მოცემულ საქმეში მ. ბ-ე არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენს, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის საწინააღმდეგოდ მას და მოსარჩელეს შორის გარიგება არ დადებულა, შესაბამისად, არც კასატორის მიმართ წარმოშობა მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს; ბ) სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი და უპირატესობა მიანიჭა სს „ს. ბ-ის“ მიერ წარმოდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერს მოპასუხე მ.ბ-ის მიერ წარმოდგენილ ამონაწერთან შედარებით, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელ მტკიცებულებაში იპოთეკის არსებობა არ დასტურდებოდა, ამასთანავე, კასატორის კუთვნილი ქონება არასწორად იქნა მიჩნეული მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს მის არასათანადო მოპასუხედ მიჩნევის თაობაზე და თვლის, რომ ამ ნაწილში წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული შედეგება. მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეს მ.ბ-ე არ წარმოადგენდა, თუმცა ეს გარემოება გავლენას მ.ბ-ის მიმართ მოთხოვნის წარდგენის მართლზომიერებაზე ვერ იქონიებს.

მოქმედი მატერიალური კანონმდებლობა მხარის მიმართ მოთხოვნის უფლების წარმოშობას მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას არ უკავშირებს და დასაშვებად მიიჩნევს, მხარეს ასევე მოეთხოვოს გარკვეული შესრულების განხორციელება, მაგ: ზიანის ანაზღაურების, უსაფუძვლო გამდიდრებისა თუ კანონით აუკრძალავი სხვა დასაშვები საფუძვლიდან გამომდინარე (სკ 317.1).

მოცემულ შემთხვევაში, სს „ს. ბ-ის“ სარჩელით მოთხოვნილი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში გ.ც-სა და მ.ქ-ან ვალდებულების შესრულება, რაც საკასაციო პალატის შეფასების საგანს არ წარმოადგენს, ასევე მოთხოვნილია დავალიანების დაფარვის მიზნით ვალდებულების (საბანკო კრედიტის) იმ უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაცია, რომელზეც უფლება მ.ბ-ეს გააჩნია. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-6 თავი – საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც თავის თავში მოიცავს ასევე იპოთეკის სანივთო გარიგებას, დასაშვებად მიიჩნევს სხვა პირის საკუთრების ობიექტის გამოყენების შესაძლებლობას მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის იმგვარად, რომ უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე ვალდებულებითი ურთიერთობის ადრესატი არ იყოს. სათანადო პირობების არსებობისას კი, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულება სწორედ სხვა პირის ქონების ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს, ნივთის მესაკუთრის უფლებრივ მდგომარეობაზე ქონების ამ თუ იმ სახით განკარგვა პირდაპირ გავლენას იქონიებს. იმისათვის, რათა ამ პირის (მესაკუთრის) უფლებები სათანადოდ იყოს დაცული, სავალდებულოა საქმის განხილვაში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფა, ამ პრინციპის დაუცველად გადაწყვეტილების მიღება არ გამომდინარეობს სტაბილური მართლმსაჯულების მიზნებიდან.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე, რომლითაც განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი

– დისპოზიციურობა და განმარტავს, რომ ამ პრინციპის შინა-არსიდან გამომდინარეობს ასევე მოსარჩელის უფლება, თავად გადაწყვიტოს მოთხოვნის ადრესატი – მოპასუხე მხარე, მართალია, სასამართლო არ არის შეზღუდული, შეფასება მისცეს მოპასუხედ დასახელებული პირის სათანადოობას, თუმცა ისეთ ვითარებაში, როდესაც სს „ს. ბ-ი“ მოითხოვს მისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის იპოთეკის საგნის რეალიზაციას, რომელზე უფლებაც კასატორს გააჩნია, სასამართლომ საესებით მართებულად მიიჩნია მ.ბ-ე სათანადო მოპასუხედ და მართებულად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის დანაწესით.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის არასწორ განმარტებასთან დაკავშირებით, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში მხარემ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

როგორც უკვე აღინიშნა, მ. ბ-ის საკუთრებას წარმოადგენს ქ.ბათუმში, გ-ოს დასახლებაში მდებარე (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი ... დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ. შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 4, ბინა №11, საკადასტრო კოდი № ...) 101,18 კვ.მ უძრავი ქონება, რომლის რეალიზაციასაც მოსარჩელე მოითხოვს. მოპასუხემ ამ მოთხოვნის სანინაღმდეგოდ მიუთითა, რომ ქონების შეძენის დროისათვის საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, უძრავ ნივთზე იპოთეკა რეგისტრირებული არ ყოფილა. მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადასტურების მიზნით წარმოადგინა 2010 წლის 20 სექტემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. ხელშეკრულება დამონებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

ხელშეკრულების თანახმად, 2010 წლის 21 მაისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მონაცემებით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ი მდებარე 100,18 კვ.მ ბინაზე (ბინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) იპოთეკა, საგადასახადო გირავნობა, ვალდებულება, ასევე მოვალეთა რეესტრი რეგისტრირებული არ არის, ნასყიდობის საგანი არის უფლებრი-

ვად უნაკლო და იგი არ არის ყადაღადადებული. მოპასუხემ ასევე წარმოადგინა ამავე ქონებაზე 2010 წლის 20 სექტემბერს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც სადავო ქონების მესაკუთრედ მ. ბ-ა მითითებული და ქონებაზე ვალდებულება (მათ შორის იპოთეკა) რეგისტრირებული არ არის.

სასამართლომ არ გაიზიარა მხარის ზემოაღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ სს „ს. ბ-ის“ მიერ საქმეზე წარმოდგენილი ამონაწერით, დადასტურებული იყო, რომ საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2006 წლის 13 სექტემბერს ბანკსა და მ. ქ-ეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, იპოთეკით დაიტვირთა მ. ქ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ.ბათუმში, სოფელ გ-ი, დაზუსტებული ფართით 694 კვ.მ (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001. საკადასტრო კოდი №...). იპოთეკა დამონმდა ნოტარიუსის მიერ და აღირიცხა საჯარო რეესტრში კანონის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით დადგენილი საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია კი მოსარჩელე ბანკთან მიმართებაში მოქმედებდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაზიარებს გასაჩივრებული განჩინების ამ მსჯელობას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. პალატა მიუთითებს ასევე ნორმის მე-2 ნაწილზე, რომლითაც დადგენილია ქცევის შემდეგი წესი: იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი კლასიკური გაგებით, შეეხება რეესტრის ჩანაწერის იმგვარ უზუსტობას, როდესაც შემძენი წინდახედულობის გონივრულ ფარგლებში გამსხვისებლის უფლებას ნამდვილად მიიჩნევს, თუმცა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს ნორმა ასევე არეგულირებს იმგვარ ურთიერთობებს, რომლებიც შეეხება ქონებაზე რეგისტრირებულ ვალდებულებებსაც, ანუ ამ ნორმითა ანალიზით, შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონე-

ბის უფლებრივ მდგომარეობას, შემძენს, თავის უფლების და-სამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არა არსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტებს და ნორმით გათვალისწინებულ პრეზუმფციაზე – რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე დაყრდნობისას უნდა შემომწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა ირკვეოდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე. საყურადღებოა, რომ ამ კუთხით სს „ს. ბ-ს“ მოპასუხის შესაგებლის საწინააღმდეგო მტკიცება არ განუხორციელებია, კერძოდ, არ მიუთითებია იმ სარწმუნო ფაქტებსა თუ მტკიცებულებებზე, რაც გარიგების დადების დროს შემძენის არაკეთილსინდისიერებას დაადასტურებდა, ამასთან, ნივთზე ვალდებულების არსებობის ფაქტის თაობაზე შემძენის ინფორმირების კუთხით არც სააპელაციო სასამართლოს დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები, თავის მხრივ, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერები, რომლებითაც დასტურდება სადავო ქონებაზე იპოთეკის რეგისტრაცია, მომზადებულია 2012 წლის 3 აპრილის მდგომარეობით, მაშინ, როდესაც კასატორმა ნივთი შეიძინა 2010 წლის 20 სექტემბერს.

სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლი განამტკიცებს იპოთეკის რეგისტრაციის წესს. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მართალია, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის მიმართ მ.ქ-სა და გ.ც-ის ვალდებულების უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესით აღირიცხა საჯარო რეესტრში, თუმცა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, რეესტრის მონაცემების სისრულის პრეზუმფციიდან და ამ ფაქტის მიმართ მ.ბ-ის კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, ამ იპოთეკას იურიდიული ძალა კასატორის მიმართ არ შეიძლება გააჩნდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას

საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს რა ის გარემოება, რომ ნივთის შეძენისას საჯარო რეესტრის ჩანაწერებით მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაცია არ არსებობდა, საკასაციო პალატა თვლის, რომ სწორედ რეესტრის ჩანაწერების თაობაზე კანონით გარანტირებული სისწორის პრეზუმფცია და მათ მიმართ მოპასუხის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება გამორიცხავს მ.ბ-ის კუთვნილი ნივთის რეალიზაციის ნაწილში სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ამასთანავე, სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე არ არსებობს კასატორის იმ პრეტენზიის კვლევის აუცილებლობა, რომელიც მისი ნივთის, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად მიჩნევას შეეხება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო სს „ს. ბ-ს“ უარი ეთქვა მ. ბ-ის კუთვნილი ქონების რეალიზაციის მოთხოვნაზე, პალატა თვლის, სს „ს. ბ-ს“ კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი (150+300).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი გ. ც-სა და მ. ქ-ის დავალიანების დაფარვის მიზნით მ. ბ-ის კუთვნილი, ქ.ბათუმში, გ-ოს დასახლებაში მდებარე (სექტორი 36, კვარტალი 24, ნაკვეთი 001, კოდი ... დაზუსტებული ფართობი 694.00 კვ.მ. შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი; მშენებარე შენობა – ნაგებობის საერთო ფართი: 2329.19 კვ.მ, სართული 4, ბინა №11, საკადასტრო კოდი № ...) 101,18 კვ.მ უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. სს „ს. ბ-ს“ (ს/№...) მ. ბ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი.
5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის

განჩინება

№ას-848-806-2013

24 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „მ. კ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ტ-ის მიმართ

მოპასუხისათვის შპს „კ-ის“ სასარგებლოდ 229413,79 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2011 წლის 18 ოქტომბერს, ერთი წლის ვადით, შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კ-ს“ უფლება მიეცა გ-ის ქ.№29-ში მდებარე სს „ს. ბ-ის“ სათავო ოფისში ენარმოებიან სამენარმეო საქმიანობა. შპს „კ-ის“ 50-50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები არიან მოსარჩელე და მოპასუხე. 2011 წლის 26 სექტემბრიდან თ.ტ-ი არის საზოგადოების ერთადერთი დირექტორი.

2012 წლის 24 იანვარს მოპასუხემ დააარსა ანალოგიური ტიპის საწარმო „C. G-p“ და მთელი აქტივები გადაიტანა ახალ კომპანიაში, ამასთან, 5 თვითა და 18 დღით ადრე შეწყვიტა შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულება და იმავე შინაარსის ხელშეკრულება დადო „C. G-p“-ის სახელით.

ხელშეკრულების შეწყვეტამდე შპს „კ-ის“ შემოსავალი გაიზარდა, 6 თვის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 246681,49 ლარი. მოპასუხემ, როგორც შპს „კ-ის“ დირექტორმა, დაარღვია მისი ვალდებულება და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით, საწარმოს კომერციული ინფორმაციისა და თანამშრომლების სხვა კომპანიის ინტერესებისათვის გამოყენებით, ასევე მომგებიანი ხელშეკრულების სხვა კომპანიის სასარგებლოდ დადებით ზიანი მიაყენა საზოგადოებას, რაც პირდაპირ აისახება მოსარჩელეზე, როგორც 50%-იანი წილის მფლობელ პარტნიორზე იმ მიუღებელი შემოსავლის სახით, რომელსაც იგი მიიღებდა სს „ს. ბ-თან“ დადებული ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „მ. კ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. ტ-ს სს „მ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 229413,79 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინებით თ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „კ-ი“ სამენარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2010 წლის 6 თებერვალს, საზოგა-

დოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია თ. ტ-ი. საზოგადოების პარტნიორები არიან: თ. ტ-ი 50 %-იანი წილით და სს „მ. კ-ი“ 50%-იანი წილით.

2011 წლის 18 ოქტომბერს შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „კ-ს“ კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, ერთი წლის ვადით, იჯარით გადასცა ქ.თბილისში, გ-ის №29^ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი.

2012 წლის 16 თებერვალს შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა შეთანხმება 2011 წლის 18 ოქტომბრის №885/10 ხელშეკრულების 2012 წლის 1 მარტს შეწყვეტის შესახებ.

2012 წლის 1 მარტს შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „კ-ს“ კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ორი თვის ვადით იჯარით გადასცა ქ.თბილისში, გ-ის №29^ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი.

2012 წლის 24 იანვარს სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა ახალი სუბიექტი – შპს „C. G-p“. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ თ. ტ-ი – 40%-იანი წილით და გ. ე-ა 60%-იანი წილით. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს (დირექტორს) წარმომადგენდა გ. ე-ა.

2012 წლის 2 აგვისტოს მომზადებული ამონაწერის თანახმად, საზოგადოების პარტნიორები არიან: თ. ტ-ი 20%-იანი წილით, გ. ე-ა – 25%-იანი წილით, შ. კ-ი – 25%-იანი წილით და გ. მ-ე – 30%-იანი წილით. საზოგადოების დირექტორი არის გ. მ-ე.

შპს „კ-ის“ დირექტორ თ. ტ-ს არ მიუღია შპს „კ-ის“ პარტნიორ სს „მ. კ-ის“ თანხმობა იმავე საქმიანობის განხორციელების მიზნით შპს „C. G-p“-ის დაფუძნებაზე.

2012 წლის 16 მარტს შპს „C. G-p“-სა და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „C. G-p“-ს კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, სამი წლის ვადით იჯარით გადასცა ქ.თბილისში, გ-ის №29^ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი. ხელშეკრულების 2.4.6. პუნქტით, შპს „C. G-p“-მა აიღო ვალდებულება, საიჯარო გადასახადის ფარგლებში დაეფარა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შპს „კ-ის“ დავალიანება 10 000 ლარი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ შპს „კ-ის“ დირექტორ თ. ტ-ის მიერ დარღვეული იქნა ინტერესთა კონფლიქტის წესები, ამასთან, მან პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარ-

გებლის მიღების მიზნით, გამოიყენა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობების შესრულების/თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. ამ კუთხით პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხული შპს „კ-ის“ ბუღალტრის მ. დ-მ-ისა და თ. გ-ის ჩვენებებზე, რომელიც წარმოადგენდა სს „ბ-ს“ როგორც შპს „კ-თან“ ისე შპს „C. G-p“-თან იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისას და დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ დირექტორის ქმედებით შპს „კ-ს“ მიუღებელი შემოსავლის სახით მიაღდა 229413,79 ლარის ოდენობით ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ტ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ, მტკიცებულებათა არასწორი შეფასების გამო, არასწორად დაადგინა ზიანის ოდენობა, რის გამოც არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. სასამართლოს დასკვნა საზოგადოების დირექტორის მიერ მიუღებელი შემოსავლის სახით 229413,79 ლარის ზიანის მიყენების შესახებ დაუსაბუთებელია.

შპს „პ. ა-ის“ მიერ 2012 წლის 27 ივლისს გაცემული დასკვნით შპს „კ-ისათვის“ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდება, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი ამავე აუდიტორის განმარტებით, დასკვნაში ასახულია მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხა რაც მოგებას ან ზარალს არ გულისხმობს. თ. ტ-ი სააპელაციო საჩივრით სადავოდ ხდოდა იმ გარემოებას, რომ სადავო დასკვნაში მითითებული თანხა პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ თანხას წარმოადგენდა, სადაც გათვალისწინებული არ ყოფილა მის მისაღებად საჭირო ხარჯი. სააპელაციო სასამართლომ უარყო როგორც აპელანტის ახსნა-განმარტება, ისევე საქმეში არსებული მტკიცებულებები, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით მოსარჩელეს თავად უნდა წარედგინა სათანადო მტკიცებულებები. მის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნა არ იძლევა საწარმოს მიერ მიუღებელი შემოსავლის განგარიშებას. კასატორმა მიუთითა მტკიცებულებათა გამოკვლევის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ

დამკვიდრებულ პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ აპელანტს, მართალია, არ წარუდგენია პროდუქტის მისაღებად გახარჯული თანხის ოდენობასთან დაკავშირებით რაიმე დასკვნა, თუმცა, წარადგინა ამავე შპს „პ. ა-ის“ 2012 წლის 22 ნოემბრის წერილი, რომელიც სასამართლოს არ გამოუკვლევია, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, ასევე მე-4 და მე-5 მუხლებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო სადავო მტკიცებულება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოეკვლია. მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნა დირექტორის ქმედებით საწარმოს მიერ მიუღებელი შემოსავლის განმსაზღვრელ დოკუმენტს არ წარმოადგენს. ამასთანავე, არც საქმის მასალებით არ ირკვევა მიუღებელი შემოსავლის არსებობის ფაქტი და მისი ოდენობა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. უზენაესი სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს ანაცდურ მოგებას, მიუღებელი შემოსავალი, შესაძლოა, იყოს პროდუქციის ღირებულების მხოლოდ ის ნაწილი, რაც სუფთა მოგებას წარმოადგენს, პროდუქციის თვითღირებულებისა და სხვა ხარჯების გამოკლებით. მიუღებელი შემოსავალი ის სარგებელია, რაც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოგების გადასახადის გამოანგარიშების მიზნითაც კი, დაბეგვრის ობიექტი არის დასაბეგრი მოგება. მოცემულ შემთხვევაში შპს „პ. ა-ი“ თავადვე მიუთითებს, რომ დასკვნაში გადმოცემულ თანხა წარმოადგენს პროდუქტის რეალიზაციით მიღებულ თანხას და არ გულისხმობს მოგებას ან ზარალს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ თენგიზ ტყემელაშვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული დავის საგანია საწარმოს დირექტორის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის გამო (რაც გამოიხატა შპს „კ-ის“ დირექტორის, თ. ტ-ის მიერ მსგავსი საქმიანობის განხორციელებასა და საკუთარი ინიციატივით სს „ს. ბ-თან“ დადებული ხელშეკრულების მოშლაში) საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე ზიანის ანაზ-

ლაურებას ითხოვს არა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანაქნელი ნორმა ზოგადად განსაზღვრავს საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისა და საწარმოს არაკეთილსინდისიერად (საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ) მართვისათვის, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი წარმოადგენს იმ სამართლებრივ ნორმას, რომელსაც შეიძლება დაეუკავშიროთ ის კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი – ზიანის ანაზღაურება, რომლის დადგომაც სურს სარჩელით მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადანაცვებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, რათა სასამართლოს არ მოუწიოს იმ გარემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ, და პირიქით, რათა მთელი სამართალწარმოება საძიებელ ფაქტებზე იქნეს ფოკუსირებული.

განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

შპს „კ-ი“ ახორციელებდა კვების ობიექტის ფუნქციონირებას სს „ბ-ი“-ს ოფისში, ქ.თბილისში, გ-ის №29ა-ში, მხარეებს შორის 2011 წლის 18 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით.

შპს „კ-ი“-ს დირექტორმა თ. ტ-მა 2012 წლის 24 იანვარს გ. ე-თან ერთად დააფუძნა შპს „C. G-p“, რომელსაც უნდა განეხორციელებინა იგივე საქმიანობა, რაც შპს „კ-ს“, რაზეც შპს „კ-ი“-ს პარტნიორთა კრებას თანხმობა არ მიუცია.

2012 წლის 16 მარტს შპს „C. G-p“-სა და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „C. G-p“-ს კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით სამი წლის ვადით იჯარით გადასცა ქ. თბილისში, გ-ის №29ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი, ამასთან, სს „ს. ბ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება შეწყდა უშუალოდ თ. ტ-ის ინიციატივით.

2012 წლის 16 მარტის ხელშეკრულების 2.4.6. პუნქტის მიხედვით, შპს „C. G-p“-მა აიღო ვალდებულება საიჯარო გადასახადის ფარგლებში დაეფარა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შპს „კ-ის“ დავალიანება 10 000 ლარის ოდენობით.

შპს „კ-ი“-ს დირექტორის თ. ტ-ის მიერ დარღვეული იქნა ინტერესთა კონფლიქტის წესები, ამასთან, მან პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობების შესრულების/თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

დირექტორის ქმედებით შპს „კ-ს“ მიადგა 229413,79 ლარის ოდენობით ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება).

კასატორის მთავარი პრეტენზია სასამართლოს მხრიდან ზიანის ოდენობის არასწორად დადგენას ეხება. კასატორის აზრით სასამართლოს განმარტება მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებისაგან, ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა, ხოლო საერთოდ შეფასების გარეშე დატოვა შპს „პ. ა-ის“ 2012 წლის 22 ნოემბრის წერილი. კასატორის მითითებული პრეტენზიების საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუ-

ღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით.

ვიდრე საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადანყვეტილების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემომნებაზე გადავა, ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მეორე წინადადებას, რომლის თანხმად, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

ისმის კითხვა: რა იგულისხმება ტერმინში „მიუღებელი შემოსავალი“, ან რა შინაარსის მატარებელია იგი.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საკასაციო პალატა მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვროვან სასამართლო პრაქტიკას, კერძოდ: 2001 წლის 20 ივლისის №3კ/629-01 საქმეზე, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა შემდეგი: „საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „უ-ს“ მოსაზრებას, რომ მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება არა პროდუქციის თვითღირებულებასა და საერთო შემოსავალს შორის სხვაობა, არამედ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალი არის სარგებელი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქა-

ლაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავალი არ შეიძლება იყოს პროდუქციის რეალიზაციის ფასი“. იმავე პალატამ 2007 წლის 30 მარტის №ას-509-893-06 გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: „მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული“. ანალოგიური შინაარსია ჩადებული „მიუღებელ შემოსავალში“ უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკით, კერძოდ, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომლის თანახმადაც, მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება ერთობლივი შემოსავალი ყოველგვარი გამოქვეითების გარეშე (იხ. სუსგ,საქმე №ას-218-210-2013, 10 მარტი, 2014 წ.). იმავე საქმეში, საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს მიუღებელი შემოსავლებიდან უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა, ასევე თანამშრომელთა ხელფასები და კომუნალური გადასახადები. ამდენად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შესაძლებლობას ავალდებს დასმულ კითხვაზე გაცემა მეტნაკლებად ამომწურავი პასუხი: მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვეითების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. აქედან გამომდინარე, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებსაც ამ თვალსაზრისით უნდა შეემონებინათ სარჩელის დასაბუთებულობა.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი შპს „პ. ა-ი“-ს 2012 წლის 27 ივლისის აუდიტორული დასკვნით შეუძლებელია მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრა. კასატორის ამ მოსაზრებას ასაბუთებს იმავე აუდიტორული კომპანიის წერილი, რომელიც სასამართლოს მოპასუხემ წარუდგინა და რომელშიც აღნიშნულია, რომ აუდიტორულ დასკვნაში მითითებული თანხა 229413.79 ლარი წარმოადგენს შპს „კ-ის“ კავეტერიის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას (რომელშიც არ იგულისხმება განეული ხარჯები) და არ გულისხმობს ორგანიზაციის მისაღებ მოგებას ან ზარალს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლზე, რომლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულების შესახებ. ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხემ, რომელსაც არ ეკისრება ზიანის დამტკიცების ტვირთი, საპირისპირო მტკიცებულების წარდგენით ეჭვქვეშ დააყენა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება (შპს „პ. ა-ი“-ს 2012 წლის 27 ივლისის აუდიტორული დასკვნა). შესაბამისად, სასამართლოს მტკიცების საკითხი უნდა გადაეწყვიტა არა მოპასუხეზე მტკიცების ტვირთის გადატანით, არამედ იმის გარკვევით, დამატებით რა უტყუარი მტკიცებულებები ჰქონდა მოსარჩელეს წარდგენილი, რომელიც სასამართლოს მოთხოვნილი ზიანის ფაქტის არსებობაში მეტ რწმენას შეუქმნიდა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ზიანის ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე' ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში) შემავალი ფაქტი მიუღებელი შემოსავლის სახით, ამასთან, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა, რაც გამოიხატა მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასა და მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპრო-

ცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სწორად უნდა გაანალიზოს მხარეებს შორის მტკიცებულების ტვირთი და მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დაადგინოს დავის გადანყვეტილ სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნასყიდობის ფასის გადახდა

ბანკინება

№ას-546-514-2012

24 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ფასისა და მიუღებელი შემოსავ-
ლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა. ჯ-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს
„ა. პ-ის“ მიმართ და მოითხოვა:

1. მოპასუხისათვის ნასყიდობის ფასის – 13440 ლარის და-
კისრება;
2. მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის – 2418 ლარის
დაკისრება.

სარჩელის მიხედვით, 2009 წლის 21 დეკემბერს მოპასუხემ
მოსარჩელისგან შეიძინა 5040 ლარის ღირებულების 480 კგ. და-
ფასოებული კარაქი, რომლის ღირებულება უნდა გადაეხადა 1
თვეში. 2010 წლის 16 თებერვალს მოპასუხემ კვლავ შეიძინა
8400 ლარის ღირებულების 800 კგ. დაფასოებული კარაქი. მხა-
რეთა შეთანხმებით, მოპასუხეს ნასყიდობის მთლიანი ფასი –
13440 ლარი უნდა გადაეხადა თებერვლის ბოლომდე. მოპასუ-
ხეს დავალიანება არ გადაუხდია, მიუხედავად იმისა, რომ მო-
სარჩელემ მას წერილობით დაუწესა დამატებითი ვადა ვალდე-
ბულების შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს
მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 13440 ლარის გა-
დახდა. მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით მოსარჩელემ
განმარტა, რომ 13440 ლარის ბანკში ანაბარზე 18 თვის განმავ-
ლობაში განთავსების შემთხვევაში ამ თანხას დაერიცხებოდა
წლიური 12%, რაც ჯამში შეადგენს 2418. მოსარჩელე მიიჩნევს,
რომ სწორედ ამ ოდენობის თანხას მიიღებდა იგი, მოპასუხეს
ვალდებულება დროულად რომ შეესრულებინა.

შპს „ა. პ-მა“ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-
რის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძველებით:

მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ რაიმე დავალიანება არ გა-

აჩნია. სარჩელზე დართული მტკიცებულებებით არ დასტურდება, თუ რა პერიოდიდან მოითხოვს მოსარჩელე 13440 ლარის დაკისრებას. მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება იმ პასუხისმგებლობის ზომაზე, რაც თანხის გადახდის ვადის გადაცილებას მოჰყვებოდა. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეს დაქირავებული ჰქონდა მისი სამაცივრო საწყობი კარაქის შესანახად და რეალიზაციისათვის. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 13440 ლარის საქონელი. მოპასუხეს, თავისი დისტრიბუტორების მეშვეობით, სავაჭრო ქსელში გაჰქონდა საქონელი. საქონლის რეალიზაციის შემდეგ დისტრიბუტორს თანხა მიჰქონდა საწყობში და მოპასუხის მოლარე-ოპერატორი მოსარჩელეს სრულად აძლევდა თანხას. ეს გარემოება, მოპასუხის განმარტებით, დასტურდება მოსარჩელის – შპს „ა. ჯ-ას“ დირექტორ შ.ლ-ის ხელმოწერებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ-ას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა. ჯ-ამ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 მარტის განჩინებით:

1. შპს „ა. ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
2. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ა. პ-მა“ შპს „ა. ჯ-ას“ მიაწოდა 13440 ლარის ღირებულების დაფასოებული კარაქი, კერძოდ, 2009 წლის 21 დეკემბერს – 5040 ლარის ღირებულების 480კგ, ხოლო 2010 წლის 16 თებერვალს კი – 8400 ლარის ღირებულების 800კგ. იგივე პროდუქტი.

გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის 13440 ლარის გადახდის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საბუღალტრო აღრიცხვის რვეულზე, რომლის თანახმადაც 2009 წლის 21 დეკემბრიდან გატანილი კარაქის საერთო ღირებულება – 13440 ლარი მოპასუხემ გადაიხადა, რაც დასტურდებოდა აღნიშნულ ჟურნალზე შესრულებული, ერთი მხრივ, შ. ლ-ის, როგორც შპს „ა. ჯ-ას“ დირექტორის და, მეორე მხრივ, ე. ქ-ის, როგორც შპს „ა. პ-ის“ სადისტრიბუციო სამსახურის მოლარე-ოპერატორის ხელმოწერებით. აღნიშნულ ჟურნალში განსაზღვრული თანხების ეტაპობრივი გადახდა, რომლის ჯა-

მი შეადგენს 13440 ლარს, ფიქსირდება ქრონოლოგიურად. კერძოდ, ჟურნალის პირველ გვერდზე გადახდა იწყება 2009 წლის 21 დეკემბრიდან და სრულდება მესამე გვერდზე 2010 წლის 16 ოქტომბერს განხორციელებული გადახდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამ ფურცლად წარმოდგენილი საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერები ერთი მთლიანობაა, რომელიც სრულდება მესამე ფურცლის ბოლოს ე. ქ-ის მიერ შესრულებული ხელმოწერით.

ამ კუთხით პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, 102-ე მუხლზე, 134-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერი, განეკუთვნებოდა იმგვარ წერილობით მტკიცებულებას, რომლითაც გამყარებული იყო სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი მოპასუხის შესაგებელი. აპელანტის მითითება, რომ მხოლოდ აღნიშნული საბუღალტრო ჩანაწერები არ იყო საკმარისი მტკიცებულება სადავო თანხის გადახდის ფაქტის დასადასტურებლად, არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან სალაროს გასავლის ორდერი, თანხის შემოსავალში აღება, მოგების გადასახადით თანხის დაბეგვრა, სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენდა მენარმის ვალდებულებას, რაც დაწესებული იყო საჯარო კანონმდებლობით და მისი დარღვევაც ამავე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებს იწვევდა. პალატის განმარტებით, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების მტკიცების ტვირთის დაძლევისთვის აუცილებელ მტკიცებულებათა წრე განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და მხოლოდ არასწორი ბუღალტრული აღრიცხვა, ან საგადასახადო დეკლარირება თანხის გადაუხდელად მიჩნევის საფუძველს არ ქმნიდა.

არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მოსაზრება რვეულის მე-3 ფურცელზე ხელმოწერილი ჩანაწერების სხვა ურთიერთობასთან დაკავშირებულად მიჩნევის თაობაზე მისი დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობის გამო, ხოლო სადავო საკითხზე მხარის მხოლოდ მითითება, სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, არასაკმარისობის მოტივით, არ იქნა გაზიარებული. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხის სასარგებლოდ მოქმედებდა თანხის სრული ოდენობის გადახდის პრეზუმფცია, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ხოლო, ამავე კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების გზით შეწყვეტის გამო, სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა შპს „ა. ჯ-ამ“.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონი და არასათანადოდ დაასაბუთა გადაწყვეტილება, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“, ასევე 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. საპროცესო ნორმის დარღვევას წარმოადგენს სააპელაციო პალატის მიერ საქმის განხილვისას დაშვებული შემდეგი უსწორობები: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის პირველი წინადადებისა და 222-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მხარეთათვის შეკითხვების მიცემის გზით სრულად და ზუსტად უნდა გამოეკვლია სადავო გარემოებები;

დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება, რომ შპს „ა. პ-მა“ მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულება შეასრულა და სრულად გადაუხადა მას მიწოდებული დაფასოებული კარაქის ღირებულება – 13440 ლარი. მოპასუხის მიერ წარდგენილი ჩანაწერები, რომელთაც სასამართლო თვლის ხელწერილად, ვერ გამოდგება მტკიცებულებად, კერძოდ, მათი მეშვეობით არ დასტურდება მოპასუხის მიერ დავალიანების გადახდა. 2009 წლის 16 დეკემბრით დათარიღებული დოკუმენტის პირველი ფურცელი და 2010 წლის 16 თებერვლით დათარიღებული მეორე ფურცელი არ ეხება სადავო ურთიერთობას. იგი არის მოპასუხის მიერ დისტრიბუტორებისათვის კარაქის გაცემის რაოდენობის მაუწყებელი, მასზე არ არის მოსარჩელის ხელმოწერა და ვერც იქნება, ვინაიდან იგი მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ სასამართლოზე და ეს ჩანაწერები ვერ გამოდგება მტკიცებულებად. რაც შეეხება მესამე ფურცელზე არსებულ, 18 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე გაცემული თანხების თაობაზე მოსარჩელის ხელმოწერებს, აღნიშნული თანხა იმ გაყიდული კარაქის ღირებულების მიღებას ადასტურებს, რომელიც შპს „ა. პ-მა“ გაყიდა პირდაპირ საწყობიდან ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე, იგი სხვა ურთიერთობიდან არის აღმოცენებული მხარეთა შორის და არ ეხება 13440 ლარის დავალიანებასთან დაკავშირებით არსებულ ურთიერთობას. ის გარემოება, რომ კარაქი შენახული იყო მოპასუხესთან საწყობში, ვერც მოპასუხემ უარყო, შესაბამისად, როგორც საქალაქო სასამართლოს, ისე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კარაქის პირველი მიწოდებიდან – 2009 წლის 21 დეკემბრიდან თანხის გადახდების ქრო-

ნოლოგიურად წარმოებისა და თანხის გადახდაზე მხარეთა შორის უთანხმოების შემდეგ მოსარჩელის მიერ თანხის მიღების ხელმოწერით დადასტურების თაობაზე, ასევე ის, რომ 2009 წლის 21 დეკემბერს მიწოდებული კარაქის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მოპასუხეს აღარ მიანოდებდნენ 8400 ლარის ღირებულების კარაქს, არის დაუსაბუთებელი. დავალიანების გადახდევინების ფაქტის დასადასტურებლად მონის ჩვენებაც, რომელიც მატერიალურად დამოკიდებულია მოპასუხეზე, ვერ გამოდგება მტკიცებულებად;

რაც შეეხება მესამე ფურცელზე მხარეთა ხელმოწერებს, აღნიშნული ადასტურებს, რომ მოპასუხეს 2010 წლის ბოლოსათვის არა მარტო 13440 ლარის დავალიანება გააჩნდა, არამედ ჰქონდა სხვა ვალიც – მისი სანყობიდან კასატორის მიერ გაყიდული კარაქის გადასახდელი თანხა. აღნიშნული წინააღმდეგობაშია თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილ მსჯელობასთან;

საპელაციო სასამართლომ თანაბრად არ გაანაწილა მტკიცებულების ტვირთი, კერძოდ, მოსარჩელემ წარადგინა ყველა საბუღალტრო დოკუმენტი, ხოლო მოპასუხეს არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება სარჩელის უარსაყოფად, ასევე არ წარუდგენია კასატორის მიერ ანგარიშფაქტურითა და სატრანსპორტო ზედდებულით 2009 წლის 21 დეკემბერს მიწოდებული 480 კგ. და 2010 წლის 16 თებერვალს მიწოდებული 800 კგ. დაფასობული კარაქის ღირებულების გადახდის დოკუმენტი, ასევე გაყიდული საქონლის მოგების გადასახადის გადახდის მტკიცებულება. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი რვეული არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლისა და 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რადგანაც მასზე არ არის მითითებული ორგანიზაცია, არ არის დასმული ბეჭედი, არ არის აკინძული და ა.შ.

არასწორია სასამართლოს მითითება სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 429-ე მუხლზე, რადგანაც გაურკვეველია, თუ როგორ დაადგინა სასამართლომ მოპასუხის მიერ თანხის ბოლო ნაწილის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადანყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ შპს „ა. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხე-

ლახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა, რომ შპს „ა. ჯ-ამ“ (მოსარჩელე) შპს „პ-ს“ (მოპასუხე) 2009 წლის 21 დეკემბერს მიანოდა 5040 ლარის ღირებულების 480კგ. დაფასოებული კარაქი, ხოლო 2010 წლის 16 თებერვალს – 8400 ლარის ღირებულების 800 კგ. დაფასოებული კარაქი, სულ – 13440 ლარის ღირებულების საქონელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს კასატორი სადავოდ არ ხდის, შესაბამისად, ეს გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

მხარეთა შორის სადავოა ზემოხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით: მან მოპასუხეს მიყიდა 13440 ლარის ღირებულების დაფასოებული კარაქი; მოპასუხეს ნასყიდობის ფასი სრულად უნდა გადაეხადა 2010 წლის თებერვლის ბოლოს; დამატებითი ვადის დაწესების მიუხედავად, მოპასუხეს ნასყიდობის ფასი არ გადაუხდია, შესაბამისად, ვალდებულება არ შეუსრულებია.

მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო არაა, რომ მყიდველმა – შპს „ა. პ-მა“ მიიღო ნაყიდი ქონება. სადავოა მის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდა.

მყიდველის განმარტებით, მას ნასყიდობის ფასი უნდა გადაეხადა ნაწილ-ნაწილ და არა ერთბაშად. მისივე განმარტებით, მან ნასყიდობის ფასი ნაწილ-ნაწილ გადაიხადა და ვალდებულება სრულად შეასრულა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნასყიდობის ფასის გადახდის წესის თაობაზე მხარეთა განსხვავებული მოსაზრებე-

ბის მიუხედავად, არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია, თუ რას ითვალისწინებდა სინამდვილეში ნასყიდობის ხელშეკრულება ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, ანუ არსებობდა თუ არა მხარეთა შეთანხმება ნასყიდობის ფასის გადახდის წესზე და თუ არსებობდა, რა შინაარსის იყო იგი, კერძოდ, ნასყიდობის ფასის გადახდა ერთდროულად (ერთბაშად) უნდა მომხდარიყო, თუ ნაწილ-ნაწილ. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ჯეროვნად შეასრულა თუ არა მყიდველმა ნაკისრი ვალდებულება (მოსარჩელის მეორადი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სწორედ პირველადი ვალდებულების დარღვევას ეფუძნება). ამავე მიზეზით, მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია ასევე სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად შესრულების პრეზუმფციის დაშვება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, როდესაც ვალის გადახდა ხდება პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ, მაშინ დოკუმენტი მისი ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ, ვიდრე სხვა რამ არ დადასტურებულია, იძლევა იმის ვარაუდს, რომ გადახდილია წინა ნაწილიც.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულება შეიძლება შესრულდეს როგორც ერთდროულად (ერთბაშად), ასევე ნაწილ-ნაწილ, განსაზღვრული პერიოდების მიხედვით. ის, თუ როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტული ვალდებულება, დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე (არსებობს გამონაკლისებიც, კერძოდ, თუ შესრულების საგანი განუყოფადია, ცხადია, მხარეთა ნება აქ არაფერ შუაშია და შესრულებაც ერთბაშად უნდა განხორციელდეს). თუ ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების თაობაზე არაფერია ნათქვამი, და არც გარემოებანი იუნყებიან რაიმეს, მაშინ მოვალემ, როგორც წესი, ვალდებულია მთლიანად (ერთდროულად) უნდა შეასრულოს. ასეთ დროს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების „მართლობიერება“ დამოკიდებული იქნება კრედიტორის ნებაზე, რომელსაც შეუძლია მიიღოს ნაწილ-ნაწილ შესრულება და შეუძლია არ მიიღოს იგი (სკ-ის 378-ე მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მყიდველის მიერ ვალდებულება მთლიანად იყო შესრულებული, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ნასყიდობის ფასს ნაწილ-ნაწილ იხდიდა. სასამართლომ მიიჩნია ასევე,

რომ ნასყიდობის ფასის ბოლო გადახდა მოპასუხემ განახორციელა 16.10.2010 წელს, რაც სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნასყიდობის ფასის წინა ნაწილის გადახდასაც გულისხმობდა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მსჯელობას, ვინაიდან იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს არ დაუდგენია, არსებობდა თუ არა მხარეთა შეთანხმება ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების, ანუ ნასყიდობის ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდის თაობაზე, შეუძლებელია განსახილველი ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად შესრულების პრეზუმფციის გამოყენება. გარდა ამისა, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ე.წ. „საბულალტრო აღრიცხვის რეგულის“ თანახმად, ნასყიდობის ფასის გადახდა იწყება ამ რეგულის პირველ გვერდზე – 2009 წლის 21 დეკემბერს და სრულდება მესამე გვერდზე – 2010 წლის 16 ოქტომბერს, რაც სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა ხელმოწერებით დასტურდება. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ამ ე.წ. „რეგულის“ პირველ და მეორე ფურცელზე არც ერთი მხარის ხელმოწერა არ არსებობს და შესაბამისად, არც რაიმე თანხის გადახდის ფაქტი დასტურდება. რაც შეეხება ხსენებულ დოკუმენტის მე-3 ფურცელს, მართალია, მასზე არსებობს გარკვეული ოდენობის თანხის მიღების თაობაზე გამყიდველის (კრედიტორის) წარმომადგენლის ხელმოწერა, მაგრამ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს ხელწერილები შეიძლება განვიხილოთ არა როგორც დოკუმენტი ნასყიდობის ფასის ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ, არამედ როგორც მათ გასწვრივ მითითებული თანხების მიღების თაობაზე კრედიტორის მიერ მოვალის თხოვნით გაცემული დოკუმენტი სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაზედაც მითითებულია ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე გადანაცვების მიღებისას უნდა გადანაცვითოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ა. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქლის უფლება
ნივთის ნაკლის გამო**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სასწილით**

№ას-658-625-2014

5 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ას მიმართ მო-
პასუხისათვის 4 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ
გარემოებათა გამო:

2009 წლის 21 ივლისს გ. დ-მა დ. გ-სგან 4 000 ლარად შეიძინა
ავტომანქანა მერსედეს ბენც ჩ 180, სარეგისტრაციო ნომერი
..... 2010 წლის 15 ოქტომბერს, ავტომანქანის შეძენიდან ერთი
წლისა და ოთხი თვის შემდეგ, შემოსავლების სამსახურმა (თბი-
ლისის რეგიონული ცენტრი) გ. დ-ს ჩამოართვა მანქანა და დაე-
დო ყადაღა. აღნიშნული ავტომანქანის მესაკუთრედ რეგისტრი-
რებულია დ. ბ-ი, რომელსაც გააჩნია გარკვეული ვალდებულე-
ბები შემოსავლების სამსახურის მიმართ. ამდენად, მოსარჩე-
ლემ ითხოვა გ. დ-სათვის ზემოაღნიშნული თანხის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-
რის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

დ. გ-ა წინამდებარე საქმეზე სათანადო მოპასუხეს არ წარ-
მოადგენს, რადგანაც შემოსავლების სამსახურს ნივთისათვის
ყადაღა მისი ვალდებულების გამო არ დაუდია.

მოსარჩელეს ნივთი გადაეცა 2009 წლის 21 ივლისს, ხოლო
ქონებას ყადაღა 2010 წლის 15 ოქტომბერს დაედო. გარდა აღ-
ნიშნულისა, მხარეთა შორის თვალთმაქცური გარიგება არ და-
დებულა. ავტომანქანა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების
დროისათვის იყო როგორც ნივთობრივად, ისე უფლებრივად
უნაკლო და სადავო ვალდებულება წარმოიშვა მოგვიანებით,
ამასთანავე, შემძენისათვის ცნობილი იყო, რომ მესაკუთრედ
კვლავ დ. ბ-ი იყო რეგისტრირებული მიუხედავად იმისა, რომ ნას-

ყიდობის საფასური მიიღო მოპასუხემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, დ. გ-ას გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4 000 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინებით დ. გ-ას უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 21 ივლისს გ. დ-სა და დ. გ-ას შორის დაიდო ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გ. დ-მა დ. გ-სგან 4 000 ლარად შეიძინა ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო №..., საიდენტიფიკაციო ნომერი

2006 წლის 14 აპრილს გაფორმებული მინდობილობით დ. ბ-მა (საკუთრების მიმნდობი) დ. გ-ას (მინდობილ მესაკუთრეს) მართვის და განკარგვის უფლებით განუსაზღვრელი ვადით გადასცა 4 000 ლარად ღირებული ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით..... საიდენტიფიკაციო ნომერი

2009 წლის 21 ივლისს გაფორმებული მინდობილობით დ. გ-ამ, როგორც დ. ბ-ის წარმომადგენელმა დ. გ-ას მართვისა და განკარგვის უფლებით განუსაზღვრელი ვადით გადასცა ზემოაღნიშნული ავტომობილი.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლების თანახმად ავტომანქანა წარმოადგენს რა მოძრავ ნივთს, მასზე უნდა გავრცელდეს ამ კატეგორიის ნივთებთან დაკავშირებული საკუთრების გადაცემის სამართლებრივი რეჟიმი და შემძენზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტის განსაზღვრის საკითხი (ანუ კერძო-სამართლებრივი შედეგი – სანივთო უფლების წარმოშობის მომენტი) უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კოდექსით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესის შესაბამისად. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა: მესაკუთრის ნამდვილი, ლეგიტიმური უფლება და ნივთის გადაცემა.

2006 წლის 14 აპრილისა და 2009 წლის 21 ივლისის მინდობილობების გაფორმებისას, ფაქტობრივად, მხარეთა შორის შედგა შეთანხმება ავტომანქანის ნასყიდობის თაობაზე. დ. გ-ამ დ.

ბ-სგან შეიძინა ავტომანქანა, რომელიც 2009 წლის 21 ივლისს მიყიდა გ. დ-ს. საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 2 ნოემბერს დ. გ-ას მიერ შედგენილი და სანოტარო წესით დამოწმებული ხელწერილის თანახმად, მან სადავო ავტომანქანა დ. ბ-ის მინდობილობის საფუძველზე 4 000 ლარად მიჰყიდა გ. დ-ს და 2009 წლის 21 ივლისს გაუფორმა მინდობილობა ავტომანქანის განკარგვის უფლებით.

გ. დ-ს პირდაპირ მფლობელობაში გადაეცა ავტომანქანა და დაიწყო ამ ნივთით სარგებლობა, რაც მოწმობდა, რომ ხელშეკრულების მხარეები სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის საფუძველზე შეთანხმდნენ ხელშეკრულების საგანსა და ნასყიდობის ფასზე. სადავოს არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მყიდველს ნასყიდობის საფასური სრულად ჰქონდა გადახდილი.

შემოსავლების სამსახურმა ავტომანქანა მერსედეს ბენცი 2010 წლის 15 ოქტომბერს ჩამოართვა გ. დ-ს იმ მიზეზით, რომ ავტომანქანა ირიცხებოდა დ ბ-ის სახელზე, რომელსაც დავალიანება გააჩნდა შემოსავლების სამსახურის მიმართ.

სააპელაციო პალატამ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 327-ე მუხლით, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 477-ე, 487-ე, 489-ე, 491-ე მუხლებით, 352-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ 2010 წლის 15 ოქტომბერს ავტომანქანა მერსედეს ბენცი შემოსავლების სამსახურმა ჩამოართვა გ. დ-ს იმ მიზეზით, რომ ავტომანქანა ირიცხებოდა დ. ბ-ის სახელზე, რომელსაც დავალიანება გააჩნდა შემოსავლების სამსახურის მიმართ, რაც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ გ. დ-მა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ისეთი უძრავი ქონება შეიძინა, რომლის მიმართაც შემოსავლების სამსახურმა განაცხადა პრეტენზია.

აპელანტი ძირითადად ეყრდნობოდა იმ საფუძველს, რომ შემძენს თავად უნდა დაეცვა მესამე პირისაგან თავისი უფლება ავტომობილზე როგორც მესაკუთრეს, ედავა მასთან.

სასამართლოს მოსაზრებით, ნასყიდობის მიზნებიდან გამომდინარე, შეძენილი ნივთის დაყადაღება მესამე პირის პრეტენზიის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად შეაფასა უფლებრივ ნაკლად. საგადასახადო დავალიანების გამო სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა და დაყადაღება თავისთავად წარმოადგენს შემძენისათვის არასასურველ შედეგს, შესაბამისად, სამართლებრივად დასაბუთებულია მისი ინტერესი გავიდეს ხელშეკრულებიდან, აღადგი-

ნოს ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობა (დაიბრუნოს გადახდილი სყიდვის ფასი და ნივთზე უფლება დაუბრუნოს გამსხვისებელს). ასეთ დროს, თუ გამსხვისებელს მიაჩნია, რომ მესამე პირის პრეტენზია ნივთზე დაუსაბუთებელი ან უსაფუძვლოა, მას თავად აქვს უფლება ედავოს მას, რა დროსაც შესაბამისი წარმოების ფარგლებში დადგენილი წესით და პროცედურებით დადგინდება პრეტენზიის საფუძვლიანობა თუ მისი უსაფუძვლობა, დადგინდება რომელ პირს აქვს ნივთზე უკეთესი უფლება.

გამომდინარე იქიდან, რომ დასტურდებოდა ნაკლის მქონე ნივთის ნასყიდობა, საფუძვლიანად იქნა მიჩნეული სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლის და ფასის უკან მოთხოვნის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. გ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი, რადგანაც ნივთის უფლებრივად ნაკლიანად მიჩნევისათვის მესამე პირს უნდა ჰქონდეს სამართლებრივად დასაბუთებული, ნამდვილი პრეტენზია ნივთზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით წარმოადგენდა გ. დ-ის საკუთრებას, რომელიც 4 000 ლარად შეიძინა დ. გ-სთან 2009 წლის 21 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნივთი შემძენს გადაეცა პირდაპირ მფლობელობაში და დაინყო ამ ნივთით სარგებლობა. გამსხვისებელმა ავტომანქანა შეიძინა დ. ბ-საგან 2006 წლის 14 აპრილს, ხოლო შემოსავლების სამსახურმა ნივთზე პრეტენზია 2010 წლის 15 ოქტომბერს განაცხადა იმ საფუძველით, რომ დ. ბ-ს გააჩნდა საგადასახადო დავალინება, რომლის წარმოშობის დრო დადგენილი არ არის, თუმცა ავტომანქანა კვლავ დ. ბ-ის საკუთრებად ირიცხებოდა.

მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალების დ. ბ-ის სახელზე რეგისტრაციისა, ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოსარჩელე და შემოსავლების სამსახურს არ ჰქონდა უფლება, დ. ბ-ის ვალდებულების გამო დაეყაღებინა მოსარჩელის კუთვნილი მოძრავი ნივთი. კასატორის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის ნაცვლად, გ. დ-ს შეეძლო, მიემართა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისათვის და ნივთის ყადაღისაგან გათავი-

სუფლება მოეთხოვა. აღნიშნული ქმედების განხორციელება მოპასუხეს არ შეეძლო იმ საფუძვლიდან გამომდინარე, რომ აღარ წარმოადგენდა მოძრავი ქონების მესაკუთრეს.

გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 487-ე და 489-ე მუხლების თანახმად, უფლებრივი ნაკლი ნივთის გაყიდვამდე უნდა არსებულიყო და ამ დროისათვის გამყიდველს უნდა სცოდნოდა ნაკლის არსებობა.

მოცემულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურს პრეტენზია 2010 წლის 15 ოქტომბერს, მოსარჩელის მიერ ნასყიდობის საგნის მიღებიდან 14 თვის შემდეგ წარმოუშვა, სხვა რაიმე დოკუმენტი, რაც ამ დრომდე ნივთის ნაკლის არსებობას დაადასტურებდა მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ამ გარემოების დამტკიცება სწორედ მოსარჩელის ვალდებულება იყო.

სამოქალაქო კოდექსის 491-ე და 492-ე მუხლების თანახმად, მყიდველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოემოზა მხოლოდ მაშინ, თუ ის ასევე მოითხოვს ხელშეკრულების მოშლას, სხვა შემთხვევაში მას მხოლოდ ნაკლის გამოსწორება, ნივთის შეცვლა ან ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება წარმოემოზა. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის არსებობა არ დასტურდება, შესაბამისად, ამ კუთხითაც დაუსაბუთებელია გ.დ-ის სარჩელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

2006 წლის 14 აპრილს დ. ბ-მა (საკუთრების მიმნდობი) დ. გ-ას (მინდობილ მესაკუთრეს) მართვის და განკარგვის უფლებით განუსაზღვრელი ვადით გადასცა ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით ... საიდენტიფიკაციო ნომერი

2009 წლის 21 ივლისს დ. გ-ამ, როგორც დ. ბ-ის წარმომადგენელმა (საკუთრების მიმნდობი) გ. დ-ს (მინდობილ მესაკუთრეს) მართვისა და განკარგვის უფლებით განუსაზღვრელი ვადით გადასცა 4000 ლარად ღირებული ზემოაღნიშნული ავტომანქანა.

მინდობილობების გაფორმებისას, ფაქტობრივად, მხარეთა შორის შედგა შეთანხმება ავტომანქანის ნასყიდობის თაობაზე, კერძოდ, დ. გ-ამ დ. ბ-სგან შეიძინა ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით, რომელიც 2009 წლის 21 ივლისს მიყიდა გ. დ-ს.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით, სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2010 წლის 15 ოქტომბერს ჩამოართვა გ. დ-ს იმ მიზეზით, რომ ავტომანქანა ირიცხებოდა დ. ბ-ის სახელზე, რომელსაც დავალიანება გააჩნდა შემოსავლების სამსახურის მიმართ.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ დ. გ-ამ დაარღვია ხელშეკრულების პირობები და გ. დ-ს მიჰყიდა უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთი, რამდენადაც ამ ნივთზე პრეტენზია შემოსავლების სამსახურმა გააცხადა.

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით რეგულირებულია მოძრავი ნივთის შეძენის წესი და დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამომწურავად ადგენს შემთხვევებს, საკუთრების გადაცემის იურიდიული შედეგის დადგომისათვის თუ რა განიხილება ნივთის გადაცემად, ასეთად კი, მიჩნეულია შემდეგი: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია რა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე, ასევე მოძრავი ნივთის შემძენის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ფაქტი, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ, ერთი მხრივ, დ. ბ-სა და დ. გ-ას, ხოლო, მეორე მხრივ, დ. გ-ასა და გ. დ-ს შორის დადებული შეთანხმებები წარმოადგენდა ავტომანქანის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებებს.

გ. დ-ი სარჩელით მოთხოვნილი თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვას უკავში-

რებს.

ნასყიდობის საგანზე უფლებრივი ნაკლის არსებობის გარკვევის მიზნით, ისმის კითხვა: სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ავტომატურად დაყადების დროისათვის დ. ბ-ი წარმოადგენდა მოძრავი ნივთის მესაკუთრეს?

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ავტომატურად მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით დ. ბ-მა მფლობელობაში გადასცა დ. გ-ას, ხოლო დ. გ-ამ – გ. დ-ს. ასევე დადგენილია ნივთის ღირებულების გადახდის ფაქტი, რაც უდავოდ მონიშნავს, რომ დ. ბ-ს 2006 წლის 14 აპრილიდან, მას შემდეგ, რაც ნივთი დ. გ-ას გადასცა, ამ ნივთზე საკუთრების უფლება აღარ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ნივთი კვლავ დ. ბ-ის სახელზე ირიცხებოდა.

ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 27 ოქტომბრის №ას-914-954-2011 განჩინებით განმარტა შემდეგი: „საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას.

რაც შეეხება „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონს, პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული კანონით იმპერატიულად დადგენილია სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია, რაც თავისთავად არ წარმოადგენს ნივთზე საკუთრების წარმოშობის საფუძველს. რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება“.

საკასაციო პალატა დამატებით შენიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობის მსგავსად, საქმის განხილვის დროს მოქმედი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია, ამავე კანონის 1.1 მუხლიდან გამომდინარე, ასევე საჯაროსამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში უნდა იქნას განხილული, იმგვარად, რომ არსებული კანონით რაიმე დამატებითი წინაპირობა ავტომობილზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის არ დადგენილა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გ.დავითურს, როგორც მოძრავი ნივთის მესაკუთრეს, უფლება ჰქონდა, მიემართა სასამართლოსათვის სსიპ შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, თუმცა ეს საკითხი წინამდებარე დავის საგანს არ წარმოადგენს და საკასაციო პალატა ვერ შეაფასებს მას.

სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგანზე მესამე პირის უფლებად შეიძლება განვიხილოთ ყველა სანივთო უფლება; მავალდებულებელი უფლებები, რომლებიც შემქნის წინააღმდეგაა მიმართული; საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები, მათ შორის გამყიდველის იმგვარი ვალდებულებები, რაც ამ ნივთის დაყადაღების საფრთხეს წარმოშობს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება და არც სარჩელის საფუძვლადაა მითითებული ის გარემოება, რომ 2006 წლის 14 აპრილს, დ. ბ-სა და დ. გ-ას შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ან 2009 წლის 21 ივლისს, გ. დ-ის მიერ ავტომობილის შექმნის დროისათვის, ნივთზე პრეტენზია სსიპ შემოსავლების სამსახურს გააჩნდა, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა დადგენილი არ არის. საპირისპირო ვითარების დამტკიცების ვალდებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს ეკისრებოდა. მას კი ამ კუთხით არც ფაქტები მიუთითებია და არც ამგვარი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარუდგენია სასამართლოსათვის. უფრო მეტიც, მართალია, სასამართლოს შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის

წარმოშობის დრო არ დაუდგენია, თუმცა უდავოა, რომ ნასყიდობის საგანზე მესამე პირმა პრეტენზია 2010 წლის 15 ოქტომბერს განაცხადა, მას შემდეგ, რაც ქონება მოვალეს აღარ ეკუთვნოდა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, გ. დ-ის მიერ ნაკლის მქონე ნივთის შეძენის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ მოსარჩელის მოთხოვნა ნასყიდობის თანხის – 4 000 ლარის დაბრუნების თაობაზე მიჩნია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნად.

სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლით განმტკიცებულია მყიდველის უფლება, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, თუმცა, ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ამ უფლების რეალიზაციისათვის კანონით ვა დადგენილი მისი გამოყენების წინაპირობები, ნორმის თანახმად, მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით.

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). დასახელებული ნორმის ანალიზით ირკვევა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანმდევი შედეგის – მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისათვის, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ა) მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და ბ) ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორს (მოსარჩელის) მიერ მოვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი (სკ 405.1 მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი განსაზღვრავს რა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს, მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ ამავე კოდექსის 405-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მარეგულირებელ დანაწესს წარმოადგენს.

საქმეში წარმოდგენილი გ.დ-ის სარჩელის შესწავლით საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მოსარჩელეს არ მიუთითებია სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობის არსებობა, ამასთან, არც

გასაჩივრებული განჩინებითაა დადგენილი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების ფაქტობრივი წინაპირობები. ეს გარემოება კი, უდავოდ მონიშნავს გ. დ-ის სარჩელის უსაფუძვლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დ. გ-ამ სასამართლოს წარმოდგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ გადაწყვიტოს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით კი, დადგენილია, რომ ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხდა 160 ლარი,

ხოლო საკასაციო საჩივარზე – 300 ლარი, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ გ. დ-ს დ. გ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელი მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 460 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

ბ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. დ. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. გ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. გ. დ-ს (პ/№.....) დ. გ-ას (პ/№.....) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული სასამართლო ხარჯის – 460 ლარის ანაზღაურება.
5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქირავნობის ხელშეკრულება

განჩინება

№ას-444-419-2014

2 თებერვალი 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე აუცილებელი ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „რ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ.რუსთავის მე-

რიის მიმართ ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამქირავებლის მიერ განუული აუცილებელი ხარჯის – 29 675,37 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მხარეთა შორის დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელეს მფლობელობაში გადაეცა ქ.რუსთავში, მიკრო რაიონში მდებარე №.... ბაგა-ბაღის 135 კვ.მ ფართი;

ხელშეკრულების თანახმად, დამქირავლის ვალდებულებად განისაზღვრა ნივთის მიმდინარე რემონტის ჩატარება;

ქირავნობის საგანი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის გამოუსადეგარი იყო, კერძოდ, არ იყო სველი წერტილები, წყალგაყვანილობა. ნივთის დანიშნულების სამებრ გამოყენებისათვის (საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის), მოსარჩელემ ჩაატარა სარემონტო სამუშაოები: გამოცვალა და შეაკეთა კარ-ფანჯარა, სანტიქ-ნიკა, შეიყვანა წყალი, გააკეთა საკანალიზაციო სისტემა, ელექტრო გაყვანილობა და სხვა, რის თაობაზეც ცნობილი იყო ქ.რუსთავის მერიისათვის.

ნივთზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდგომ მოპასუხემ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა აღარ გააგრძელა, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად არ ანაზღაურებს მის მიერ განუულ ხარჯებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მისი სათანადო მოპასუხით – ქ.რუსთავის საკრებულოთი შეცვლა მოითხოვა, ამასთანავე, განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 6.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება, დაეშვა ფართზე კაპიტალური სარემონტო სამუშაოების წარმოება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თვითმმართველი ქ.რუსთავის მერიას შპს „რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 21 662,37 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის განჩინებით თვითმმართველი ქ.რუსთავის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს ქ.რუსთავის ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების კოლეჯი „ნ-ო“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონა-

ცემებში რეგისტრირებული იყო რუსთავის სასამართლოს 1997 წლის 12 მაისის №9/4-274 დადგენილებით. შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით განხორციელდა ცვლილება რეგისტრაციის მონაცემებში და მის დირექტორად დაინიშნა ც. გ-ი. შპს „ნ-ს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა „რ. რ-ი“. 2008 წლის 15 ოქტომბერს შპს „ნ-ს“ დირექტორსა და თვითმმართველი ქ.რუსთავის მერიას შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა ქ.რუსთავში, მე-... მ/რ №... ბაგა-ბაღის შენობაში არსებული 135 კვ.მ ფართი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

2009 წლის 28 სექტემბერს შპს „ნ-ს“ დირექტორსა და თვითმმართველი ქ.რუსთავის მერიას შორის კვლავ გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, ამავე საგანზე და ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ნივთი განკუთვნილი იყო არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განსათავსებლად. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 17 ოქტომბრის დასკვნაზე დაყრდნობით პალატამ დაადგინა, რომ ქ.რუსთავში, №... ბაგა-ბაღში შპს „რ. რ-ის“ მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (2009 წლის მესამე კვარტლის დონეზე), რომლებიც დღეის მდგომარეობით სახეზეა, შეადგენს 13 704,12 ლარს ნორმატიული დარიცხვების გათვალისწინებით, ხოლო იმ სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომლებიც დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს (დემონტირებულია), შეადგენს 7 958,25 ლარს. ამავე ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია მოსარჩელის მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა ხასიათის, ფუნქციური დანიშნულებისა და დაქირავებული ფართის მიზნობრიობიდან გამომდინარე, გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად მოსარჩელემ განა აუცილებელი ხარჯები.

დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 531-ე მუხლზე და ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად მხარეთა შო-

რის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება მიიჩნია. სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ აუცილებელ ხარჯად ითვლება დამქირავებლის მიერ გაღებული არა ყველა, არამედ მხოლოდ ისეთი ხარჯი, რომლის განევაც ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად არის აუცილებელი.

სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 532-ე, 535-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ დამქირავებლის მიერ ნივთზე განეული ხარჯების აუცილებლად მიჩნევის საფუძველი და ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც სახეზეა ნივთის ხელშეკრულებით სარგებლობისათვის არავარგისი მდგომარეობა, ანუ ისეთი ვითარება, როდესაც ნივთის მდგომარეობა არ იძლევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განხორციელების შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა ფართის მიზნობრიობა – არასახელმწიფოებრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განთავსება. მოსარჩელის მიერ ჩატარებული სამუშაოების ხასიათის, ფუნქციური დანიშნულების, დაქირავებული ფართის მიზნობრიობიდან და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის დაწესებული მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით კი, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად განია აუცილებელი ხარჯები.

სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება მისი არასათანადო მოპასუხეობის თაობაზე და მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილზე. სასამართლოს განმარტებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხის სათანადოთი – თვითმმართველი ქ.რუსთავის საკრებულოთი შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება აპელანტს არ გაუსაჩივრებია, რის გამო განჩინების კანონშესაბამისობაზე პალატა ვერ იმსჯელებდა.

სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე, რადგანაც სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა შპს „ნ-ს“ (ამჟამად შპს „რ-ი“) დირექტორსა და თვით-

მმართველი ქ.რუსთავის მერიას შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, შპს „რ-ის“ ხელშემკვერელ მხარეს წარმოადგენდა ქ.რუსთავის მერია და არა საკრებულო. ის გარემოება, მოქმედებდა თუ არა თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერია ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებისას „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძო სამართლებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის არასათანადო მხარედ მიჩნევის საფუძველი ვერ გახდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თვითმმართველმა ქ.რუსთავის მერიამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომელიც შპს „რ-ის“ სარჩელის საფუძვლიანობას შეეხება. სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოსარჩელის მიერ განეული ხარჯები აუცილებლ ხარჯებად. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქირავნობის საგანი მოსარჩელეს 2008 წლის 28 სექტემბერს გადაეცა, ხოლო სარემონტო სამუშაოები შპს „რ-მა“ 2009 წლის მესამე კვარტალში ჩაატარა, ფაქტობრივად მას შემდეგ, რაც დაასრულა სასწავლო პროცესი და განახორციელა საკუთარი მიზანი. ერთი წლის განმავლობაში საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირება იმ მდგომარეობაში, როგორშიც ნივთი გადაეცა დამქირავებელს, მიუთითებს მოპასუხის მიერ უნაკლო ნივთის გადაცემაზე. საწინააღმდეგო ვითარებაში სარემონტო სამუშაოები ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა ჩატარებულიყო, დამქირავებელს კი, ნივთის ვარგისიანობის თაობაზე პრეტენზია არ გამოთქვამს.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, დამქირავებელი ვალდებული იყო, დროულად ჩაეტარებინა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და ამის თაობაზე ეცნობებინა დამქირავებლისთვის, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემ-

დეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანია ქირავნობის საგანზე დამქირავებლის მიერ განეული აუცილებელი ხარჯების გამქირავებლისათვის დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ დასაბუთებაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ მხარეებს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დამქირავებელს მფლობელობაში გადაეცა ქ.რუსთავეში, მიკრო რაიონში მდებარე №... ბაგა-ბაღის შენობაში 135 კვ.მ ფართი. ქირავნობის საგანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის გამოუსადეგარი იყო, რის გამოც მოსარჩელემ გასწია გარკვეული ხარჯები, რათა ნივთი ვარგისი ყოფილიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის. სამუშაოების ჩატარების თაობაზე ცნობილი იყო მოპასუხისათვის, თუმცა, მოპასუხე უარს აცხადებს ხარჯების ანაზღაურებაზე.

ამდენად, განსახილველი დავა წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, კერძოდ, ქირავნობის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას. შესაბამისად, პირველ რიგში უნდა შემოწმდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა სახელშეკრულებო (ქირავნობის) ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი, რომელიც ადგენს გამქირავებლის ვალდებულებას დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯები. ვიდრე შევამოწმებდეთ კასატორის პრეტენზიის საფუძვლიანობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს გააკეთოს აუცილებელი ხარჯების განმარტება, ხოლო შემდეგ პასუხი გასცეს მთავარ კითხვას: რა წინაპირობები უნდა არსებობდეს, რათა დადებითად გადაწყდეს აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების საკითხი?

სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე დათქმას აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით, ამიტომ საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამგვარი ხარჯების განმარტება უნდა მოხდეს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის სხვა ნორმების ანალიზის საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 532-ე, 533-ე და 537-ე მუხლებით განსაზღვრულია გამქირავებლის ვალდებულებები: გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის

ეს მდგომარეობა; გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი; გამოასწოროს ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს და რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობს ან შემდგომში აღმოჩნდება. ამავე კოდექსის 543-ე და 548-ე მუხლების მიხედვით განსაზღვრულია დამქირავებლის ვალდებულებები: გაქირავებული ნივთის ნაკლის აღმოჩენისას ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხის დადგომისას დაუყოვნებლივ აცნობოს დამქირავებელს; საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს მიმდინარე რემონტი, ხოლო დამქირავებლის თანხმობით განახორციელოს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთება ან რეკონსტრუქცია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ ვალდებულებათა დაცვა მნიშვნელოვანია ურთიერთობის თითოეული მონაწილისათვის იმდენად, რამდენადაც ამ ვალდებულებათა დარღვევა დაკავშირებულია მოთხოვნის წარმოშობასთან. მაგალითად: თუ დამქირავებელი დააყოვნებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება (537.2 მუხლი); თუ დამქირავებელი გასცდება მიმდინარე რემონტის ჩატარებას და დამქირავებლის თანხმობის გარეშე მოახდენს ნივთის გადაკეთების ან რეკონსტრუქციას, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (548.3 მუხლი).

როგორც წესი, მხარეები ხელშეკრულების დადების დროს იშვიათად თანხმდებიან თუ რა თვისებების მატარებული უნდა იყოს ქირავნობის საგანი, რათა იგი ჩაითვალოს ნივთობრივად უნაკლოდ, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 535-ე მუხლის თანახმად, თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ დამქირავებლის მიერ ნივთის მიღებისა და პრეტენზიის განუცხადებლობის შემთხვევაში, დამქირავებელს გადაეცა ნივთობრივად უნაკლო ნივთი. შესაბამისად, დამქირავებელი ვერ მიუთითებს იმ ნაკლზე, რომლის თაობაზეც მან იცოდა დამქირავებელთან შეთანხმების საფუძველზე ან ნაკლი ამკარად შესამჩნევი იყო ნივთის გადაცემის მომენტში და მიუხედავად ამისა, მიიღო სარგებლობაში, როგორც უნაკლო. ამგვარი მოცემულობის არსებობისას ნაკლის გამოსწორება არ უნდა დაეკისროს დამქირავებელს და იგი უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. ნივთობრივი ნაკლის არარსებობისას, როგორც ზემოთ განვმარტეთ, დამქირავებელი ვალდებულია ჩაატაროს მიმდინარე რემონტი

საკუთარი ხარჯებით, ამასთან, გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამონწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, იგი პასუხს არ აგებს (547-ე მუხლი).

ამდენად, თუკი ზემოაღნიშნული დასკვნა ემყარება იმ მსჯელობას, რომ გამქირავებლის მიერ საკუთარი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისას (დამქირავებლისათვის უნაკლო ნივთის გადაცემა) დამქირავებელს ეკისრება ნივთზე ზრუნვა, საპირისპირო მსჯელობა საპირისპირო დასკვნამდე მიგვიყვანს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამქირავებელს ნივთზე ხარჯების გაღება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობდა ან შემდგომში აღმოჩნდება ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს. სწორედ ის ხარჯები, რომელიც ნაკლის აღმოსაფხვრელად და ნივთის ვარგისიანობის აღსადგენად იქნება გაღებული, უნდა მივაკუთვნოთ აუცილებელი ხარჯების კატეგორიას. აუცილებლობა კი გამომდინარეობს ორივე მხარის ინტერესებიდან, ერთის მხრივ დამქირავებელმა ისარგებლოს ნივთით, ხოლო მეორეს მხრივ გამქირავებელმა მიიღოს სარგებელი.

ისმის კითხვა: აუცილებელი ხარჯების გაღება (ნაკლის აღმოფხვრა) დამქირავებელს შეუძლია თავისი ინიციატივით, ხარჯების შემდგომში ანაზღაურების მოთხოვნის პირობით, თუ გამქირავებლის სასარგებლოდ მოქმედებს ნაკლის გამოსწორების უპირატესობა?

სამოქალაქო კოდექსის 537-ე და 543-ე მუხლებით აღიარებულია ნაკლის არსებობის შესახებ გამქირავებლის წინასწარ შეტყობინების ვალდებულება. ამასთან, დამქირავებლის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა, თუკი გამქირავებელი ნაკლის გამოსწორების ვადას გადააცილებს. როგორც ვხედავთ, ნაკლის გამოსწორება მოქმედებს გამქირავებლის სასარგებლოდ. საკითხის ასე გადაწყვეტა მიზნად ისახავს გამქირავებლის ინტერესების დაცვას, რათა მან თავიდან აიცილოს დამქირავებლის მიერ ქირის შემცირების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. გარდა ამისა, გამქირავებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შეამოწმოს ნივთი და დაადგინოს, რეალურად არსებობს თუ არა ნაკლი, და თუ არ არის, შემდგომში ამის დამტკიცება შეძლოს.

სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ასევე იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც განეულია არაუფლებამოსილი შესრულების (დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების) ფარგლებში. ამ შემთხვევაში, მოთხოვნის სამარ-

თლებრივ საფუძველს 545-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთად წარმოადგენს 973-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა უნდა განიმარტოს სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლთან ერთად, რომელიც 973-ე მუხლიდან საგამონაკლისო წესს ადგენს, კერძოდ, შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს განუული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მე-პატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს.

ამდენად, იმისათვის, რათა დადებითად გადაწყდეს აუცილებელი ხარჯების დაკისრების საკითხი, უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: სახეზე უნდა იყოს ნივთობრივი ნაკლი და გამჭირავებელი უნდა იმყოფებოდეს ნაკლის გამოსწორების ვადის გადაცილებაში, ან დამჭირავებლის მიერ არაუფლებამოსილი შესრულების ფარგლებში განხორციელებული აუცილებელი შესრულება უნდა შეებამებოდეს დაინტერესებული პირის (მეპატრონის) ინტერესსა და ნებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ:

2008 წლის 15 ოქტომბერს შპს „ნ-ს“ (ამჟამად შპს „რ-ი“) და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მერიას შორის 2009 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება. დამჭირავებელს მფლობელობაში გადაეცა ქ.რუსთავში, მე-... მ/რ №... ბაგა-ბაღის შენობაში არსებული 135 კვ.მ ფართი.

მხარეებს შორის ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 28 სექტემბერს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით. ამასთან, მხარეებმა ხელშეკრულებით დაადგინეს, რომ ფართი განკუთვნილი იქნებოდა არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განსათავსებლად.

შპს „რ-ის“ მიერ 2009 წლის მესამე კვარტლის დონეზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 13704,12 ლარს, ხოლო იმ სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება, რომლებიც დემონტირებულია – 7958,25 ლარს.

სარემონტო სამუშაოების აღწერა შემდეგია: დაცვის მიზნით, პირველ სართულზე ამოშენებულ იქნა ფანჯრები და კარები; ჩატარდა სამღებრო სამუშაოები სკოლის შემოსასვლელ ფოიეში და ერთ საკლასო ოთახში; შეყვანილ და დამონტაჟებულ იქნა წყლისა და საკანალიზაციო სისტემა; განხორციელდა სანტიქნიკის სამუშაოები; მეორე სართულზე ამოშენებულ იქნა კედლები და ფანჯრები; გამაგრებულ და შეღებილ იქნა კარებები;

კარებებს დაუყენდა საკეტები; რვა საკლასო ოთახში შეყვანილ იქნა ელექტრო სადენები და დამონტაჟებულ იქნა მრიცხველი; დამონტაჟებულ იქნა რკინის კარი და ფანჯრის გისოსი; ორ საკლასო ოთახში დაიგო იატაკი, ხოლო რვა საკლასო ოთახსა და დერეფანში ჩატარდა სამალიარო სამუშაოები.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოების გამო განეული ხარჯები, მათი ხასიათის, ფუნქციური დანიშნულებისა და დაქირავებული ფართის მიზნობრიობიდან გამომდინარე, წარმოადგენდა იმ აუცილებელ ხარჯებს, რაც ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად იყო საჭირო. მოცემული დასკვნით ცალსახად დასტურდება ის გარემოება, რომ დაქირავებულს გამქირავებელმა გადასცა ნაკლიანი ნივთი.

კასატორი არ ეთანხმება მოსარჩელისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის საკითხს და მიიჩნევს, რომ ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან, კერძოდ, კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტებზე, რომლის თანახმადაც, შპს „რ-ი“ ქირავნობის საგანს განკარგავდა ჯერ კიდევ 2008 წლის 28 სექტემბრიდან, მას არ გამოუთქვამს პრეტენზია ნივთის ვარგისიანობის შესახებ, ხოლო სარემონტო სამუშაოები ჩატარა 2009 წლის მესამე კვარტალში. აქედან გამომდინარე, ჩატარებული სამუშაოები წარმოადგენს მიმდინარე რემონტზე განეულ ხარჯებს და არა აუცილებელ ხარჯებს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან ცალსახად არ დგინდება, რომ მოსარჩელეს გადაეცა ნივთობრივად ნაკლიანი ნივთი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა, საიდანაც ირკვევა, რომ ძირითადი სამუშაოები შესრულებულ იქნა 2009 წლის მე-3 კვარტალში.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარის შეპასუხება, სადაც ეს უკანაკნელი განმარტავს, რომ ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნები საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციისათვის და ბუნებრივია, როდესაც დაქირავებული ქირაობს ფართს ამ დანიშნულებით და გამქირავებლისთვისაც კარგად არის ცნობილი მისი კეთილმოწყობა, მიზნობრიობიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება სარემონტო სამუშაოების წარმოება, ვერ გამოდგება ნივთობრივი ნაკლის არარსებობის გასაქარნლებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე' ქვეპუნქტის მიხედვით, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო პალატის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე არ არის დადგენილი დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება (მაგალითად: იცოდა თუ არა ნაკლის თაობაზე ნივთის გადაცემისას მოსარჩელემ და შეატყობინა თუ არა ამის თაობაზე მოპასუხეს; არსებობდა თუ არა მხარეთა შორის შეთანხმება ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით; მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოქმედებები შეესაბამებოდა თუ არა მოპასუხის ინტერესსა და ნებას), რის გამოც შეუძლებელია გასაჩივრებული გადანყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის სააპელაციო წესით ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს სახეზეა თუ არა აუცილებელი ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ყველა ის წინაპირობა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი და მხოლოდ ამის შემდეგ გადანვიტოს დავა.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ამასთანავე, ვინაიდან წინამდებარე განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თვითმმართველი ქ.რუსთავის მერიის საკასაციო საჩივა-

რი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-750-718-2014

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუერი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჯ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ტ. და ა. ჯ-ების მიმართ 2012 წლის 23 ივნისს ქ.თბილისში, მ-ის ქ. №6-ში და 2013 წლის 15 მარტს ქ.თბილისში, დაბა წ-ის მ.წ-ის ქ. №19-ში მდებარე უძრავ ქონებაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, ასევე ა. ჯ-ის საკუთრებად აღრიცხული ზემოხსენებული ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1977 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა მამამისი – ვ. ჯ-ე. სამკვიდრო ქონებას შეადგენდა ქ.თბილისში, წ-ში, მ.წ-ში მდებარე ქ. №19-ის 1/2 ნაწილი, ასევე ქ.თბილისში, მ-ის ქ. №6-ში მდებარე სახლის 2/6 ნაწილის 1/2, ვინაიდან 2/6-ის 1/2 ნაწილი, როგორც ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება, ეკუთვნოდა დედას – ტ. ჯ-ს.

1978 წლის 29 ივნისს №25-145 კანონიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე, დედამ – ტ. ჯ-მ მემკვიდრე-

ობით მიიღო მამის სამკვიდრო ქონება სრულად, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ.

მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ 2012 წლის 23 ივნისს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დედამ – ტ. ჯ-მ მოსარჩელის დას – ა. ჯ-ს აჩუქა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ხოლო 2013 წლის 15 მარტს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ა. ჯ-ს აჩუქა ქ.თბილისში, დაბა წ-ის მ.წ-ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მამის სამკვიდრო ქონებიდან, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ეკუთვნოდა 1/2 ნაწილი, რომელსაც ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელემ განმარტა, რომ უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და, სამკვიდროს მიღების მიზნით, განხორციელებული მოქმედებები, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას. ასეთად მიიჩნევა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე სახლში, მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების დაუფლება, გადასახადების გადახდა, დამქირავებლისათვის ქირის გადახდევინება და ასე შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში მ. ჯ-მ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო, რაც სასამართლო პროცესზე თავად მოპასუხეებიც ვერ უარყვეს.

მოსარჩელემ ჩათვალა, რომ ტ. ჯ-სა და ა. ჯ-ს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებები არის მოჩვენებითი და თვალთმაქცური, ვინაიდან მხარეებს სურდათ, მ. ჯ-ს არ მიეღო კუთვნილი წილი მამის სამკვიდროდან და ფორმალურად, მოსარჩენებლად გააფორმეს ჩუქების ხელშეკრულება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სასარჩელო პრეტენზია არათანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგოა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსარჩელე ეჭვქვეშ აყენებს 1978 წელს გაცემულ სამკვიდრო მონუმობას, რა ნაწილშიც მისი მოთხოვნა ხანდაზმულია. რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, მოპასუხემ მიიჩნია, რომ მ. ჯ-მ სადავო გარიგებების მოჩვენებითი ან თვალთმაქცური ხასიათითანადოდ ვერ დაასაბუთა. ფაქტობრივად, სადავო ქონება ტ. ჯ-მ სრულიად კანონიერად აჩუქა თავის შვილს – ა. ჯ-ს, რისი ბათილობის საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა საპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. ჯ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ა. ჯ-სა და ტ. ჯ-ს შორის 2013 წლის 15 მარტს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ქ. თბილისში, დაბა წ-ში, მ. წ-ის ქ. №19-ში მდებარე უძრავ ნივთზე 1/6 ნაწილში და მ. ჯ-ე ცნობილ იქნა მითითებული უძრავი ნივთის 1/6 ნაწილის მესაკუთრედ, ასევე ბათილად იქნას ცნობილი ა. ჯ-სა და ტ. ჯ-ს შორის 2012 წლის 23 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ქ.თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავ ნივთზე 1/18 ნაწილში და მ. ჯ-ე ცნობილ იქნა მითითებული უძრავი ნივთის 1/18 ნაწილის მესაკუთრედ, ტ. ჯ-სა და ა. ჯ-ს მ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 1380 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ჯ-ე და ტ. ჯ-ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. აპელანტი მ. ჯ-ე წარმოადგენს ვ. ჯ-ისა და ტ. ჯ-ის შვილს.

1977 წლის 19 დეკემბერს ვ. ჯ-ე გარდაიცვალა. მის სამკვიდრო ქონებას წარმოადგენს ქ.თბილისში, მ-ს №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 წილი და ასევე დაბა წ-ში, მ. წ-ის №19-ში მდებარე მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ჯ-ს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე – ტ. ჯ-ე (მოსარჩელის დედა), შვილები – მ. და ა. ჯ-ები.

1978 წლის 29 ივნისის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის თანახმად, მამკვიდრებელ ვ. ჯ-ის ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილ იქნა მეუღლე ტ. ჯ-ე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და, პალატის მითითებით, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ პირველი რიგის სამივე მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდრო ქონებას.

2012 წლის 23 ივნისის ჩუქების ხელშეკრულებით ტ. ჯ-მ ა. ჯ-ს საჩუქრად გადასცა ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 წილი და 2013 წლის 15 მარტის ჩუქების ხელშეკრულებით – ქ.თბილისში, დაბა წ-ში, მ. წ-ის ქ. №19-ში მდებარე უძრავი ქონება.

ამჟამად, ქ. თბილისში, დაბა წ-ში, მ. წ-ის ქ. №19-ში მდებარე უძრავი ქონებაზე და ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 ნაწილზე რეგისტრირებულია ა. ჯ-ის საკუთრების უფლება

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში წარდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა 1977 წელს გარდაცვლილი მამკვიდრებლის – ვ. ჯ-ის სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილების მიკუთვნება. ამდენად, ვ. ჯ-ის სამკვიდრო გაიხსნა ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე. ზემოთ მითითებული მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მისი სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები უნდა მოწესრიგდეს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) შესაბამისი ნორმებით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე, 556-ე მუხლებით და საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამდენად, ვ. ჯ-ის გარდაცვალებით სამკვიდრო გაიხსნა ქ. თბილისში, დაბა ნ-ში, მ. ნ-ის ქ. №19-ში მდებარე ქონების 1/2 ნაწილზე და ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 წილის 1/2 ნაწილზე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი რიგის სამივე მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდრო ქონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამკვიდროს – ქ. თბილისში, დაბა ნ-ში, მ. ნ-ის ქ. №19-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/6 წილის (1/2 ნაწილის 1/3 წილი) და ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/18 წილის (2/6 ნაწილის 1/3 წილი) მესაკუთრედ მიჩნეული უნდა იქნეს კანონისმიერი მემკვიდრე მ. ჯ-ე.

სააპელაციო პალატამ არ გააზიარა მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია, მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება მოთხოვნებზე, რომელთა განხორციელებაც დროში იზღუდება და გარკვეულ ჩარჩოში ექცევა.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საკუთრების უფლება, რომლის მიხედვით ცალკეული პირი უფლებამოსილია, კონკრეტულ ნივთზე მოიპოვოს საკუთრების უფლება სათანადო გარიგებით თუ კანონის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ჯ-მ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლების გზით მოიპოვა საკუთ-

რების უფლება უძრავ ქონებაზე. საკუთრების უფლება აბსოლუტური სანივთო უფლების კლასიკური სახეა, რომელიც დროში არ იზღუდება. აბსოლუტური უფლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი სხვა პირთა ქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ უფლების განხორცილება უფლებამოსილი პირის აბსოლუტური ძალაუფლების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მისი დაცვა უზრუნველყოფილია ნებისმიერი შესაძლო ხელყოფისაგან. ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მის საკუთრებაში არსებულ ნივთზე უფლების დაცვა. შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სამკვიდრო მონუმობითა და ჩუქების ხელშეკრულებებით უკანონოდ განიკარგა ვ. ჯ-ის, ხოლო შემდგომში მისი შვილის – მ. ჯ-ის ქონება. აღნიშნულით შეილახა მოსარჩელის საკუთრების უფლება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ნაწილში სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება ტ. და ა. ჯ-ებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორებმა აღნიშნეს, რომ სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლსა და იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელემ სამკვიდრო ფაქტობრივად მიიღო. სამემკვიდრეო საქმეებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სამკვიდრო ქონებაზე პრეტენზიის მქონე პირი, უპირველეს ყოვლისა, ითხოვს სამკვიდრო მონუმობის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობას, ვინაიდან სწორედ სამკვიდრო მონუმობა არის ის იურიდიული უფლებადამდგენი დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს სხვა პირს (ამ შემთხვევაში ტ. ჯ-ს) უფლებას, გახდეს სამკვიდრო ქონების ერთადერთი მესაკუთრე.

სწორედ 1978 წლის 29 ივნისს, ნოტარიუს გ. კ-ის მიერ გაცემული სამკვიდრო მონუმობა გახდა ის იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ტ. ჯ-მ მიიღო გარდაცვლილი მეუღლის – ვ. ჯ-ის სამკვიდრო ქონება და გახდა მისი ერთადერთი მესაკუთრე. მ. ჯ-ს პირველ რიგში ამ დოკუმენტის ნაწილობრივი ბათილობა უნდა მოეთხოვა.

კასატორების მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა,

რაში გამოიხატებოდა ხელშეკრულებათა თვალთმაქცურობა ან მოჩვენებითობა. სადავო ჩუქების ხელშეკრულებას მოჰყვა კონკრეტული იურიდიული შედეგი – დედა ტ. ჯ-მ უძრავი ქონება აჩუქა შვილს – ა. ჯ-ს. მოხდა მესაკუთრის ფაქტობრივი შეცვლა, ხოლო მოჩვენებით გარიგების დროს, გარიგება იდება თვალის ასახვევად, ისე, რომ მას არ მოჰყვება არავითარი იურიდიული შედეგი.

კასატორების მითითებით, მოსარჩელემ ასევე არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის დათქმა. ფაქტობრივად, 1978 წლიდან კასატორი არა მარტო იყო სადავო ქონების მესაკუთრე, არამედ ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, ის ფლობდა აღნიშნულ ქონებას, როგორც საკუთარს და რეგისტრირებული იყო თავდაპირველად ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, ხოლო მოგვიანებით მესაკუთრის სტატუსით – საჯარო რეესტრში. თუ დავუშვებთ, რომ ტ. ჯ-ე არაკეთილსინდისიერად ფლობდა სადავო ქონებას, რეგისტრაციის არსებობა (ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თვით საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და არა იმდენად პირის სუბიექტური დამოკიდებულება შეძენის ნამდვილობის მიმართ) კიდევ აბათილებს არაკეთილსინდისიერ ნებას. აღნიშნული ვადის დინება იწყება 1993 წლის 23 ივლისიდან, საკუთრების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებიდან. მთელი ამ ხნის მანძილზე, ანუ 1978 წლიდან (თუნდაც 1993 წლიდან) მოსარჩელემ იცოდა სამკვიდრო ქონების ტ. ჯ-ის სახელზე აღრიცხვის შესახებ, მაგრამ სადავო არ გაუხდია იგი.

კასატორთა განმარტებით, საქალაქო სასამართლომ ყველა ზემოჩამოთვლილი არგუმენტი გაითვალისწინა და აბსოლუტურად სწორად უთხრა უარი მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისას მ. ჯ-მ სააპელაციო საჩივარში, სასარჩელო განცხადებისაგან განსხვავებით, მიუთითა, რომ ტ. ჯ-მ 1978 წელს დაუმალა ნოტარიუს გ.კ-ს, პირველი რიგის სხვა მემკვიდრის არსებობა და გახდა მთელი ქონების მესაკუთრე. სადავო ფართის დამალვის დამადასტურებელი ახალი მტკიცებულება მხარეს არ წარუდგენია.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, კასატორმა იმთავითვე აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, არ იყო მითითება, თუ რა საკითხი გადაწყვიტა პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად უსწო-

როდ, რა გარემოება არ გაითვალისწინა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აღნიშნულზე.

კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლს (უფრო ზუსტად კი, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე მითითებით, 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე და 556-ე მუხლებზე).

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ თავად განმარტა, რომ არსებობდა (და დღესაც არსებობს) სამკვიდროს მიღების ორი ალტერნატიული გზა. სასამართლომ დაადგინა, რომ 1978 წელს ტ. ჯ-მ სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში მიმართვით მიიღო სამკვიდრო ქონება, ხოლო მ. ჯ-მ სამკვიდრო მიიღო ფაქტობრივი ფლობით, მაგრამ სასამართლოს არ გამოუყველევია პრინციპული საკითხი, როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილება ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სამკვიდროს ორი მიმღები, სამკვიდროს მიღების სხვადასხვა ფორმით.

კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სწორედ ამ შემთხვევაში იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის ბათილობის მოთხოვნის საკითხი, ვინაიდან, ერთი მხრივ, არსებობს კანონიერ ძალაში შესული იურიდიული დოკუმენტაცია (სამკვიდრო მონუმობა), ხოლო, მეორე მხრივ, – ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც კიდევ მოითხოვს დამტკიცებას. ცხადია, რომ სასამართლომ უნდა ცნოს ნაწილობრივ ბათილად მაგრამ აპელანტ მ. ჯ-ს სარჩელით არ მოუთხოვია 1978 წლის 29 ივნისის გაცემული №26-145 კანონისმიერი შემკვიდრების მონუმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ისე ცნო ეს უკანასკნელი სადავო ქონების 1/6-ის მესაკუთრედ, რომ საერთოდ არ უმსჯელია (და ვერც იმსჯელებდა, მოთხოვნის არარსებობის გამო) სამკვიდრო მონუმობის ბათილობაზე.

კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლომ, ყოველგვარი იურიდიული დასაბუთების გარეშე, მხოლოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 556-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილება გამოიტანა იმ ქონებაზე, რომელსაც მოცემული სასარჩელო განცხადებისა და სააპელაციო საჩივრის პირობებში ვერანაირად ვერ მიაკუთვნებდა აპელანტს, სათანადო მოთხოვნის (სამკვიდრო მონუმობის ნაწილობრივ ბათილობა) გარეშე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა კანონი – საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 556-ე

მუხლი.

კასატორთა განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხეებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე საუბარი იყო მხოლოდ საქმის საქალაქო სასამართლოში განხილვის საწყის ეტაპზე, როდესაც მოსარჩელემ განაცხადა, რომ მისთვის მხოლოდ 2013 წელს გახდა ცნობილი, რომ მამის სამკვიდრო ქონება მთლიანად აღირიცხა ტ. ჯ-ის სახელზე, თუმცა, მოგვიანებით თავად მოხსნა აღნიშნული საკითხი და არც მოპასუხე მხარეს აღარ გაუმახვილებია ყურადღება მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. საქმის განხილვის შემდგომ ეტაპებზე მოპასუხეები აპელირებდნენ ტ. ჯ-ის მესაკუთრედ რეგისტრაციის 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლი), ეს კი სულ სხვა სამართლებრივი ინსტიტუტია.

რაც შეეხება სადავო გარიგებების ბათილად ცნობის საკითხს, კასატორთა მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მ. ჯ-ს მამის დანაშთ ქონებაზე, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, შესაძლოა, ჰქონოდა გარკვეული უფლებები, მაგრამ ტ. ჯ-ის სახელზე მთელი სამკვიდროს რეგისტრაციის ფაქტით, ტ. ჯ-ს წარმოემვა საკუთრების უფლება აღნიშნულ ქონებაზე. აღნიშნული მითითება ზუსტად ხსნის ჩუქების ხელშეკრულებების ნამდვილობას.

კასატორებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მოცემული ტიპის დავებზე ყველა მოსარჩელე, უპირველეს ყოვლისა, ითხოვდა უფლებადამდგენი დოკუმენტების (კანონისმიერი სამკვიდრო მონშობის, ანდერძისმიერი სამკვიდრო მონშობის, შინაურული ანდერძის) ბათილობას ან გაუქმებას და ეს ლოგიკურიც არის, ვინაიდან უფლებადამდგენი დოკუმენტის იურიდიული ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის ადგენს ან ცვლის ახალი ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მონაწილეებს აქვთ როგორც უფლებები, ასევე ვალდებულებები. 1978 წლის 29 ივნისს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მონშობის ძალით, ტ. ჯ-მ მოიპოვა საკუთრების უფლება გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდრო ქონებაზე (საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი გახდა), იმავდროულად, მას დაეკისრა სამართლებრივი ვალდებულებები ქონების მოვლის, გადასახადების გადახდის და ა.შ. ამრიგად, სწორედ სამკვიდრო მონშობა გახდა ის გადამწყვეტი დოკუმენტი, რითაც ტ. ჯ-მ მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. ყველა შემდგომი ქმე-

დება (ჩუქების ხელშეკრულებები) წარმოებულია ძირითადი უფლებადამდგენი დოკუმენტისაგან. სწორედ ამ დოკუმენტის ნამდვილობაზე აპელირებდა და ახლაც აპელირებს კასატორი მხარე. დოკუმენტი არ გასაჩივრებულა, ის დღესაც კანონიერ ძალაშია და, სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის გარეშე, ვერ გაუქმდება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა შეეძლო მხოლოდ ჩუქების ხელშეკრულებათა ნამდვილობა-ბათილობის ფარგლებში. სხვა მხრივ, სააპელაციო პალატა სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობასა და სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობაზე ვერ იმსჯელებდა. აღნიშნული მოთხოვნები დამოუკიდებელ დავის საგანს წარმოადგენს.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე მხარის განმარტებები ჩათვალა იმის დამადასტურებლად, რომ მ. ჯ-ე ცხოვრობდა სადავო ბინაში, შესაბამისად, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა სამკვიდრო ქონებას. არც პირველი ინსტანციის სასამართლოში, არც სააპელაციო განხილვის დროს აპელანტი არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ მამის სიცოცხლეშივე, კერძოდ, 1969 წელს ის ამოენერა სადავო ბინიდან, ვინაიდან მიიღო ახალი ბინა ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №158ა-ში. ოჯახის შექმნამდე ის პერიოდულად ცხოვრობდა სახელმწიფო საბინაო ფონდის ბინაში, ხანაც მამისეულ ბინაში. ოჯახის შექმნის შემდეგ კი, მ. ჯ-ე უკვე გადავიდა საცხოვრებლად სახელმწიფო საბინაო ფონდის ბინაში. სასამართლოს აღნიშნულზე არ უმსჯელობია.

კასატორებმა მიიჩნიეს, რომ მ. ჯ-მ შეცდომაში შეიყვანა სააპელაციო სასამართლო, როდესაც სააპელაციო საჩივარში განაცხადა, რომ ტ. ჯ-მ სანოტარო ორგანოს დაუმალა სხვა პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის თაობაზე. აღნიშნული გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც.

კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საესებით სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე. მხარეებს შორის 1979 წელს წარმოშობილი ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს არა მარტო სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1964 წლის რედაქცია), არამედ საქართველოს სსრ 1974 წლის 27 დეკემბრის კანონით „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 ივნისის №455-ე დადგენილებით „საქართველოს სსრ სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ინსტრუქცია (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი) ავალდებულებდა ყველა სახელმწიფო სანოტარო კანტორას, მოეთ-

ხოვათ კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის გაცემის მოთხოვნით შემოსული მოქალაქეებისაგან, გარდა საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტების წარდგენისა (გარდაცვალების მონუმობა, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდაცვლილის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი), წარედგინათ ინფორმაცია სხვა პირველი რიგის მემკვიდრეთა არსებობის თაობაზე და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, სანოტარო კანტორაში ნოტარიუსის თანდასწრებით შედგენილი მათი წერილობითი განცხადება (პოზიცია) სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 2013 წლის ივნისში, მას შემდეგ რაც მ. ჯ-მ წარადგინა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, კასატორმა მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას და მოითხოვა 1978 წლის 29 ივნისს ქ.თბილისის ნოტარიუს გ.კ-ის მიერ გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის დამადასტურებელ №26-145 მონუმობაზე თანდართული დოკუმენტების გაცნობა, მაგრამ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლის განცხადებით, მიმდინარეობდა ძველი საარქივო სანოტარო საქმეების სისტემატიზაცია, მათი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა და დოკუმენტების გაცნობა შესაძლებელი გახდებოდა 2013 წლის ბოლოდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას უკვე გამოტანილი ჰქონდა გადაწყვეტილება, როდესაც კასატორმა წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას და მოითხოვა არქივში დაცული №26-145 სანოტარო საქმე.

კასატორთა მითითებით, 2014 წლის 9 ივნისს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ მათ გადასცა დოკუმენტური პასუხი, აღნიშნული სანოტარო საქმის დამონმებული ქსეროასლები, სულ – 24 ფურცლად. აღნიშნული წარმოების მე-20 გვერდზე დაცულია მ. ჯ-ის მიერ შესრულებული განცხადება, რომლითაც ის უარს აცხადებს თავის სამკვიდრო წილზე დედის – ტ. ჯ-ის სასარგებლოდ. 21-ე გვერდზე ანალოგიური შინაარსის განცხადება აქვს დაწერილი ა. ჯ-საც. ამრიგად, ნოტარიუსმა გ.კ-მა ზედმინევენით ზუსტად შეასრულა ინსტრუქციით დადგენილი მითითებები და აბსოლუტურად კანონიერად გასცა სამკვიდრო მონუმობა ერთადერთ კანონისმიერ მემკვიდრეზე. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, აპელანტის უსაფუძვლო მოთხოვნა სრულიად კარგავს იურიდიულ საფუძველს, ვინაიდან ამჟამად მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1446-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრის განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შე-

სახებ შეუქცევადია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ტ. და ა. ჯ-ების საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით, ხოლო 2015 წლის 10 მარტის განჩინებით კი ცნობილი იქნა დასაშვებად ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ვ. ჯ-ე და ტ. ჯ-ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. აპელანტი მ. ჯ-ე წარმოადგენს ვ. ჯ-ისა და ტ. ჯ-ის შვილს.

1977 წლის 19 დეკემბერს ვ. ჯ-ე გარდაიცვალა. მის სამკვიდრო ქონებას წარმოადგენს ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 წილი და ასევე დაბა ნ-ში, მ. ნ-ის №19-ში მდებარე მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

ვ. ჯ-ს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე – ტ. ჯ-ე (მოსარჩელის დედა), შვილები – მ. და ა. ჯ-ები.

1978 წლის 29 ივნისის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის თანახმად, მამკვიდრებელ ვ. ჯ-ის ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილ იქნა მეუღლე ტ. ჯ-ე.

პირველი რიგის სამივე მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდრო ქონებას.

2012 წლის 23 ივნისის ჩუქების ხელშეკრულებით ტ. ჯ-მ ა. ჯ-ს საჩუქრად გადასცა ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 წილი და 2013 წლის 15 მარტის ჩუქების ხელშეკრულებით – ქ. თბილისში, დაბა ნ-ში, მ. ნ-ის ქ. №19-ში მდებარე უძრავი ქონება.

ამჟამად, ქ. თბილისში, დაბა ნ-ში, მ. ნ-ის ქ. №19-ში მდებარე უძრავი ქონებაზე და ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 ნაწილზე რეგისტრირებულია ა. ჯ-ის საკუთრების უფლება

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ

შემთხვევაში წარდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა 1977 წელს გარდაცვლილი მამკვიდრების – ვ. ჯ-ის სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილების მიკუთვნება. ამდენად, ვ. ჯ-ის სამკვიდრო გაიხსნა ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე. ზემოთ მითითებული მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მისი სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები უნდა მონესრიგდეს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) შესაბამისი ნორმებით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე, 556-ე მუხლებით და საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამდენად, ვ. ჯ-ის გარდაცვალებით სამკვიდრო გაიხსნა ქ. თბილისში, დაბა ნ-ში, მ.წ-ის ქ. №19-ში მდებარე ქონების 1/2 ნაწილზე და ქ. თბილისში, მ-ის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 წილის 1/2 ნაწილზე.

ვინაიდან კასატორს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

ტ. და ა. ჯ-ების კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, აგრეთვე გადანყვეტილება არ არის იურიდიულად დასაბუთებული, რადგან სასარჩელო მოთხოვნა იმდენად არსრულად და არასწორად იყო წარდგენილი, რომ ჯერ კიდევ პირველ ინსტანციაში არ არსებობდა საარჩელის დაკმაყოფილების არავითარი სამართლებრივი საფუძვლები. კასატორების აღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორებმა წარმოადგინეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო თანამესაკუთრედ აღიარება და სადავო ორი ქონების ჩუქების ხელშეკრულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოჩვენებითობისა და თვალთმაქცურობის მოტივით, უნდა შეფასდეს მოცემული ურთიერთობების სამართლებრივი ასპექტები და მისგან გამომდინარე, მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემომებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნებს აფუძნებდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1977 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა მამამისი – ვ. ჯ. ე. სამკვიდრო ქონებას შეადგენდა ქ.თბილისში, ნ-ში, მ.წ-ში მდებარე ქ. №19-ის 1/2 ნაწილი, ასევე ქ.თბილისში, მ-ის ქ. №6-ში მდებარე სახლის 2/6 ნაწილის 1/2, ვინაიდან 2/6-ის 1/2 ნაწილი, როგორც ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება, ეკუთვნოდა დედას – ტ. ჯ.-ს.

1978 წლის 29 ივნისს №26-145 კანონიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე, დედამ – ტ. ჯ.-მ მემკვიდრეობით მიიღო მამის სამკვიდრო ქონება სრულად, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ.

მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ 2012 წლის 23 ივნისს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დედამ – ტ. ჯ.-მ მოსარჩელის დას – ა. ჯ.-ს აჩუქა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ხოლო 2013 წლის 15 მარტს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ა. ჯ.-ს აჩუქა ქ.თბილისში, დაბა ნ-ის მ.წ-ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მამის სამკვიდრო ქონებიდან, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ეკუთვნოდა 1/2 ნაწილი, რო-

მელსაც ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელემ განმარტა, რომ უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და, სამკვიდროს მიღების მიზნით, განხორციელებული მოქმედებები, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას. ასეთად მიიჩნევა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე სახლში, მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების დაუფლება, გადასახადების გადახდა, დამქირავებლისათვის ქირის გადახდევინება და ასე შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში მ. ჯ-მ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო, რაც სასამართლო პროცესზე თავად მოპასუხეებიც ვერ უარყვეს. მოსარჩელემ ჩათვალა, რომ ტ. ჯ-სა და ა. ჯ-ს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებები არის მოწვევებითი და თვალთმაქცური, ვინაიდან მხარეებს სურდათ, მ. ჯ-ს არ მიეღო კუთვნილი წილი მამის სამკვიდროდან და ფორმალურად, მოსარჩევნებლად გააფორმეს ჩუქების ხელშეკრულება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიქცნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არამართებულად გამოიყენა საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 566-ე მუხლი, აგრეთვე საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიც-

ცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლო-სათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-4-ე მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში.

ამასთან, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. სასამართლო, სამოქალაქო საქმის განხილვისას შებოჭილია მხარეთა მოთხოვნებით და მას არა აქვს უფლება, იმსჯელოს იმ საკითხებზე, რაც სარჩელით არ არის განსაზღვრული. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სადავო უძრავ ნივთებზე მ. ჯ-ის (მოსარჩელის) თანამესაკუთრედ ცნობა. ამასთან, სარჩელით სადავოდ გამხდარი არ არის თავად საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი ანუ სამკვიდრო მონაწილის ბათილად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელეს არ მოუთხოვია 1978 წლის 29 ივნისის ნოტარიუს გ. კ-ის მიერ გაცემული სამკვიდრო მონაწილის №26-145 ნაწილობრივ ბათილად ცნო-

ბა. სწორედ ეს სამკვიდრო მონუმობა გახდა ის იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ტ. ჯ-მ მიიღო გარდაცვლილი მეუღლის – ვ. ჯ-ის სამკვიდრო ქონება და გახდა მისი ერთადერთი მესაკუთრე. მ. ჯ-ს პირველ რიგში ამ დოკუმენტის ნაწილობრივი ბათილობა უნდა მოეთხოვა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი და ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ სამკვიდრო ფაქტობრივად მიიღო. სამემკვიდრეო საქმეებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სამკვიდრო ქონებაზე პრეტენზიის მქონე პირი, უპირველეს ყოვლისა, ითხოვს სამკვიდრო მონუმობის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობას, ვინაიდან სწორედ სამკვიდრო მონუმობა არის ის იურიდიული უფლებადამდგენი დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს სხვა პირს (ამ შემთხვევაში ტ. ჯ-ს) უფლებას, გახდეს სამკვიდრო ქონების ერთადერთი მესაკუთრე. (სუსგ საქმე №ას-624-592-2014, 28 ნოემბერი, 2014; სუსგ საქმე №ას-1237-1182-2013, 2 ივნისი, 2014; სუსგ საქმე №ას-978-936-2013, 4 მარტი, 2014; სუსგ საქმე №ას-609-580-2013, 6 სექტემბერი, 2013.)

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დანაწესი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლს (უფრო ზუსტად კი, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე მითითებით, 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე და 556-ე მუხლებზე).

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964

წლის რედაქციით) 556-ე მუხლის შესაბამისად, არსებობდა (და დღესაც არსებობს) სამკვიდროს მიღების ორი ალტერნატიული გზა. დაადგინილია, რომ 1978 წელს ტ. ჯ-მ სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში მიმართვით მიიღო სამკვიდრო ქონება, ხოლო მ. ჯ-მ სამკვიდრო მიიღო ფაქტობრივი ფლობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ამ შემთხვევაში იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის ბათილობის მოთხოვნის საკითხი, ვინაიდან, ერთი მხრივ, არსებობს კანონიერ ძალაში შესული იურიდიული დოკუმენტი (სამკვიდრო მონუმობა), ხოლო, მეორე მხრივ, – ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც კიდევ მოითხოვს დამტკიცებას. ცხადია, რომ სასამართლომ სამკვიდრო მონუმობა ჯერ უნდა ცნოს ნაწილობრივ ბათილად, მაგრამ მ. ჯ-ს სარჩელით არ მოუთხოვია 1978 წლის 29 ივნისს გაცემული №26-145 კანონისმიერი მემკვიდრეობის მონუმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ისე ცნო მოსარჩელე (აპელანტი) სადავო ქონების 1/6-ის მესაკუთრედ, რომ საერთოდ არ უმსჯელია (და ვერც იმსჯელებდა, მოთხოვნის არარსებობის გამო) სამკვიდრო მონუმობის ბათილობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, იურიდიული დასაბუთების გარეშე, მხოლოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 556-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილება გამოიტანა იმ ქონებაზე, რომელსაც მოცემული სასარჩელო განცხადებისა და სააპელაციო საჩივრის პირობებში ვერანაირად ვერ მიაკუთვნებდა აპელანტს, სათანადო მოთხოვნის (სამკვიდრო მონუმობის ნაწილობრივ ბათილობა) გარეშე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა კანონი – საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 556-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მოცემული ტიპის დავებზე მოსარჩელე, უპირველეს ყოვლის, ითხოვს უფლებდამდგენი დოკუმენტების (კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის, ანდერძისმიერი სამკვიდრო მონუმობის, შინაურული ანდერძის) ბათილობას ან გაუქმებას და ეს ლოგიკურიც არის, ვინაიდან უფლებდამდგენი დოკუმენტის იურიდიული ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის ადგენს ან ცვლის ახალი ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მონაწილეებს აქვთ როგორც უფლებები,

ასევე ვალდებულებები. 1978 წლის 29 ივნისს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მონუმობის ძალით, ტ. ჯ-მ მოიპოვა საკუთრების უფლება გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდრო ქონებაზე (საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი გახდა), იმავდროულად, მას დაეკისრა სამართლებრივი ვალდებულებები ქონების მოვლის, გადასახადების გადახდის და ა.შ. ამრიგად, სწორედ სამკვიდრო მონუმობა გახდა ის გადამწყვეტი დოკუმენტი, რითაც ტ. ჯ-მ მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. ყველა შემდგომი ქმედება (ჩუქების ხელშეკრულებები) წარმოებულია ძირითადი უფლებადამდგენი დოკუმენტისაგან. დოკუმენტი არ გასაჩივრებულა, ის დღესაც კანონიერ ძალაშია და, სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის გარეშე, ვერ გაუქმდება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულებით თითქოსდა განიკარგა მ. ჯ-ის ქონება და აღნიშნულით შელახული იქნა მოსარჩელის საკუთრების უფლება.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საკუთრების უფლება, რომლის მიხედვით ცალკეული პირი უფლებამოსილია, კონკრეტულ ნივთზე მოიპოვოს საკუთრების უფლება სათანადო გარიგებით თუ კანონის საფუძველზე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საკუთრების უფლება აბსოლუტური სანივთო უფლების კლასიკური სახეა, რომელიც დროში არ იზღუდება. აბსოლუტური უფლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი სხვა პირთა ქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ უფლების განხორცილება უფლებამოსილი პირის აბსოლუტური ძალაუფლების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მისი დაცვა უზრუნველყოფილია ნებისმიერი შესაძლო ხელყოფისაგან. ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მის საკუთრებაში არ-

სებულ ნივთზე უფლების დაცვა. შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადა.

თუმცა საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 48-ე მუხლის შესაბამისად, სადავო სამკვიდრო მონაწილეთა და ჩუქების ხელშეკრულებებით უკანონოდ განიკარგა ვ. ჯ-ის, ხოლო შემდგომში მისი შვილის – მ. ჯ-ის ქონება და აღნიშნულით შეილახა მოსარჩელის საკუთრების უფლება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გამოიხატება შემდეგში: საკასაციო პალატის განხილვის საგანია ჩუქების ხელშეკრულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. ამასთან გაზიარებული უნდა იქნეს მონინააღმდეგე მხარის პრეტენზია ჩუქების ხელშეკრულებების მართლზომიერებასა და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების საკუთრებაში გადაცემის ისეთ ხელშეკრულებებს, როგორცაა: ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდღეშიო რჩენა, სესხი. ეს ხელშეკრულებები განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად შემძენისათვის საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს. როგორც ნაჩუქრობის შემთხვევიდან ჩანს, საკუთრების უფლება სხვადასხვა სამართლებრივად ანგარიშგასაწვეი საფუძვლით შეიძლება დაკავშირებული (მიბმული) იყოს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, რომლის საფუძველზეც იგი წარმოიშვა. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ნაჩუქრობისას.

ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ანალიზის აუცილებლობა განპირობებულია მისი თავისებურებებით, რომლებიც მას აშკარად გამოარჩევს ქონების საკუთრებაში გადაცემის სხვა ხელშეკრულებებისაგან. ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განხილვისას ყურადღება უნდა

იქნეს გამახვილებული რამდენიმე კრიტერიუმზე:

ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია. ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ჩუქებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ ნინაპირობას წარმოადგენს.

იურიდიული თვალსაზრისით უსასყიდლობა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტურობის მატარებელი. ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარებითაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩუქების მოტივი ძირითადად გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან.

ჩუქების დანიშნულებას წარმოადგენს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა და, შესაბამისად, მჩუქებლის ქონების შემცირება.

ჩუქება ისეთი გარიგებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება არ ჩაითვლება ძალაში შესულად, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც საკუთრების შექმნის საშუალებად აქცევს მას, ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ, ზოგჯერ, ჩუქებას ასეთი მიზანი არა აქვს ან საკუთრების უფლების გადასვლა მხარეთა შორის შეთანხმებას არ ემთხვევა. ასეთ შემთხვევაში ჩუქება ვალდებულებითი ურთიერთობის ნაირსახეობად მიიჩნევა. ეს მომენტი ჩუქებაში უფრო გამოკვეთილია და სწორედ ამიტომ, რომ ჩუქება არა სანივთო, არამედ ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტად იქნა მიჩნეული და მისი ადგილი სახელშეკრულებო სამართალში განისაზღვრა.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მარტო შეთანხმება არაა საკმარისი ჩუქებისათვის. საჭიროა საჩუქრის რეალურად გადაცემა დასაჩუქრებულისათვის. სწორედ ამ მომენტიდან უნ-

და ჩაითვალოს ჩუქების ხელშეკრულება დადებულიად, ამიტომაც ჩუქების ხელშეკრულება რეალური ხასიათისაა.

ხელშეკრულების დადება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობა მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით ხორციელდება. „თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება“. ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსენსუსს. ჩუქება, როგორც ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება, უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს.

ჩუქების ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ისინი აღჭურვილი უნდა იყვნენ სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-უნარიანობითა და ქმედუნარიანობით.

ჩუქების საგანი უპირველეს ყოვლისა, შეიძლება იყოს ნებისმიერი თავისუფალ ბრუნვაუნარიანი ქონება. ის ნივთები, რომლებიც შეზღუდული ბრუნვაუნარიანობით გამოირჩევა, შეიძლება საჩუქრად იქნეს გადაცემული ასეთი ნივთის სამართლებრივი რეჟიმისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საკვასაციო პალატა განმარტავს, როდესაც საკითხი ეხება ჩუქების ხელშეკრულებას, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ორი ძირითადი კრიტერიუმი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა. ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ამ კრიტერიუმების არსებობის შეფასების კუთხით, ხოლო დასახელებული კრიტერიუმების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი.

ამ თვალსაზრისით, პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანსააპირობას წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებაამდე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რაც, როგორც წესი, განაპირობებს მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მოტივის ჩამოყალიბებას. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ ნიშანსააპირობას წარმოადგენს. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებ-

ლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამგვარი ურთიერთობები კი, როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში ყალიბდება და საფუძვლად უდევს მხარეთა შორის არსებული მადლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დადგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება.

ამდენად, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ან მჭიდრო ნათესაური თუ სხვაგვარი დამოკიდებულება, გარკვეულ მორალურ ვალდებულებებს წარმოშობს, წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების მნიშვნელოვან მოტივს. წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ანალოგიურ ვითარებაში მყოფი გონიერი ადამიანი ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას ხელმძღვანელობს სწორედ აღნიშნული მოტივებით. ხოლო როდესაც მხარეთა შორის არ არსებობს არანაირი მორალური მოტივები და მათი ურთიერთობა მხოლოდ ყოფით სანყისებზეა აგებული, გონივრულობის სტანდარტის გათვალისწინებით, ამგვარი ვითარება ვერ გახდება ჩუქების ხელშეკრულების წინაპირობა, შესაბამისად, ალბათობის მაღალი ხარისხით არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას გამჩუქებელი არ ხელმძღვანელობდა ამ ტიპის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი მოტივებით.

განსახილველი დავის არსის შეფასებისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ტ. ჯ-ე და ა. ჯ-ე არიან დედა – შვილი, შესაბამისად, ტ. ჯ-ს, როგორც სადავო ქონების ერთადერთ მესაკუთრეს, სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 524-ე მუხლების საფუძველზე შეეძლო თავისი შვილისათვის – ა. ჯ-ისათვის საჩუქრად გადაეცა ქონება და არ არსებობს ამ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კასატორებმა საკასაციო საჩივარში ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზეც, რომ მ. ჯ-მ შეცდომაში შეიყვანა სააპელაციო სასამართლო, როდესაც სააპელაციო საჩივარში განაცხადა, რომ ტ. ჯ-მ სანოტარო ორგანოს დაუმალა სხვა პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის თაობაზე. აღნიშნული გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც. გამომდინარე იქედან, რომ ამ ფაქტის (ტ. ჯ-მ სანოტარო ორგანოს დაუმალა სხვა პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის თაობაზე) უარყოფი მტკიცებულება წარმოდგენილი იქნა საკასაციო საჩივართან ერთად, კასატორის მოსაზრებით პატივსაღები მიზეზით (საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარ-

მომადგენლის განცხადებით, მიმდინარეობდა ძველი საარქივო სანოტარო საქმეების სისტემატიზაცია, მათი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა და დოკუმენტების გაცნობა შესაძლებელი გახდებოდა 2013 წლის ბოლოდან.), საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ამ მტკიცებულებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, კი ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანცი-

ებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ტ. და ა. ჯ-ებმა საკასაციო საჩივრის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადეს სულ 1050 ლარი, შესაბამისად, მოცემული გადაწყვეტილებით ტ. და ა. ჯ-ების საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მ. ჯ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მ. ჯ-ს ტ. და ა. ჯ-ების სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის 3-ე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ტ. და ა. ჯ-ების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/6505-13.
3. მ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. მ. ჯ-ს ტ. და ა. ჯ-ების სასარგებლოდ დაეკისროს 1050 ლარის გადახდა.
5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით
გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა**

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-1308-1246-2014

3 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ხ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზი-
ანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს სადაზღვევო კომპანია „უ-მა“ სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში შპს „ბ-ის“ მიმართ ვალდებულების დარღვევით მიყენე-
ბული ზიანის – 47 526.24 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.
სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2011-
2013 წწ.-ში შპს სადაზღვევო კომპანია „უ-სა“ და შპს „ბ-ს“ შო-
რის სხვადასხვა დროს გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკრულე-
ბები, რომლის თანახმად, მოპასუხემ მოსარჩელისაგან შეიძინა
შემდეგი სადაზღვევო პროდუქტები: ქონების დაზღვევა, ავ-
ტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, ტვირთების დაზ-
ღვევა, გარანტიების დაზღვევა და ასევე მოპასუხესთან და-
საქმებულ პირთა სამედიცინო დაზღვევა. მხარეთა შორის გა-
ფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს ეკისრე-
ბოდა სადაზღვევო პრემიების გადახდის ვალდებულება, იმის
მიუხედავად არსებობდა თუ არა სადაზღვევო შემთხვევა. სა-
დაზღვევო პრემიების გადახდის ვალდებულება მოპასუხემ არ
შეასრულა.

სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით მოპასუხემ დაადასტუ-
რა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის თაო-
ბაზე, რომ 2011-2013წწ.-ში შპს სადაზღვევო კომპანია „უ-სა“
და შპს „ბ-ს“ შორის მართლაც გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკ-
რულებები, რომლის თანახმად, მოპასუხემ მოსარჩელისაგან
შეიძინა შემდეგი სადაზღვევო პროდუქტები: ქონების დაზღვე-
ვა, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, ტვირთების
დაზღვევა, გარანტიების დაზღვევა და ასევე მოპასუხესთან და-

საქმებულ პირთა სამედიცინო დაზღვევა. თუმცა სადავოდ გახადა მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობები მოიცავდა სხვადასხვა მიმართულებას, როგორცაა უძრავი/მოძრავი ქონების, ფინანსური რისკების და თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხარეთა შორის გაფორმდა რამოდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელშეკრულებები. წარმოდგენილი სარჩელიდან კი, არ ირკვეოდა თუ კონკრეტულად რომელი ხელშეკრულების დარღვევის შედეგად დადგა სარჩელით მოთხოვნილი ზიანი. ამასთან, მოპასუხემ პრეტენზია გამოთქვა იმ ფაქტთან მიმართებაში, რომ მზღვეველს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემდეგ წერილობით უნდა მიემართა დამზღვევისათვის და განესაზღვრა სადაზღვევო პრემიის გადახდის ორკვირიანი ვადა და გაეფრთხილებინა იგი შესაძლო შედეგების თაობაზე, რაც მისი მხრიდან არ განხორციელდა. პირიქით, როგორც წარმოდგენილი სარჩელით ირკვეოდა მოსარჩელე დაელოდა დაზღვევის ხელშეკრულების ვადის ამონურვას და მხოლოდ მისი მოქმედების ვადის ამონურვის შემდეგ მიმართა სასამართლოს მოპასუხეზე თანხის დაკისრების მოთხოვნით, რაც მზღვეველის/მოსარჩელის არაკეთილსინდისიერებაზე მეტყველებს.

ასევე, მოპასუხემ სადავოდ გახადა მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების ფაქტი და აღნიშნა, რომ მზღვეველმა სადაზღვევო პრემიების გადაუხდელობის მიზეზით არ აანაზღაურა არც-ერთი სადაზღვევო შემთხვევა იმის მიუხედავად, რომ დამზღვევისა და მისი თანამშრომლების მიერ თავდაპირველ ეტაპზე ხდებოდა მზღვეველის ინფორმირება სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან ერთად. ხოლო მოგვიანებით, დამზღვევის მხრიდან არც სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდებოდა და არც მზღვეველის ინფორმირება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს სადაზღვევო კომპანია „უ-მა“. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა წინააღმდეგობრივ. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და შპს

სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ბ-ს“ შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 37 073,94 ლარის გადახდა.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2011-2013წწ. ში სხვადასხვა დროს შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“, როგორც „მზღვეველსა“ და შპს „ბ-ს“, როგორც „დამზღვევეს“ შორის გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკრულებები და გაიცა შესაბამისი პოლისები. დადგენილია, რომ დამზღვევი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო პრემიას არაჯეროვნად იხდოდა. ტვირთების დაზღვევის ხელშეკრულებებითა და ერთ-ერთი ქონების დაზღვევის ხელშეკრულებით (სადაზღვევო პოლისის №009090) გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია დაზღვეულს მზღვეველისათვის საერთოდ არ გადაუხდია. სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები კი, დაზღვეულმა ნაწილობრივ შეასრულა და სადაზღვევო პრემია, ნაწილობრივ გადაიხადა, თუმცა ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მას მზღვეველისათვის გადასახდელი დარჩა 37073,94 ლარი.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 815-ე მუხლებით, რომელთა სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარეობს დამზღვევის ვალდებულება სადაზღვევო პრემიის გადახდის თაობაზე, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების მეორე მხარემ/დამზღვევმა არ შეასრულა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დამზღვევის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მას ვალდებულება არ უნდა შეესრულებინა მზღვეველის მიმართ ინტერესის დაკარგვის გამო და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომელიც არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როცა დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვის გამო, დამზღვევი გადის ხელშეკრულებიდან. ასეთ შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ის შესატანი, რომელიც შეესაბამებოდა ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულებიდან გასვლა არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა არის ცალმხრივი გარიგება თუმცა ამავე კოდექსის 52-ე მუხლის მიხედ-

ვით, გარიგების მხარის მიერ მარტოდენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა არ ნიშნავს, რომ მან გამოხატა ხელშეკრულებიდან გასვლის ნება. ამ კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის ნება გამოვლენილად ჩაითვლებოდა, თუ იგი მიუვიდოდა მზღვეველს. შესაბამისად, დამზღვევეს მზღვეველისათვის უნდა ეცნობებინა, რომ მან დაკარგა ინტერესი დაზღვევისადმი და, მხოლოდ ამ შემთხვევაში, ჩაითვლებოდა გარიგებები მოშლილად, რაც მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დადასტურდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დამზღვევის პოზიცია მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების თაობაზე და აქვე, განმარტა, რომ ამ ფაქტობრივი გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც არ გათავისუფლებოდა დამზღვევი სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში, მას შეეძლო, მოეშალა ხელშეკრულება ან მზღვეველისაგან ვალდებულების შესრულება მოეთხოვა, რაც არ განუხორციელებია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დამზღვევი სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებიდან არ გასულა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი მხრიდან სადაზღვევო პრემიის გადახდის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა შესრულებულიყო.

ამავდროულად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა. დაზღვევის ხელშეკრულება ვალდებულებებს წარმოშობს არა მისი დადების ან სადაზღვევო პოლისის გაცემის, არამედ პირველი სადაზღვევო შენატანის განხორციელების მომენტიდან. სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-1708-1602-2012, რომელშიც დაზღვევის ხელშეკრულება განიმარტა, როგორც რეალური ბუნების, ორმხრივ მავალდებულებელი გარიგება. იმის გათვალისწინებით, რომ №009961; №009537; №008840; №008841; №005933; №009686; №007942; №008839 და №009090 სადაზღვევო პოლისებიდან გამომდინარე, დამზღვევეს მზღვეველის წინაშე გადახდის ვალდებულება არ წარმოშობია ამ ნაწილში, მზღვეველის მოთხოვნა უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ბ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი

გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი დასაბუთება იმ გარემოებას ემყარება, რომ დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის დაგვიანების შემდეგ მზღვეველი აღარ გასცემდა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ სადაზღვევო ანაზღაურებას. კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ მისი, როგორც დამზღვევის ინტერესი სადაზღვევო ხელშეკრულების მიმართ იარსებებდა მხოლოდ სადაზღვევო პრემიის გადახდისას.

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მზღვეველმა ბოროტად გამოიყენა მისი უფლება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მზღვეველი დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვას და როგორც კი, სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გამოირიცხა კონტრაქტის მხრიდან საპასუხო მოთხოვნების წარდგენის შესაძლებლობა, გამოიყენა უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა.

ამასთან, კასატორი თავისი პოზიციის გასამყარებლად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მზღვეველს სადაზღვევო პრემიის გადაუხდებლობის შემდეგ წერილობით უნდა მიემართა დამზღვევისათვის და განესაზღვრა სადაზღვევო პრემიის გადახდის ორკვირიანი ვადა და გაეფრთხილებინა იგი შესაძლო შედეგების თაობაზე, რაც მისი მხრიდან არ განხორციელდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მზღვეველს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არავითარი სამართლებრივი მექანიზმი არ გამოუყენებია დამზღვევისათვის სადაზღვევო პრემიის დასაკისრებლად, კონტრაქტს შეექმნა რწმენა, რომ დაზღვევის ხელშეკრულებები მოშლილი იყო, ვინაიდან ხელშეკრულების არც ერთი მხარე არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით შპს „ბ-ის„ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშ-

ვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011-2013წწ.-ში სხვადასხვა დროს შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“, როგორც „მზღვეველსა“ და შპს „ბ-ს“, როგორც „დამზღვევს“ შორის გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკრულებები და გაიცა შესაბამისი პოლისები.

უდავო გარემოებაა დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ფაქტი. ასევე დადგენილია, რომ ტვირთების დაზღვევის ხელშეკრულებებითა და ერთ-ერთი ქონების დაზღვევის ხელშეკრულებით (სადაზღვევო პოლისის №009090) გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია დაზღვეულს მზღვეველისათვის საერთოდ არ გადაუხდია. სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები კი, დაზღვეულმა ნაწილობრივ შეასრულა და სადაზღვევო პრემია, ნაწილობრივ გადაიხადა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „ბ-ს“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ გაუხდია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“/მზღვეველის უფლებას შპს „ბ-ის“/დამზღვევის მიმართ ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. კასატორის აღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“/მზღვეველის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ბ-ის“/დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოცემულ საქმეზე კი, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“/მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად გასაჩივრებულ გადანყვეტილებში მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 815-ე მუხლები, რომელიც ადგენს დამზღვევის ვალდებულებას სადაზღვევო პრემიის გადახდის თაობაზე და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არამართებულად გამოი-

ყენა სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ნორმების საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობებზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“, როგორც „მზღვევლს“ და შპს „ბ-ს“, როგორც „დამზღვევს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება არის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ, რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას განეკუთვნება და ამავდროულად, წარმოადგენს ორმხრივად მავალდებულებელ გარიგებას (სკ-ის 799-ე მუხ.), კერძოდ, ერთი მხრივ, დამზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენდა სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდა და მეორე მხრივ, მზღვეველის ვალდებულებას წარმოადგენდა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულება. უდავო გარემოებაა, რომ დამზღვევის მხრიდან დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება. ხელშეკრულების პირობების ამგვარი დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის რეგულირების სამართლებრივი მექანიზმი გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლში, რომელის დანაწესით, თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გაცხილებულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან. ამავე კოდექსის 818-ე მუხლის დანაწესით კი, თუ დამზღვევემა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.

ზემოთმოხმობილ ნორმათა სამართლებრივი რეგულირების მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, მზღვეველს ევალება გონივრულ ვადებში შეატყობინოს დამზღვევეს მოსალოდნელი შედეგები. მზღვეველის ქცევის ამგვარი სტანდარტის არსებობა განპირობებულია სწორედ კერძო სამართლის სუბიექტების კეთილსინდისიერი ქცევის ფარგლებით (სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწ.). მართალია სამოქალაქო კოდექსის 817-ე-818-

ე მუხლები არ წარმოადგენს მავალდებულებელ ნორმებს, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამზღვევეი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და სწორედ ამ პერიოდს არ დაუკავშიროს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია. როგორც განსახილველი საქმის მასალებითაა დადგენილი მზღვეველი, რომლის მიმართაც არაერთგზის დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვას და მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ მოითხოვა დარღვეული უფლების დაცვა, ისე რომ მას დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში არცერთხელ არ გამოუყენებია კონტრაპენტის/დამზღვევის წერილობითი გაფრთხილების ფორმა. მზღვეველის უმოქმედობას კი, ამ ტიპის დავის გადაწყვეტისათვის არა მხოლოდ თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით თუკი მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევეს მოსალოდნელ შედეგებზე იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამონურვის შემდეგ (საკასაციო პალატის აღნიშნული მსჯელობა შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავსი ტიპის საქმეებზე დადგენილ პრაქტიკასთან, იხ., სუს 21.02.2013წ.-ის №ას-85-81-2013წ.-ის განჩინება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭი-

რო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ საკითხს, რომ შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ /მზღვეველის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ბ-ის“ /დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას).

სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს „ბ-ის“ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ემყარება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. სარჩელის დაკმაყოფილებისათვის პირველ

რიგში, უნდა გაირკვევს მიყენებული ზიანის შინაარსი და მისი ანაზღაურებისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წინაპირობების არსებობა.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილით კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მაგალითად: პროცენტის გადახდა (403-ე მუხ.), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (408.1მუხ.), მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (411-ე მუხ.) და ა.შ. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელზედაც მოცემულ შემთხვევაში პრეტენზიას აცხადებს მოსარჩელე მისი მოსაზრებით დაკავშირებულია სადაზღვევო პრემიის გადახდის შესახებ დამზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობასთან. ამდენად, ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მიუღებელი შემოსავლისათვის.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვის, რომელშიც მოიაზრება ის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის დასაბუთებულობისათვის უნდა შემონმდეს ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი ობიექტური კრიტერიუმების არსებობა, იმისათვის რომ სარჩელის დაკმაყოფილებას შედეგად არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება. განსახილველ შემთხვევაში, როგორც წარმოდგენილი სარჩელის საფუძვლებიდან ირკვევა, მოსარჩელემ ზიანის ოდენობა დაუკავშირა უშუალოდ სადაზღვევო პრემიის სრულ (გადაუხდელ) მოცულობას, ხოლო მოთხოვნა დაამყარა კონტრაჰენტის/დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობაზე, ამასთან, იგი ვერ უთითებდა იმ მტკიცებულებებზე, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ განსაზღვრული ზიანის ოდენობას და ამდენად, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი სა-

ფუძვლის ზიანის არსებობის ფაქტის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულების წარდგენა, რაც მაკვალიფიცირებული ნიშანია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის გამოყენებისათვის.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. საქმის მასალებით კი, მოსარჩელისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ფაქტი დადასტურებული არ არის, რაც გამორიცხავს სარჩელისა და შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო საჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმებისა და შესაბამისად, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“, სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ შპს „ბ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე შპს „ბ-ის“ მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სადაცვლო ანაზღაურების მიზნით, 300 ლარის გადახდა.

ამასთან, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ სახელმწიფო ბი-

უჯგუფის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს შპს „ბ-ისათვის“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 1553,65 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი:) დაეკისროს შპს „ბ-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი:) სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 300 ლარის გადახდა.
5. შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი:) დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1553,65 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულება

ბანძინება

№ას-411-388-2014

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუერი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნო-
ბა, სააღსრულებო ფურცლის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ი. კ-
ის, მ. ნ-ისა და მ. შ-ას მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 1. მ. ბ-ს, მ.
ნ-ს, ი. კ-სა და მ. შ-ას შორის 2011 წლის 23 სექტემბერს დადებუ-
ლი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების (სანოტარო რეეს-
ტრში რეგისტრაციის №111026583) ბათილად ცნობა, სესხის
ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნების
უზრუნველყოფის მიზნით, ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე
უძრავი ქონების (უძრავი ქონების ს/კ:.....) იპოთეკით დატ-
ვირთვის ნაწილში; 2. ნოტარიუს ს. მ-ის მიერ 2012 წლის 19 ივ-
ლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის (სანოტარო მოქმე-
დების რეგისტრაციის №120762604) გაუქმება ქ.მცხეთაში, კ-ის
ქ.№14-ში იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (უძრავი ქო-
ნების ს/კ:.....) იძულებით აუქციონზე რეალიზაციის ნაწილში.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2011
წლის 23 სექტემბერს მ. ბ-ის მინდობილ პირს – მ. ნ-ს, ი. კ-სა და
მ. შ-ას შორის სანოტარო წესით გაფორმდა სესხისა და იპოთე-
კის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის
№111026583), რომლის თანახმად, მ. ნ-ის მიერ სესხად აღებუ-
ლი თანხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტ-
ვირთა მ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი
ქონება, კერძოდ, 670,00მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-
ლების მქონე მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით №1, შენობა-
ნაგებობის საერთო ფართი 355,05მ², მდებარე, ქალაქ მცხეთა-
ში, კ-ის ქუჩა №14-ში (უძრავი ქონების ს/კ:.....). იმის მიუხე-
დავად, რომ მოპასუხე მ. ნ-ს მინიჭებული ჰქონდა მ. ბ-ის ზემო-
აღნიშნული უძრავი ქონების განკარგვის უფლებამოსილება მე-

საკუთრის თანხმობის გარეშე. მას არ ჰქონდა ამ ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლება, რადგან 2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობაში ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად საკუთრების მართვასა და განკარგვაში, სახელდობრ, მინდობილობის მიხედვით, ტერმინი – „მართვა“ საკუთრების მიმდობის ქონების ჯგეროვანი მოვლისა და დაცვისათვის მიმართულ ქმედებას ან იმგვარ ქმედებას გულისხმობს, რომელიც სასარგებლოა საკუთრების მიმდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის) თვალსაზრისით – გაქირავება, იჯარით გაცემა, აღნაგობის ან უზუფურუქტის უფლებით დატვირთვა, ხოლო ამავე ხელშეკრულების მიზნისათვის ტერმინი – „განკარგვა“ განიმარტება, როგორც მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვლა, ყიდვა-გაყიდვა). შესაბამისად, არც ერთი მათგანი („მართვა“ და „განკარგვა“) არ გულისხმობდა უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების გამოყენება სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად ეწინააღმდეგებოდა მესაკუთრის ნამდვილ ნებას, რის გამოც არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი.

მოპასუხეთაგან მ. ნ-ს შესაგებელი არ წარმოუდგენია, ხოლო მ. შ-ამ და ი. კ-მ წარმოდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნეს. ი. კ-მ შესაგებელში განმარტა, რომ 2009 წლის 10 ივლისის მინდობილობის საფუძველზე მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანდო მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება – 670,00მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით №1, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 355,05მ², მდებარე, ქალაქ მცხეთაში, კ-ის ქუჩა №14-ში (უძრავი ქონების ს/კ:.....), მათ შორის, მიანიჭა იპოთეკაზე ხელის მონერის უფლება, რაც საკმარისი იყო უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვისათვის. მ. ნ-ის ეს უფლებამოსილება შემომწმდა ნოტარიუს ს. მ-ის მიერ, რაც გამორიცხავს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, ასევე, მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის იპოთეკის ნაწილში ბათილად ცნობის ფაქტობრივსამართლებრივი გარემოებების არსებობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით: 1. მოსარჩელე მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; 2. ბათილად იქნა ცნობილი მ. ბ-ს, მ. ნ-ს, ი. კ-სა და მ. შ-ას შორის 2011 წლის 23 სექტემბერს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №111026583) სესხის ხელშეკრულებით.

ბიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით უძრავი ქონების მდებარე, ქ.მცხეთა, კ-ის ქ.№14 (უძრავი ქონების ს/კ:.....) იპოთეკით დატვირთვის ნაწილი; 3. გაუქმდა ნოტარიუს ს. მ-ის მიერ 2012 წლის 19 ივლისს გაცემული საალსრულებო ფურცელი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №120762604) იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მდებარე, ქ.მცხეთა, კ-ის ქ.№14 (უძრავი ქონების ს/კ:.....) იძულებით აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ი. კ-მ, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სა მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინებით ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტი, მიუხედავად მასში გამოყენებული ტერმინებისა: „საკუთრების მიმდობი“ და „მინდობილი მესაკუთრე“, და ამ ტერმინთა გამოყენების რაოდენობისა, თავისი შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით წარმოადგენდა რწმუნებულებას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 727-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება წარმოადგენს წერილობითი სახის ფორმა-სავალდებულო ხელშეკრულებას, რაც, სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, ნიშნავს იმას, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის სავალდებულოა წერილობითი ფორმის დაცვა. სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და, აქედან გამომდინარე, საკუთრების მინდობის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ორივე მხარის, როგორც საკუთრების მიმდობის, ასევე მინდობილი მესაკუთრის მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადების შესახებ გამოვლენილი ნების წერილობით დაფიქსირება და დადასტურება შესაბამისი ხელმოწერით. მოცემულ შემთხვევაში, მ. ბ-სა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტით გაფორმებული სამართლებრივი ურთიერთობის საკუთრების მინდობის

ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის ორივე მხარე, როგორც მ. ბ-ს, ასევე, მ. ნ-ს ნება წერილობით უნდა გამოეცვლინათ და წერილობით ფორმითივე დაედასტურებინათ, მაგრამ, უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს სა-ნოტარო აქტით გაფორმებულ გარიგებაზე ხელს აწერდა მხოლოდ მ. ბ-ე და არ იყო დაფიქსირებული მ. ნ-ის ხელმოწერა, რითაც დადასტურდებოდა მის მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადების შესახებ ნების გამოვლენა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მ. ნ-მა 2011 წლის 23 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებით კონკლუდენტურად მიიღო მ. ბ-ის მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადების შესახებ გამოვლენილი ნება, რითაც დაადასტურა რომ ამით, ერთი მხრივ, მ. ბ-ს, როგორც „საკუთრების მიმდობსა“ და მეორე მხრივ, მ. ნ-ს, როგორც „მინდობილ მესაკუთრეს“ შორის წარმოიშვა საკუთრების მინდობის სამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 68-ე, 727-ე და 327-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, მიუთითა, რომ ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაცვისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის არ იყო საკმარისი მეორე მხარის მიერ გამოვლენილი ნების მიღების კონკლუდენტურად დადასტურება. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მ. ნ-ის მიერ 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტით გაფორმებული მ. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნების მიღება კონკლუდენტურად არ ახდენდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების აქცეპტირებას და შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების დადასტურებას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ყურადღება გაამახვილა გარიგების შინაარსზეც, სადაც რამდენჯემე მეორდებოდა დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობილი მესაკუთრე მ. ნ-ი საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების მინდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ იმ თვისებას, რომ საკუთრების მინდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის თავისი სახელით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების მინდობა, თავისი არსითა და დანიშნულებით გულისხმობდა მინდობილი პირის ვალდებულებას, მართოს მინდობილი ქონება თა-

ვისი სახელით, თუმცა, მინდობილი მესაკუთრის ინტერესების შესაბამისად, ანუ მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში მოქმედებს თავისი სახელით. აღნიშნულის საპირისპიროდ, კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო 2011 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულებაში მ. ნ-ი იპოთეკით დატვირთვის ნაწილში გამოდის არა საკუთარი სახელით, არამედ მინდობილი პირის, როგორც მ. ბ-ის წარმომადგენელი. სწორედ ეს ძირითადი თავისებურება განასხვავებს საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას რწმუნებულებისაგან.

2011 წლის 23 სექტემბრის იპოთეკის ხელშეკრულების კანონიერების დასადაგენად სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობის შესაბამის პუნქტებზე, სახელდობრ, მინდობილობის პირველი პუნქტის საფუძველზე, მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანიჭა მარწმუნებლის კუთვნილი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, თუმცა ამავე მინდობილობის პირველი პუნქტის შინაარსობრივი ანალიზით დგინდებოდა, რომ მარწმუნებელმა მ. ნ-ს მისცა კუთვნილი ნივთების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება არა სრული მოცულობით, არამედ შეზღუდული უფლებამოსილებით, კერძოდ, მ. ნ-ს მიეცა ქონების მართვის კუთხით მხოლოდ გაქირავების (იჯარის), აღნაგობისა და უზუფრუქტის გამოყენების, ხოლო განკარგვის კუთხით მიენიჭა მხოლოდ გასხვისების უფლებამოსილება.

მინდობილობის მე-2 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად ადგენდა, რომ მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანიჭა უფლებამოსილება, ყოფილიყო მისი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ ბანკში და ეწარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე, იპოთეკურ და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, ე.ი. 2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობით კონკრეტულად განისაზღვრა წარმომადგენლის უფლებამოსილების სფერო და მ. ნ-ი, როგორც მ. ბ-ის წარმომადგენელი, მხოლოდ საბანკო დანესებულებებში საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, აღიჭურვა მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილებით. მოცემულ საქმეზე კი, დადგენილ იქნა, რომ მ. ნ-მა საკუთარი სახელით აიღო სესხი არასაბანკო დანესებულებაში და ამ სესხის უზრუნველსაყოფად, მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების უგულებელყოფით, გამსესხებელ – ი. კ-ისა და მ. შ-ას სასარგებლოდ, იპოთეკით დატვირთა მარწმუნებელ – მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონება.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ი. კ-მ გაასა-

ჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-
დანყევტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი დასაბუთე-
ბა იმ გარემოებას ემყარება, რომ საქმის განმხილველმა სასა-
მართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მ. ბ-ის მიერ
გამოვლენილი ნების შინაარსი, რომელიც სანოტარო წესით და-
მონმებულ იქნა 2009 წლის 10 აგვისტოს ნოტარიუს მ. ბრ-ის მი-
ერ. აღნიშნული მინდობილობის შინაარსი პირდაპირ მიუთითებ-
და იმაზე, რომ მ. ბ-მ საკუთარ დედას, მ. ნ-ს, მიანიჭა არა მარტო
წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, არამედ მინდობილი
მესაკუთრის უფლებამოსილებაც. 2011 წლის 23 სექტემბრის სა-
დავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ძირითადად ეფუძ-
ნებოდა 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტის პირველ
პუნქტს, რომლის თანახმად, მ. ნ-ი მოქმედებდა, როგორც მინ-
დობილი მესაკუთრე და მას უფლება ჰქონდა საკუთრების მინ-
დობის ქონების თაობაზე საკუთარი სახელით დაედო გარიგე-
ბები, მათ შორის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. 2009
წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტის დამონმებისათვის სანო-
ტარო მოქმედების საზღაური გადახდილ იქნა მინდობილი მე-
საკუთრის ქონების ღირებულებიდან, რაც კიდევ ერთხელ ადას-
ტურებდა იმ გარემოებას, რომ სანოტარო აქტით დედა-შვილს
შორის ერთდროულად დამონმდა როგორც რწმუნებულება, ისე
– საკუთრების მინდობის ხელშეკრულება. სასამართლომ არას-
წორად განმარტა „ქონების მართვა“, რადგან საქართველოს
მოქმედი კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა „ქონების
მართვის უფლებამოსილების“ შინაარსში ამ ქონების მოვლის,
დაცვისა და უფლებრივი დატვირთვისაგან განთავისუფლების
მიზნით სესხის აღებას და ამ სესხის უზრუნველსაყოფად აღ-
ნიშნული ქონების გამოყენების შესაძლებლობასაც გულისხმობ-
და. კასატორის მითითებით, სასამართლომ ყურადღების მიღმა
დატოვა ის გარემოება, რომ მოსარჩელე და მოპასუხე დედა-
შვილია, ისინი ერთ საცხოვრებელ ბინაში არიან რეგისტრირე-
ბული. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმის გარემოებების
ყოველმხრივ და სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის
მიზნით, არც დაინტერესებულა, სხდომაზე მოენვია ნოტარიუ-
სი ს. მ-ე და დამატებით მისი განმარტებაც მოესმინა, მით უფ-
რო, რომ 2011 წლის 23 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელ-
შეკრულებები ამ ნოტარიუსის მიერ იყო დამონმებული.

კასატორი მიუთითებს საპროცესო ნორმების დარღვევაზე
და მიაჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას დაირღვა სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი მტკიცე-

ბულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შე-
სახებ, კერძოდ, სასამართლოს ამ ნორმის შესაბამისად, არ შე-
უმონმებია და არ შეუფასებია მ. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნების
შინაარსი, რომელიც სანოტარო წესით დამონმდა 2009 წლის 10
აგვისტოს ნოტარიუს მ. ბრ-ის მიერ. სასამართლომ არასწორად
მიიჩნია, რომ მ. ნ-ს არ ჰქონდა უფლება, ფიზიკური პირების სა-
სარგებლოდ იპოთეკით დაეტვირთა მ. ბ-ის საკუთრებაში არსე-
ბული უძრავი ქონება. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძ-
ნა მხოლოდ მოსარჩელისა და ე.წ „მოპასუხის“ დედის განმარ-
ტებებზე, რომელიც სარჩელის შეტანის დროისათვის აღჭურ-
ვილი იყო მოსარჩელის წარმომადგენლობითი უფლებამოსილე-
ბით. კასატორის მოსაზრებით, დარღვეულია სამოქალაქო საკ-
როცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, ვი-
ნაიდან მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვეტილე-
ბაში საერთოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ არ გაიზიარა შესაგე-
ბელში მოპასუხის მითითება იმის შესახებ, რომ მ. ნ-მა, სადავო
ხელშეკრულება დადო, როგორც მინდობილმა მესაკუთრემ. აქე-
დან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუ-
თება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძ-
ვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განჩინებით ი. კ-ის საკა-
საციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-
საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკა-
საციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო სა-
ჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი
მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შე-
სახებ მ. ნ-ის უფლებამოსილების შეზღუდვა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის
მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ერთი მხრივ, მ. ბ-ს, როგორც „საკუთრების მინდობსა“ და
მეორე მხრივ, მ. ნ-ს, როგორც „მინდობილ მესაკუთრეს“ შორის
2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმდა სანოტარო აქტი (სანოტარო
მოქმედების რეგისტრაციის №090379512), რომლის თანახმად,
საკუთრების მიმდობმა მინდობილ მესაკუთრეს მართვისა და
განკარგვის უფლებით მიანდო მთელი თავისი უძრავ-მოდრავი
ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწა, აქციები და სხვა ფასიანი ქა-

ღალღებში, წილები სამეწარმეო საზოგადოების სანქსდებო კა-
პიტალში...), „მინდობილ ქონებაში“ იგულისხმება ყველა ის ქო-
ნებრივი და არაქონებრივი სიკეთე, რომელიც წინამდებარე აქ-
ტის შედგენისას არის, ან მომავლში იქნება საკუთრების მიმ-
ნდობის სარგებლობასა ანდა მფლობელობაში. „მართვაში“ იგუ-
ლისხმება ყველა ის მოქმდება, რაც აუცილებელია მინდობილი
ქონების ჯეროვანი მოვლისა და დაცვისათვის, ან სასარგებლო
საკუთრების მიმნდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის)
თვალსაზრისით (გაქირავება, იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი...).
„განკარგვაში“ იგულისხმება მინდობილი ქონების გასხვისება
ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა...) (მუხ-
ლი პირველი). ამავე ხელშეკრულებით მ. ბ-მ წარმომადგენლო-
ბითი უფლებამოსილება მიანიჭა მ. ნ-ს, საქართველოს ნების-
მერ ბანკში ეწარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი
მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაცი-
ისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათ-
ვის... (მუხლი 2.).

აღნიშნული ხელშეკრულება მიუხედავად მასში მრავალჯერ
მოსხენიებული ტერმინებისა „საკუთრების მიმნდობი“, „მინდო-
ბილი მესაკუთრე“ თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოად-
გენს არა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას, არამედ –
„რწმუნებულებას“. ამ დასკვნის საფუძველია სამოქალაქო კო-
დექსის 727-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, საკუთრე-
ბის მინდობის ხელშეკრულება წარმოადგენს წერილობითი სა-
ხის ფორმასავალდებულო ხელშეკრულებას, რაც სამოქალაქო
კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით ნიშნავს იმას, რომ საკუთრე-
ბის მინდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილე-
ბელია წერილობითი ფორმის დაცვა. ამ კონკრეტულ შემთხვე-
ვაში, მ. ბ-სა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო
წესით გაფორმებული აქტის „საკუთრების მინდობის ხელშეკ-
რულებად“ კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს ორივე მხა-
რის ნების წერილობითი ფორმით გამოვლენა – ხელმოწერა, მას-
ში გამოვლენილია მხოლოდ მ. ბ-ის ცალმხრივი ნება. ამდენად,
თავისი ფორმით 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო წესით გა-
ფორმებული გარიგება, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა,
ვერ შეფასდება საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფორმის დაუცველობასთან ერ-
თად, რაც სრულიად საკმარისი საფუძველი იქნებოდა საკუთ-
რების მინდობის ხელშეკრულების არარსებობის ფაქტობრივი
გარემოების დასადგენად, გარიგების შინაარსიც არ პასუხობს
სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მოთხოვნებს, სახელ-

დობრ, გარიგების რამდენიმე პუნქტში, რომელშიც განერილია უშუალოდ მინდობილი მესაკუთრის უფლებები და მოვალეობები რამდენიმეჯერ მეორდება დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობილი მესაკუთრე – მ. ნ-ი საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საკუთრების მინდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ თვისებას, ვინაიდან საკუთრების მინდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის მხოლოდ თავისი სახელით (სკ-ის 725-ე მუხლის პირველი ნაწ.).

დადგენილია, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს რწმუნებულების გამოყენებით 2011 წლის 23 სექტემბერს მ. ნ-მა გააფორმა სანოტარო აქტი „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №111026583) ფიზიკურ პირებთან: ი. კ-სა და მ. შ-ასთან, როგორც „გამსესხებლებთან“ / „იპოთეკარებთან“. ამ ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელმა მსესხებელს ასესხა ფული, ხოლო მსესხებელმა მიიღო ნასესხები თანხა, კერძოდ, მ. შ-ასაგან 50 000 აშშ დოლარი, ხოლო კ-ისაგან 70 000 აშშ დოლარი და იკისრა მისი დაბრუნების ვალდებულება სამი თვის ვადაში. სესხი იყო სარგებლიანი, რომლის ოდენობა ყოველთვიურად შეადგენდა სესხის ძირითადი თანხის 4 პროცენტს. სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტივრთა ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება (უძრავი ქონების ს/კ:.....).

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზიის (კასაციის საფუძვლების) კანონიერების შემოწმებისათვის უნდა შეფასდეს მ. ბ-სა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული სანოტარო აქტით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №090379512) – რწმუნებულებით მ. ნ-ისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები, სადავო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე უძრავი ქონების (უძრავი ქონების ს/კ:.....) იპოთეკით დატივრთვის კანონიერებასთან მიმართებით, რისთვისაც, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტით – რწმუნებულებით მესაკუთრე მ. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნება მის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების მიმართ.

დადგენილია, რომ 2011 წლის 23 სექტემბრის სანოტარო აქ-

ტი „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №111026583) სესხის აღების ნაწილში გაფორმებულია მ. ნ-ის მიერ, რომელიც სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე პირადი მოვალეცაა. ხოლო იგივე ხელშეკრულება იპოთეკის ნაწილში გაფორმებულია მ. ნ-ის, როგორც მ. ბ-ის წარმომადგენლის მიერ.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის განმარტოს ზოგადად საკუთრების უფლების შინაარსი, ვინაიდან წარმომადგენლის (მ.ნ-ი) მიერ სწორედ ამ უფლების მართლზომიერი თუ არამართლზომიერი გამოყენება გახდა მხარეთა შორის დავის წარმოშობის საფუძველი.

საკუთრების უფლების შინაარსი, რომელიც მოცემულია სა-მოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში მოიცავს სამი კომპონენტის ერთობლიობას: მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. დასახელებული სამი კომპონენტიდან უკანასკნელი გულისხმობს ნივთის (საკუთრების ობიექტის) სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის უპირატეს უფლებას, რომლის ნაირსახეობას მესაკუთრეს სთავაზობს კერძო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც გახსნულია სამოქალაქო კოდექსში, ასე მაგალითად, განკარგვა შესაძლოა გამოიხატოს, ნივთის გასხვისებაში (ნასყიდობა); ამ ნივთის სანაცვლოდ სხვა ნივთის მიღებაში (გაცვლა); ამ ნივთით შემოსავლის მიღებაში (იჯარით გაცემა); ამ ნივთით სარგებლობის უფლების გადაცემაში (ქირავნობა); ნივთის უსასყიდლოდ გადაცემაში (ჩუქება); სხვისთვის შესანახად გადაცემაში (მიბარება) და სხვ. შესაბამისად, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტია, რომ „განკარგვის“ ცნება თავისთავში მოიცავს ყველა დასახელებული ქმედების განხორციელების უფლებამოსილებას.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის სწორად კვალიფიკაციისათვის ამოსავალი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ საკუთრების უფლების ამ უკანასკნელი კომპონენტის („განკარგვა“) სამართლებრივ რეგლამენტაციაში, არამედ მასთან ერთად უნდა შევისწავლოთ სადავო გარიგების შინაარსიც, დავადგინოთ მასში გამოვლენილი მესაკუთრის ნამდვილი ნება, რომელმაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის უფლებამოსილება მიანდო გარიგების მონაწილე მეორე მხარეს (მანანა ნა-ნიტაშვილს).

2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობით დადგენილია, რომ მ. ბ-მ მ. ნ-ს მართვისა და განკარგვის უფლებით მიანდო მთელი

თავისი უძრავ-მოძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწა, აქციები და სხვა ფასიანი ქალაქები, ნიღები სამენარმო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი..) (მუხლი მე-2.). ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგების მონაწილე მხარის – მ. ნ-ის ქმედების, კერძოდ, 2011 წლის 23 სექტემბრის სესხის ხელშეწყობით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შესაბამისობა მესაკუთრის ნამდვილ ნებასთან, განმარტებას საჭიროებს გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მესაკუთრის ნების დასადგენად.

ამ მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო გარიგებით მესაკუთრე მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანიჭა რა თავისი უძრავ-მოძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, იქვე დააზუსტა, რომელ სამართლებრივ მოქმედებებს გულისხმობდა თითოეულ მათგანში. „მართვაში“ იგულისხმებოდა ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელი იყო მინდობილი ქონების ჯეროვანი მოვლისა და დაცვისათვის ან სასარგებლო იყო საკუთრების მიმდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის) თვალსაზრისით (გაქირავება, იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი...), ხოლო „განკარგვაში“ კი, – მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება. გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა..) (მუხლი პირველი). ამავე ხელშეკრულებით მ. ბ-მ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა მ. ნ-ს, საქართველოს ნებისმერ ბანკში ენარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაციისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის... (მუხლი მე-2.).

ამდენად, სასაბუღალტრო აქტის პირველი მუხლის შინაარსობრივი ანალიზიდან გამომდინარეობს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველი, რომ მარნმუნებელმა, მესაკუთრე მ. ბ-მ რწმუნებულ მ. ნ-ს მიანიჭა არა მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება მათი კლასიკური გაგებით (ნივთის სამართლებრივი ბედის გადანყვეტა), არამედ მიანდო მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული უფლებები, რაც გარიგების შინაარსიდან გამომდინარე „მართვის“ კონტექსტში გულისხმობდა მხოლოდ გაქირავებას (იჯარით გაცემას), აღნაგობითა და უზუფრუქტით დატვირთვას, ხოლო „განკარგვის“ კონტექსტში კი – გასხვისებას, რაც თავის მხრივ, გამოიხატებოდა ჩუქებაში, გაცვლასა და ნასყიდობაში.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო რა ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ:.....) იპოთეკით დატვირთვა

ფიზიკური პირებისაგან აღებული სასესიო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, იმ დასკვნის გამოტანა, რომ უფრო მეტი უფლების გადაცემის ასე ვთქვათ, გასხვისების ან თუნდაც მისი მესამე პირისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის, ჩუქების პირობებში, იარსებებდა უფრო ნაკლები უფლების იპოთეკით დატვირთვის უფლებაც, შესაძლოა ლოგიკურია, თუმცა, ამ კონკრეტული სანოტარო აქტის (რწმუნებულების) ერთიანად შეფასებიდან გამომდინარე, უმართებულოა და არ გვაძლევს სადავო სამართალურთიერთობის სწორი კვალიფიკაციის საშუალებას. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი – ნების გამოვლენის განმარტებისას გონივრული განსჯის კრიტერიუმით და არა მარტოდენ გარიგების ტექსტით ხელმძღვანელობა (სკ-ის 52-ე მუხ.), ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, გარიგების განმარტებისას მთლიანობაში უნდა იქნეს შესწავლილი გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მიზნის (ნების) დასადგენად.

ვინაიდან ამ შემთხვევაში, სადავოა ნივთის „განარგვაში“ ნაგულისხმევი მესაკუთრის ნება, ყურადღებაა მისაქცევი იმ საკითხზე, რომ მესაკუთრე მ. ბ-ე მითითებულ სანოტარო აქტში სპეციალურად აღნიშნავს იმ უფლებამოსილებებს, რომელსაც ანიჭებს წარმომადგენელს (მ.ნ-ს), სახელდობრ, ტერმინ „განკარგვაში“ გულისხმობს მინდობილი ქონების გასხვისებას ნებისმიერი ფორმით – ჩუქებას, გაცვლას, ყიდვას, გაყიდვას, რაც პრაქტიკულად მესაკუთრის ნამდვილი ნების დასადგენად გვაიძულებს „განკარგვის“ ცნება განვმარტოთ ვიწროდ, მხოლოდ მინდობილობის შინარსიდან გამომდინარე და არა ისე, როგორც ეს მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც სამართლებრივი ბედის გადაწყვეტას მოიცავს ფართო გაგებით. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურება და ნების გამოვლენის ავტონომიაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო სამართლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან დადონ ისეთი გარიგებებიც და იმგვარად განსაზღვრონ მათი შინაარსი, რომელიც არ არის მოცემული სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება ზოგადად საჯარო წესრიგსა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს (სკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწ.).

ამდენად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მინდობილობაში ჩამოთვლილ უფლებამოსილებათა დიფერენციალურად გარიგებაში გამოვლენილი მესაკუთრის ნამდვილი ნების განმარტებისათვის საგულისხმო მინიშნებას გვაძლევს. ის გარემოება, რომ მესაკუთრე კონკრეტულად ჩამოთვლის უფლე-

ბამოსილებათა ნუსხას, როგორცაა ჩუქება, გაქირავება, იჯარით გაცემა, მიგვითითებს სწორედ იმ გარემოებაზე, რომ „განკარგვის“ ცნების მიღმა ვიგულისხმობთ არა ყველა ის უფლებამოსილებები, რაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის სამოქალაქო კოდექსისეულ საშუალებას გვაძლევს, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად მესაკუთრემ განსაზღვრა, როდესაც მ. ნ-ზე გაცემულ მინდობილობაში პირდაპირ მიუთითა არ დაეტვირთა მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება იპოთეკით ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რადგან „გასხვისება“ და „იპოთეკით“ დატვირთვა განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მ. ნ-მა ვალი აიღო ფიზიკური პირისაგან (ი. კ-ისაგან) და უზრუნველყოფის მიზნით დატვირთა მარწმუნებლის ქონება, რის უფლებამოსილებასაც მესაკუთრე არ ანიჭებდა რწმუნებულს, რადგან გარიგების მე-2 მუხლში სპეციალური აღნიშვნა იყო მოცემული იმის თაობაზე, რომ მ. ნ-ი უფლებამოსილი იყო საქართველოს ნებისმერ ბანკში ენარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაციისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის. შესაბამისად დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონეა ის გარემოებაც, რომ მესაკუთრემ მხოლოდ საკრედიტო დანესებულებებთან წარმოდგენის უფლება მიანიჭა მ. ნ-ს, შესაბამისად, სასესხო ვალდებულების აღების – თუნდაც ფართო განმარტების საშუალებას ეს დათქმა არ იძლევა.

კონკრეტულ საქმეზე დადგენილია, რომ სესხი აღებულია ფიზიკური პირისაგან, რომლისგანაც ვალის აღების და მით უფრო, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილებას მ. ბ-ე არ ანიჭებდა მ. ნ-ს.

ამდენად, 2011 წლის 23 სექტემბრის სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი მ. ნ-ის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად მ. ბ-ის ქონების გამოყენება უმართებულოა და არ გამოდინარეობს გარიგებაში გამოვლენილი მესაკუთრის ნების გონივრული განმარტებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული სანოტარო აქტით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №090379512) – რწმუნებულებით მ. ნ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სს „პ. ბ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა იმავე ბანკში არსებულ თავის ანგარიშზე 141 355,17 ლარის დაბრუნება.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ, შპს „კ-ის“ და მოსარჩელის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანებების დასაფარავად, მოსარჩელის საანაბრე და მიმდინარე ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოაჭრა თანხა. აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის დებულებას. სს „პ. ბ-ის“ მოთხოვნა არ იყო უზრუნველყოფილი და თანხა უნდა გასტუმრებულიყო დადგენილი რიგის მიხედვით. „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მიხედვით, მზღვეველის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე ჩერდება იძულებითი აღსრულება, რის გამოც მოპასუხეს არ ჰქონდა მოსარჩელის საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხის ჩამონერის უფლება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია სს „პ. ბ-სა“ და შპს „კ-ს“, ასევე მოდავე მხარეებს შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების შეწყვეტისა და ანაბრის გაგრძელებაზე უარის თქმის მართლობიერება. მოპასუხემ განახორციელა ურთიერთვალდებულებათა გაქვითვა (რითაც მოპასუხის ვალდებულება მოსარჩელის მიმართ შეწყდა), რასაც მოსარჩელე მხარე არამართლობიერად მიიჩნევს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი იმყოფებოდა ლიკვიდაციის პროცესში. მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები არ ნიშნავს ურთიერთვალდებულებათა გაქვითვის არამართლობიერებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „მ-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: შპს დაზღვევის კომპა-

ნია „მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „პ. ბ-ს“ დაევალა მო-სარჩელის ანგარიშზე 141 355,17 ლარის დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 4 იანვარს სს „პ. ბ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო №720 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის ოდენობა – 31500 ლარი, კრედიტით სარგებლობის ვადა – 12 თვე, საპროცენტო სარგებელი – წლიური 18%, პირგასამტეხლო კრედიტისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დროულად დაუბრუნებლობისას (გრაფიკის დარღვევისას), ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილები-სათვის – კრედიტის ძირითადი თანხის დავალიანების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულების 2.6. პუნქტის მიხედვით, მსესხებელს კრედიტი უნდა დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად კრედიტის ძირითადი თანხისა და პროცენტის ნაწილის გადახდით, 2011 წლის 7 თებერვლიდან 2012 წლის 4 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულების 2.10. პუნქტის თანახმად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოანეროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი: პირგასამტეხლო, პროცენტი და კრედიტის ძირითადი თანხა. ხელშეკრულების 2.11. პუნქტის თანახმად, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ თანხის გადახდის მორიგი თარიღის დადგომისას, მოახდინოს გადასახდელი ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტების, პირგასამტეხლოს და სხვა თანხების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უაქცეპტო წესით ჩამოწერა მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან და ნებისმიერი ვალუტით. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის სახელზე სს „პ. ბ-ში“ არსებული ვადიანი ანაბრით. ანაბრის ხელშეკრულება №42933, ანაბრის თანხა – 100 081 ლარი;

2. სს „პ. ბ-მა“ შეასრულა 2011 წლის 4 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

3. 2011 წლის 29 მარტს შპს „დ. კ. მ-ს“ და სს „პ. ბ-ს“ შორის დაიდო №01-000754/29.03.11 ვადიანი ანაბრის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს დაზღვევის კომპანია „მ-მა“ სს „პ. ბ-ში“ გახსნილ საანაბრე ანგარიშზე შეიტანა 110 000 ლარი, 6 თვის ვადით (2011 წლის 29 მარტიდან 2011 წლის 29 სექტემბრამდე), წლიური 11%-ს დარიცხვით;

4. 2011 წლის 29 მარტს მხარეებმა შეიტანეს ცვლილება 2011 წლის 4 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მიეთითა, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის სახელზე სს „პ. ბ-ში“ არსებული ვადიანი ანაბრით;

5. 2011 წლის 15 იანვარს, სს „პ. ბ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის დაიდო №76-740 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის ოდენობა – 391 500 ლარი, კრედიტით სარგებლობის ვადა – 15.01.2011-დან 31.01.2011-მდე, საპროცენტო სარგებელი – წლიური 20%. ხელშეკრულების 2.11. პუნქტის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები უზრუნველყოფილი იყო შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ მიერ გაცემული საბანკო გარანტიით;

6. 2011 წლის 15 იანვარს შპს „მ-მა“ სს „პ. ბ-ის“ (ბენეფიციარის) სასარგებლოდ გასცა საბანკო გარანტია 230 000 აშშ დოლარი;

7. 2011 წლის 28 აპრილს, სს „პ. ბ-ს“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით შპს დაზღვევის კომპანია „მ-მა“ იკისრა სოლიდარული ვალდებულება სს „პ. ბ-ს“ და შპს „კ-ს“ შორის არსებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებაზე. თავდებობის ხელშეკრულებით თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 330 000 ლარით ან მისი ეკვივალენტი ნებისმიერი ვალუტით;

8. თავდებობის ხელშეკრულების 2.5., 4.1.2. და 4.1.3. პუნქტებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსესხებლის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, ბანკი უფლებამოსილი იქნებოდა, შესაბამისი თანხა უაქცეპტო წესით ჩამოეწერა თავდების ნებისმიერი ანგარიშიდან.

9. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 1 ივლისის №556 განკარგულებით, დაიწყო შპს „მ-ის“ ლიკვიდაციის პროცესი. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 22 ივლისის №603 განკარგულებით შეწყდა შპს „დ. კ. მ-ის“ ლიკვიდაციის პროცესი და გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება;

10. 2011 წლის 1 ივლისს სს „პ. ბ-მა“ წერილობით მიმართა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ (გარანტს) და აცნობა, რომ შპს „კ-მა“ (პრინციპალმა) დაარღვია 2011 წლის 15 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ბანკმა ცალმხრივად შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულებით

ბა და მოითხოვა სრული დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვა. 2011 წლის 1 ივლისის წერილით სს „პ. ბ-მა“ შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“, როგორც გარანტს, 2011 წლის 15 იანვრის საბანკო გარანტიის საფუძველზე მოსთხოვა 308 569,17 ლარის გადახდა, რაც, ბენეფიციარის განმარტებით, წარმოადგენდა პრინციპალის (შპს „კ-ის“) დავალიანებას 2011 წლის 1 ივლისის მდგომარეობით;

11. 2011 წლის 6 ივლისს სს „პ. ბ-მა“ წერილობით მიმართა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ ლიკვიდატორს და აცნობა, რომ ვინაიდან ბანკის მოთხოვნა წარმოადგენდა ვადადადამდგარ მოთხოვნას, „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, ის უფლებამოსილი იყო, თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მიეღო დაუყოვნებლივ, საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიკვიდატორის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ნუსხის წარდგენიდან 20 დღის ვადის გასვლამდე. ადრესატს დამატებით ეცნობა, რომ სს „პ. ბ-სა“ და შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული თავდებობის ხელშეკრულებით შპს „დ. კ. მ-მა“ იკისრა სოლიდარული ვალდებულება შპს „კ-ის“ მიერ ბანკის წინაშე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. თავდებობის ხელშეკრულების 2.5., 4.1.2. და 4.1.3. ქვეპუნქტების საფუძველზე, შპს „კ-ის“ მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა თავდებისაგან და უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხა თავდების ნებისმიერი ანგარიშიდან;

12. 2011 წლის 15 ივლისს სს „პ. ბ-მა“ შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ ლიკვიდატორს აცნობა, რომ შპს „კ-ის“ ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ მიერ 2011 წლის 15 იანვარს გაცემული საბანკო გარანტიის, ასევე სს „პ. ბ-ს“ და შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ შორის 2011 წლის 15 იანვარს დადებული თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე, სს „პ. ბ-მა“ 2011 წლის 14 ივლისს უარი თქვა თავის უფლებაზე 2011 წლის 29 სექტემბრამდე საკუთრებაში ჰქონოდა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ საანაბრე ანგარიშზე რიცხული თანხა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო სს „პ. ბ-სა“ და შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ შორის 2011 წლის 29 მარტს გაფორმებული ვადიანი ანაბრის ხელშეკრულებით;

13. აღნიშნულის მიუხედავად, ბანკის მიერ ანაბრის თანხაზე სრულად დაირიცხა ხელშეკრულების ვადის ბოლოს მისაღე-

ბი საპროცენტო სარგებელი. ანაბრის თანხა 110000 ლარი და მასზე დარიცხული პროცენტი – 6099,73 ლარი რეალიზებული იქნა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ მიმდინარე ანგარიშზე.

14. დადგენილია, რომ აღნიშნული თანხიდან პირველ რიგში ზემოხსენებული სესხის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი (სულ 16340,87 ლარი) დაიფარა. დარჩენილი ნაწილი – 99 758,86 ლარი, შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ მიმდინარე ანგარიშზე ანაბრის თანხის გადატანამდე არსებულ 21945,44 ლართან ერთად, მთლიანად 121704,3 ლარი, უაქცეპტო წესით ჩამოჭრის გზით მიმართული იქნა სს „პ. ბ-ის“ მიმართ შპს „კ-ის“ ვალდებულებების შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და ამავე ნორმატიული აქტის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს მზღვეველის ლიკვიდაციის პროცესის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებისას იძულებითი ღონისძიების შეჩერებას; ამასთან, ნორმა, რომლის შესაბამისადაც კანონმდებელი ადგენს სასამართლო კანონიერ ძალაში შესული და ამ სახით დადასტურებული მოთხოვნების აღსრულების შეჩერებას, გულისხმობს ასევე ლიკვიდაციისა და გაკოტრების რეჟიმში მყოფი სადაზღვევო კომპანიების მიმართ სხვა სახის, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილებებით დაუდგენელი მოთხოვნების იძულებითი აღსრულების ღონისძიებების შეჩერებასაც.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „პ. ბ-მა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-7 მუხლი და არასწორად მიიჩნია, რომ იძულებითი აღსრულების შეჩერება სახელშეკრულებო მოთხოვნებსაც შეეხებოდა;

2. მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილება ამ საფუძვლით არ მოუთხოვია, სააპელაციო სასამართლო კი, სარჩელის ფარგლებს გასცდა;

3. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სს „პ. ბ-მა“ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა განახორციელა;

4. დასახელებული წესის მე-11 მუხლის მიხედვით, ვადამოსულ მოთხოვნებზე არ ვრცელდება საგანგებო რეჟიმი და დაუ-

ყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინახა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ სს „პ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 4 იანვარს სს „პ. ბ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო №720 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის ოდენობა – 31500 ლარი, კრედიტით სარგებლობის ვადა – 12 თვე, საპროცენტო სარგებელი – წლიური 18%, პირგასამტეხლო კრედიტისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დროულად დაუბრუნებლობისას (გრაფიკის დარღვევისას), ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის – კრედიტის ძირითადი თანხის დავლიანების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულების 2.6. პუნქტის მიხედვით, მსესხებელს კრედიტი უნდა დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად კრედიტის ძირითადი თანხისა და პროცენტის ნაწილის გადახდით, 2011 წლის 7 თებერვლიდან 2012 წლის 4 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულების 2.10. პუნქტის თანახმად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოანეროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი: პირგასამტეხლო, პროცენტი და კრედიტის ძირითადი თანხა. ხელშეკრულების 2.11. პუნქტის თანახმად, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ თანხის გადახდის მორიგი თარიღის დადგომისას, მოახდინოს გადასახდელი ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტების, პირგასამტეხლოს და სხვა თანხების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უაქცეპტოდ წესით ჩამოანერა მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან და ნებისმიერი ვალუტით. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის სახელზე სს „პ. ბ-ში“

არსებული ვადიანი ანაბრით. ანაბრის ხელშეკრულება №42933, ანაბრის თანხა – 100 081 ლარი;

2. სს „პ. ბ-მა“ შეასრულა 2011 წლის 4 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

3. 2011 წლის 29 მარტს შპს „დ. კ. მ-სა“ და სს „პ. ბ-ს“ შორის დაიდო №01-000754/29.03.11 ვადიანი ანაბრის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს დაზღვევის კომპანია „მ-მა“ სს „პ. ბ-ში“ გახსნილ საანაბრე ანგარიშზე შეიტანა 110 000 ლარი, 6 თვის ვადით (2011 წლის 29 მარტიდან 2011 წლის 29 სექტემბრამდე), წლიური 11%-ს დარიცხვით;

4. 2011 წლის 29 მარტს მხარეებმა შეიტანეს ცვლილება 2011 წლის 4 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მიეთითა, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის სახელზე სს „პ. ბ-ში“ არსებული ვადიანი ანაბრით;

5. 2011 წლის 15 იანვარს, სს „პ. ბ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის დაიდო №76-740 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის ოდენობა – 391 500 ლარი, კრედიტით სარგებლობის ვადა – 15.01.2011-დან 31.01.2011-მდე, საპროცენტო სარგებელი – წლიური 20%. ხელშეკრულების 2.11. პუნქტის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები უზრუნველყოფილი იყო შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტიით;

6. 2011 წლის 15 იანვარს შპს „მ-მა“ სს „პ. ბ-ის“ (ბენეფიციარის) სასარგებლოდ გასცა საბანკო გარანტია 230 000 აშშ დოლარი;

7. 2011 წლის 28 აპრილს, სს „პ. ბ-ს“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით შპს დაზღვევის კომპანია „მ-მა“ იკისრა სოლიდარული ვალდებულება სს „პ. ბ-ს“ და შპს „კ-ს“ შორის არსებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებაზე. თავდებობის ხელშეკრულებით თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 330 000 ლარით ან მისი ეკვივალენტი ნებისმიერი ვალუტით;

8. თავდებობის ხელშეკრულების 2.5, 4.1.2 და 4.1.3 პუნქტებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსესხებლის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, ბანკი უფლებამოსილი იქნებოდა, შესაბამისი თანხა უაქცეპტო წესით ჩამოენერა თავდების ნებისმიერი ანგარიშიდან.

9. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011

წლის 1 ივლისის №556 განკარგულებით, დაიწყო შპს „მ-ის“ ლიკვიდაციის პროცესი. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 22 ივლისის №603 განკარგულებით შეწყდა შპს „დ. კ. მ-ის“ ლიკვიდაციის პროცესი და გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება;

10. 2011 წლის 1 ივლისს სს „პ. ბ-მა“ წერილობით მიმართა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ (გარანტს) და აცნობა, რომ შპს „კ-მა“ (პრინციპალმა) დაარღვია 2011 წლის 15 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ბანკმა ცალმხრივად შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება და მოითხოვა სრული დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვა. 2011 წლის 1 ივლისის წერილით სს „პ. ბ-მა“ შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“, როგორც გარანტს, 2011 წლის 15 იანვრის საბანკო გარანტიის საფუძველზე მოსთხოვა 308 569,17 ლარის გადახდა, რაც, ბენეფიციარის განმარტებით, წარმოადგენდა პრინციპალის (შპს „კ-ის“) დავალიანებას 2011 წლის 1 ივლისის მდგომარეობით;

11. 2011 წლის 6 ივლისს სს „პ. ბ-მა“ წერილობით მიმართა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ ლიკვიდატორს და აცნობა, რომ ვინაიდან ბანკის მოთხოვნა წარმოადგენდა ვადადამდგარ მოთხოვნას, „მზღვევის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, ის უფლებამოსილი იყო, თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მიეღო დაუყოვნებლივ, საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიკვიდატორის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ნუსხის წარდგენიდან 20 დღის ვადის გასვლამდე. ადრესატს დამატებით ეცნობა, რომ სს „პ. ბ-სა“ და შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული თავდებობის ხელშეკრულებით შპს „დ. კ. მ-მა“ იკისრა სოლიდარული ვალდებულება შპს „კ-ის“ მიერ ბანკის წინაშე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. თავდებობის ხელშეკრულების 2.5., 4.1.2. და 4.1.3. ქვეპუნქტების საფუძველზე, შპს „კ-ის“ მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა თავდებისაგან და უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხა თავდების ნებისმიერი ანგარიშიდან;

12. 2011 წლის 15 ივლისს სს „პ. ბ-მა“ შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ ლიკვიდატორს აცნობა, რომ შპს „კ-ის“ ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ მიერ 2011 წლის 15 იანვარს გაცემული საბანკო გარანტიის, ასევე

სს „პ. ბ-ს“ და შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ შორის 2011 წლის 15 იანვარს დადებული თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე, სს „პ. ბ-მა“ 2011 წლის 14 ივლისს უარი თქვა თავის უფლებაზე 2011 წლის 29 სექტემბრამდე საკუთრებაში ჰქონოდა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ საანაბრე ანგარიშზე რიცხული თანხა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო სს „პ. ბ-სა“ და შპს დაზღვევის კომპანია „მ-ს“ შორის 2011 წლის 29 მარტს გაფორმებული ვადიანი ანაბრის ხელშეკრულებით;

13. აღნიშნულის მიუხედავად, ბანკის მიერ ანაბრის თანხაზე სრულად დაირიცხა ხელშეკრულების ვადის ბოლოს მისაღები საპროცენტო სარგებელი. ანაბრის თანხა 110000 ლარი და მასზე დარიცხული პროცენტი – 6099,73 ლარი რეალიზებული იქნა შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ მიმდინარე ანგარიშზე;

14. აღნიშნული თანხიდან პირველ რიგში ზემოხსენებული სესხის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი (სულ 16340,87 ლარი) დაიფარა. დარჩენილი ნაწილი – 99 758,86 ლარი, შპს დაზღვევის კომპანია „მ-ის“ მიმდინარე ანგარიშზე ანაბრის თანხის გადატანამდე არსებულ 21945,44 ლართან ერთად, მთლიანად 121704,3 ლარი, უაქცეპტო წესით ჩამოჭრის გზით მიმართული იქნა სს „პ. ბ-ის“ მიმართ შპს „კ-ის“ ვალდებულების შესასრულებლად.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორის არგუმენტები გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების წინააღმდეგაა მიმართული და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული პრეტენზია წარმოდგენილი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე ჩერდება იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ იძულებითი აღსრულება ზედმეტად ფართოდ განმარტა და მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის, ისევე როგორც სხვა სამართლებრივი ურთიერთობებისას, იძულებითი აღსრულება გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს და არ მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში მხარეების მიერ შესრულებულ ქმედებებს. იძულებითი აღსრულება შეიძლება გულისხმობდეს სასამართლო გა-

დანყვეტილებით მიკუთვნებული უფლების რეალიზაციას „სა-აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონითა და საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და პირობებით, შესაბამისად, ცალსახაა, რომ განსახილველ შემთხვევაში იძულებით აღსრულებას ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დავის გადაჭრისათვის საკვანძო ფაქტობრივ გარემოებებზე: შპს „მ-სა“ და სს „პ. ბ-ს“ შორის გაფორმებული იყო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილი იყო სს „პ. ბ-ში“ განთავსებული შპს „მ-ის“ ანაბრით. იმავდროულად, სს „პ. ბ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილი იყო შპს „მ-ის“ საბანკო გარანტიით. სს „პ. ბ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით შპს დაზღვევის კომპანია „მ-მა“ იკისრა სოლიდარული ვალდებულება სს „პ. ბ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის არსებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებაზე. შპს „კ-ის“ მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა თავდებისაგან და უაქცეპტო წესით ჩამოიწიროს თანხა თავდების ნებისმიერი ანგარიშიდან. 2011 წლის 1 ივლისს დაიწყო შპს „მ-ის“ ლიკვიდაცია. იმავე დღეს სს „პ. ბ-მა“ აცნობა შპს „კ-ის“ ვალდებულების დარღვევის შესახებ და მოსთხოვა ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება, ამასთან, ვადამდე შეწყვიტა ანაბრის ხელშეკრულება და ანაბარზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიკმაყოფილა უშუალოდ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, ხოლო დარჩენილი თანხა „მ-ის“ მიმდინარე ანგარიშზე გადატანის შემდეგ, უაქცეპტო წესით ჩამოაჭრა მოვალის თანხმობის გარეშე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო იმავე კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სამოქალაქო დავა განიხილება მხარის მოთხოვნის ფარგლებში, სარჩელის საფუძვლების გათვალისწინებით. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლი-

ბა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მათი მიმართება კონკრეტულ სამართლებრივ ნორმასთან, სასამართლოს მსჯელობის საგანია, შესაბამისად, თუნდაც მხარე, საკუთარი მოთხოვნის დასაბუთებლად არასწორ სამართლებრივ საფუძველს მიუთითებდეს, სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მოცემული ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმაზე დაყრდნობით. სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლებით, ხოლო მათი სამართლებრივი შეფასება, სასამართლოს კომპეტენციაა. სარჩელის ფარგლების დაცვა სავალდებულოა ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებებზე თავად მხარეები მიუთითებდნენ და მათი ნამდვილობა სადავო არ გამხდარა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია ლიკვიდაციის დაწყების მომენტის ზუსტად განსაზღვრა. „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მზღვეველის დროებითი ადმინისტრატორის, ლიკვიდატორისა და გაკოტრების მმართველის დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაუყოვნებლივ ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე და წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შესაბამისი აღნიშვნისათვის. იმავე „წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისა და მზღვეველის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე ეროვნული ბანკის მიერ უფლებამოსილი პირები ახორციელებენ მზღვეველის ინვენტარიზაციის პროცესისათვის აუცილებელ ღონისძიებებს.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება, მზღვეველის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება და ლიკვიდატორის დანიშვნა შეიძლება განხორციელდეს ერთი და იმავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო „წესის“ მე-9 მუხლის საფუძველ-

ზე, ლიკვიდატორი დანიშვნისთანავე შეუდგება უფლებამოსილების განხორციელებას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ, როდესაც სს „პ. ბ-მა“ შპს „მ-ისაგან“, როგორც გარანტისა და თავდებისგან, ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება მოითხოვა, ეს უკანასკნელი ლიკვიდაციის რეჟიმში იმყოფებოდა. ის, რომ სს „პ. ბ-ისათვის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე ცნობილი იყო, მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „კ-ის“ მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა თავდებისაგან და უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხა თავდების იმავე ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან, ამდენად, ჩვეულებრივ პირობებში, სს „პ. ბ-ს“ „მიუბიუსის“ თანხმობა საკუთარი უფლების რეალიზაციისათვის არ სჭირდებოდა, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის ლიკვიდაციის რეჟიმში განხორციელდა, შესაფასებელია სს „პ. ბ-ის“ მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების მართლზომიერება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იურიდიული პირის ლიკვიდაციისა და გადახდისუუნარობის სპეციალური რეჟიმის შემოღების გზით, კანონმდებლის მიზანია, პირველ რიგში თავად ვალაუვალი საზოგადოების ინტერესების დაცვა, რაც გულისხმობს კრედიტორების ვალდებულებას, არსებული მოთხოვნების შესახებ დადგენილი წესით განაცხადონ და მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური წესით, რიგითობის შესაბამისად მიიღონ შესრულება. აღნიშნული შეზღუდვა აგრეთვე უზრუნველყოფს კრედიტორებისათვის თანაბარი პირობების შექმნას და რომელიმე მათგანს უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს იმ თვალსაზრისით, თუ რომელ მათგანს გააჩნია უშუალო წვდომა მოვალის ქონებასთან. კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის დარღვევა, ანუ მოთხოვნის დაკმაყოფილება კრედიტორთა ნუსხაში შეყვანისა და შესაბამისი რიგითობის დაცვის გარეშე, წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამგვარი მოთხოვნის უფლება ლიკვიდაციის ან გაკოტრების რეჟიმის დასრულებამდე გააჩნია საზოგადოების ლიკვიდატორს ან გაკოტრების მმართველს.

„მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიკვიდატორი ვალდებუ-

ლია დანიშენიდან 15 დღის ვადაში დაუგზავნოს შეტყობინებები ბანკებს, რათა ლიკვიდატორის ნებართვის გარეშე არ მოხდეს მზღვეველის ანგარიშებიდან ოპერაციების წარმოება. იმავე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიკვიდატორმა კრედიტორებს უნდა აცნობოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყება სპეციალური შეტყობინებით, ხოლო ისეთ კრედიტორებს, რომელთა იურიდიული მისამართიც უცნობია, ბეჭდვით ორგანოში განცხადების გამოქვეყნებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მათ დადგენილ ვადებში ლიკვიდატორს უნდა წარუდგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი საბუთები, ხოლო მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიკვიდატორი ვალდებულია უზრუნველყოს კრედიტორთა მიერ წარდგენილი ყველა მოთხოვნის კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმების საფუძველზე დადგენილია ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი სადაზღვევო კომპანიის კრედიტორების ვალდებულება საკუთარი მოთხოვნის არსებობის თაობაზე აცნობონ ლიკვიდატორს და წარუდგინონ შესაბამისი მტკიცებულებები, ამასთან, ლიკვიდატორის თანხმობის გარეშე, იკრძალება სადაზღვევო კომპანიის საბანკო ანგარიშებიდან ოპერაციების წარმოება. ლიკვიდაციის დაწყებისას, მხარეთა შორის შეთანხმებული ვალდებულების შესრულების წესი აღარ მოქმედებს. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია აღნიშნული ნორმების შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესი“ ასევე ადგენს, რა გზით უნდა დაკმაყოფილდეს იმგვარი მოთხოვნები, რომელთა კანონიერებაც მე-8 მუხლის შესაბამისად შემოწმდა, კერძოდ, „წესის“ მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მზღვეველის ლიკვიდაციისას მოთხოვნები დაკმაყოფილდება კრედიტორთა წერილობითი განცხადებების საფუძველზე (გარდა ვადადამდგარი მოთხოვნებისა) ეროვნულ ბანკში ლიკვიდატორის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ნუსხის წარდგენიდან 20 დღის გასვლის შემდეგ.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ ვადამოსული მოთხოვნები საგამონაკლისო წესით უნდა დაკმაყოფილდეს და არ საჭიროებს ნუსხაში შეტანას ან ამ ნუსხის წარდგენიდან 20 დღის გასვლას, ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, აღნიშნული ნორმის მიზნებისათ-

ვის, ვადადამდგარი არის მოთხოვნა, რომლის შესრულების მოვალეობა ლიკვიდატორის დანიშვნის მომენტიდან მოვალეს ეკისრება. ნებისმიერი მოთხოვნა, რომლის შესრულების ვადა არ დამდგარა ლიკვიდატორის დანიშვნისა და ლიკვიდაციის დაწყების მომენტამდე, ვადამოსულად ვერ შეფასდება, შესაბამისად, იმისათვის, რომ განისაზღვროს სს „პ. ბ-ის“ ქმედების მართლზომიერება, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა მისი მოთხოვნა ვადამოსული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სს „პ. ბ-ის“ მოთხოვნა ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულებიდანაა წარმოშობილი. „მ-ის“, როგორც თავდების ვალდებულებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სს „პ. ბ-მა“ შპს „მ-ს“ პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნით 2011 წლის 1 ივლისს მიმართა, ხოლო 2011 წლის 6 ივლისს, შპს „მ-ს“, როგორც თავდებს, ვალდებულების შესრულების მიზნით, თანხის ჩამოჭრის უფლებამოსილების მინიჭების მოთხოვნით მიმართა, მაგრამ, ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მხარეთა შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით შპს „მ-მა“ ვალდებულება სოლიდარულად იკისრა. სამოქალაქო კოდექსის 894-ე და 895-ე მუხლების თანახმად, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა. აღნიშნული ნორმებიდან და თავად ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „მ-ის“ მიმართ მოთხოვნის უფლება სკ-ის 895-ე მუხლით განსაზღვრული პირობების დადგომისას უნდა წარმოშობილიყო. სწორედ ამ მომენტიდან ჩაითვლება სს „პ. ბ-ის“ მოთხოვნა ვადამოსულად, სააპელაციო სასამართლოს კი, მითითებული გარემოებები არ გამოუკვლევიან, არ დაუდგენია მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტი და არ შეუფასებია, ლიკვიდაციის დაწყებისას, იყო თუ არა სს „პ. ბ-ის“ მოთხოვნა ვადამოსული. მითითებული გარემოებების დადგენის გარეშე კი, შეუძლებელია შეფასდეს მოპასუხის ქმედების მართლზომიერება.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ, მოცემულ

შემთხვევაში, თავისთავად თანხის არამართლზომიერად ჩამოჭრა სარჩელის დაკმაყოფილებისა და ჩამოჭრილი თანხის დაბრუნების საფუძველს არ ქმნის. ამ შემთხვევაში, ლიკვიდაციის ან გაკოტრების რეჟიმში მყოფ მოვალეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, ამასთან, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის დადგომის ფაქტი და მისი ოდენობა. სააპელაციო სასამართლომ კი, შპს „მ-ის“ სარჩელი იმგვარად დააკმაყოფილა, რომ არც აღნიშნული გარემოებები შეუსწავლია.

რაც შეეხება შპს „მ-სა“ და სს „პ. ბ-ს“ შორის გაფორმებული საბანკო კრედიტს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2012 წლის 4 იანვარს იწურებოდა. შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ „სასამართლო განხილვის ეტაპზე ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ვალიარებთ ვალისა და სს „პ. ბ-ის“, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორის არსებობას და რომ დეპოზიტის აღდგენა ნიშნავს სესხის აღდგენასაც. თუმცა სასამართლომ არც ჩვენი პოზიცია გაიზიარა სათანადოდ და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც ეჭვქვეშ დგება ლიკვიდატორისათვის კანონით მინიჭებული უფლება, რომ მხოლოდ სათანადო შესწავლის შემდეგ მოახდინოს ვალდებულების გასტუმრება რომლის არსებობა სადავო არასოდეს გამხდარა.“ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, აღნიშნული მითითება წარმოადგენს თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ აღიარებას, ამასთან, გამოსაკვლევი, კონკრეტულად რა გარემოება აღიარა შპს „მ-მა“: ხელშეკრულების ნამდვილობა, კრედიტის ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების დარღვევა და „პ. ბ-ის“ წინაშე დავალიანების არსებობა, თუ ბანკის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების მართლზომიერება. სააპელაციო სასამართლოს კი, მითითებულ გარემოებებზე არ უმსჯელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „მზღვეველის იძულებითი აღმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი; ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველს ქმნის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასა-

მართლოში, თუ: არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინების დასაბუთებით, გამოიკვლიოს სს „პ. ბ-ის“ ქმედების მართლზომიერება და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „პ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება

ბანკინება

№ას-411-388-2014

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუერი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სააღსრულებო ფურცლის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ი. კ-ის, მ. ნ-ისა და მ. შ-ას მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 1. მ. ბ-ს, მ. ნ-ს, ი. კ-სა და მ. შ-ას შორის 2011 წლის 23 სექტემბერს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №111026583) ბათილად ცნობა, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე უძრავი ქონების (უძრავი ქონების ს/კ:.....) იპოთეკით დატვირთვის ნაწილი; 2. ნოტარიუს ს. მ-ის მიერ 2012 წლის 19 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №120762604) გაუქმება ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (უძრავი ქონების ს/კ:.....) იძულებით აუქციონზე რეალიზაციის ნაწილში.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2011 წლის 23 სექტემბერს მ. ბ-ის მინდობილ პირს – მ. ნ-ს, ი. კ-სა და მ. შ-ას შორის სანოტარო წესით გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №111026583), რომლის თანახმად, მ. ნ-ის მიერ სესხად აღებული თანხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება, კერძოდ, 670,00მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით №1, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 355,05მ², მდებარე, ქალაქ მცხეთაში, კ-ის ქუჩა №14-ში (უძრავი ქონების ს/კ:.....). იმის მიუხედავად, რომ მოპასუხე მ. ნ-ს მინიჭებული ჰქონდა მ. ბ-ის ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განკარგვის უფლებამოსილება მე-

საკუთრის თანხმობის გარეშე. მას არ ჰქონდა ამ ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლება, რადგან 2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობაში ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად საკუთრების მართვასა და განკარგვაში, სახელდობრ, მინდობილობის მიხედვით, ტერმინი – „მართვა“ საკუთრების მიმდობის ქონების ჯგეროვანი მოვლისა და დაცვისათვის მიმართულ ქმედებას ან იმგვარ ქმედებას გულისხმობს, რომელიც სასარგებლოა საკუთრების მიმდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის) თვალსაზრისით – გაქირავება, იჯარით გაცემა, აღნაგობის ან უზუფურუქტის უფლებით დატვირთვა, ხოლო ამავე ხელშეკრულების მიზნისათვის ტერმინი – „განკარგვა“ განიმარტება, როგორც მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვლა, ყიდვა-გაყიდვა). შესაბამისად, არც ერთი მათგანი („მართვა“ და „განკარგვა“) არ გულისხმობდა უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების გამოყენება სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად ეწინააღმდეგებოდა მესაკუთრის ნამდვილ ნებას, რის გამოც არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი.

მოპასუხეთაგან მ. ნ-ს შესაგებელი არ წარმოუდგენია, ხოლო მ. შ-ამ და ი. კ-მ წარმოუდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს. ი. კ-მ შესაგებელში განმარტა, რომ 2009 წლის 10 ივლისის მინდობილობის საფუძველზე მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანდო მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება – 670,00მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით №1, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 355,05მ², მდებარე, ქალაქ მცხეთაში, კ-ის ქუჩა №14-ში (უძრავი ქონების ს/კ:.....), მათ შორის, მიანიჭა იპოთეკაზე ხელის მონერის უფლება, რაც საკმარისი იყო უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვისათვის. მ. ნ-ის ეს უფლებამოსილება შემომწმდა ნოტარიუს ს. მ-ის მიერ, რაც გამორიცხავს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, ასევე, მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის იპოთეკის ნაწილში ბათილად ცნობის ფაქტობრივსამართლებრივი გარემოებების არსებობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით: 1. მოსარჩელე მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; 2. ბათილად იქნა ცნობილი მ. ბ-ს, მ. ნ-ს, ი. კ-სა და მ. შ-ას შორის 2011 წლის 23 სექტემბერს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №111026583) სესხის ხელშეკრულებით.

ბიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით უძრავი ქონების მდებარე, ქ.მცხეთა, კ-ის ქ.№14 (უძრავი ქონების ს/კ:.....) იპოთეკით დატვირთვის ნაწილში; 3. გაუქმდა ნოტარიუს ს. მ-ის მიერ 2012 წლის 19 ივლისს გაცემული საალსრულებო ფურცელი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №120762604) იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მდებარე, ქ.მცხეთა, კ-ის ქ.№14 (უძრავი ქონების ს/კ:.....) იძულებით აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ი. კ-მ, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინებით ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტი, მიუხედავად მასში გამოყენებული ტერმინებისა: „საკუთრების მიმდობი“ და „მინდობილი მესაკუთრე“, და ამ ტერმინთა გამოყენების რაოდენობისა, თავისი შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით წარმოადგენდა რწმუნებულებას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 727-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება წარმოადგენს წერილობითი სახის ფორმა-სავალდებულო ხელშეკრულებას, რაც, სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, ნიშნავს იმას, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის სავალდებულოა წერილობითი ფორმის დაცვა. სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და, აქედან გამომდინარე, საკუთრების მინდობის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ორივე მხარის, როგორც საკუთრების მიმდობის, ასევე მინდობილი მესაკუთრის მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადების შესახებ გამოვლენილი ნების წერილობით დაფიქსირება და დადასტურება შესაბამისი ხელმოწერით. მოცემულ შემთხვევაში, მ. ბ-სა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტით გაფორმებული სამართლებრივი ურთიერთობის საკუთრების მინდობის

ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის ორივე მხარე, როგორც მ. ბ-ს, ასევე, მ. ნ-ს ნება წერილობით უნდა გამოეცვლინათ და წერილობით ფორმითივე დაედასტურებინათ, მაგრამ, უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს სა-ნოტარო აქტით გაფორმებულ გარიგებაზე ხელს აწერდა მხოლოდ მ. ბ-ე და არ იყო დაფიქსირებული მ. ნ-ის ხელმოწერა, რითაც დადასტურდებოდა მის მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადების შესახებ ნების გამოვლენა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მ. ნ-მა 2011 წლის 23 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებით კონკლუდენტურად მიიღო მ. ბ-ის მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადების შესახებ გამოვლენილი ნება, რითაც დაადასტურა რომ ამით, ერთი მხრივ, მ. ბ-ს, როგორც „საკუთრების მიმდობსა“ და მეორე მხრივ, მ. ნ-ს, როგორც „მინდობილ მესაკუთრეს“ შორის წარმოიშვა საკუთრების მინდობის სამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 68-ე, 727-ე და 327-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, მიუთითა, რომ ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაცვისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის არ იყო საკმარისი მეორე მხარის მიერ გამოვლენილი ნების მიღების კონკლუდენტურად დადასტურება. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მ. ნ-ის მიერ 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტით გაფორმებული მ. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნების მიღება კონკლუდენტურად არ ახდენდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების აქცეპტირებას და შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების დადასტურებას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ყურადღება გაამახვილა გარიგების შინაარსზეც, სადაც რამდენჯემე მეორდებოდა დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობილი მესაკუთრე მ. ნ-ი საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების მინდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ იმ თვისებას, რომ საკუთრების მინდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის თავისი სახელით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების მინდობა, თავისი არსითა და დანიშნულებით გულისხმობდა მინდობილი პირის ვალდებულებას, მართოს მინდობილი ქონება თა-

ვისი სახელით, თუმცა, მინდობილი მესაკუთრის ინტერესების შესაბამისად, ანუ მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში მოქმედებს თავისი სახელით. აღნიშნულის საპირისპიროდ, კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო 2011 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულებაში მ. ნ-ი იპოთეკით დატვირთვის ნაწილში გამოდის არა საკუთარი სახელით, არამედ მინდობილი პირის, როგორც მ. ბ-ის წარმომადგენელი. სწორედ ეს ძირითადი თავისებურება განასხვავებს საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას რწმუნებულებისაგან.

2011 წლის 23 სექტემბრის იპოთეკის ხელშეკრულების კანონიერების დასადგენად სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობის შესაბამის პუნქტებზე, სახელდობრ, მინდობილობის პირველი პუნქტის საფუძველზე, მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანიჭა მარწმუნებლის კუთვნილი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, თუმცა ამავე მინდობილობის პირველი პუნქტის შინაარსობრივი ანალიზით დგინდებოდა, რომ მარწმუნებელმა მ. ნ-ს მისცა კუთვნილი ნივთების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება არა სრული მოცულობით, არამედ შეზღუდული უფლებამოსილებით, კერძოდ, მ. ნ-ს მიეცა ქონების მართვის კუთხით მხოლოდ გაქირავების (იჯარის), აღნაგობისა და უზუფრუქტის გამოყენების, ხოლო განკარგვის კუთხით მიენიჭა მხოლოდ გასხვისების უფლებამოსილება.

მინდობილობის მე-2 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად ადგენდა, რომ მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანიჭა უფლებამოსილება, ყოფილიყო მისი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ ბანკში და ეწარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე, იპოთეკურ და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, ე.ი 2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობით კონკრეტულად განისაზღვრა წარმომადგენლის უფლებამოსილების სფერო და მ. ნ-ი, როგორც მ. ბ-ის წარმომადგენელი, მხოლოდ საბანკო დანესებულებებში საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, აღიჭურვა მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილებით. მოცემულ საქმეზე კი, დადგენილ იქნა, რომ მ. ნ-მა საკუთარი სახელით აიღო სესხი არასაბანკო დანესებულებაში და ამ სესხის უზრუნველსაყოფად, მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების უგულებელყოფით, გამსესხებელ – ი. კ-ისა და მ. შ-ას სასარგებლოდ, იპოთეკით დატვირთა მარწმუნებელ – მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონება.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ი. კ-მ გაასა-

ჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-
დანყევტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი დასაბუთე-
ბა იმ გარემოებას ემყარება, რომ საქმის განმხილველმა სასა-
მართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მ. ბ-ის მიერ
გამოვლენილი ნების შინაარსი, რომელიც სანოტარო წესით და-
მონმებულ იქნა 2009 წლის 10 აგვისტოს ნოტარიუს მ. ბრ-ის მი-
ერ. აღნიშნული მინდობილობის შინაარსი პირდაპირ მიუთითებ-
და იმაზე, რომ მ. ბ-მ საკუთარ დედას, მ. ნ-ს, მიანიჭა არა მარტო
წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, არამედ მინდობილი
მესაკუთრის უფლებამოსილებაც. 2011 წლის 23 სექტემბრის სა-
დავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ძირითადად ეფუძ-
ნებოდა 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტის პირველ
პუნქტს, რომლის თანახმად, მ. ნ-ი მოქმედებდა, როგორც მინ-
დობილი მესაკუთრე და მას უფლება ჰქონდა საკუთრების მინ-
დობის ქონების თაობაზე საკუთარი სახელით დაედო გარიგე-
ბები, მათ შორის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. 2009
წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტის დამონმებისათვის სანო-
ტარო მოქმედების საზღაური გადახდილ იქნა მინდობილი მე-
საკუთრის ქონების ღირებულებიდან, რაც კიდევ ერთხელ ადას-
ტურებდა იმ გარემოებას, რომ სანოტარო აქტით დედა-შვილს
შორის ერთდროულად დამონმდა როგორც რწმუნებულება, ისე
– საკუთრების მინდობის ხელშეკრულება. სასამართლომ არას-
წორად განმარტა „ქონების მართვა“, რადგან საქართველოს
მოქმედი კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა „ქონების
მართვის უფლებამოსილების“ შინაარსში ამ ქონების მოვლის,
დაცვისა და უფლებრივი დატვირთვისაგან განთავისუფლების
მიზნით სესხის აღებას და ამ სესხის უზრუნველსაყოფად აღ-
ნიშნული ქონების გამოყენების შესაძლებლობასაც გულისხმობ-
და. კასატორის მითითებით, სასამართლომ ყურადღების მიღმა
დატოვა ის გარემოება, რომ მოსარჩელე და მოპასუხე დედა-
შვილია, ისინი ერთ საცხოვრებელ ბინაში არიან რეგისტრირე-
ბული. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმის გარემოებების
ყოველმხრივ და სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის
მიზნით, არც დაინტერესებულა, სხდომაზე მოენვია ნოტარიუ-
სი ს. მ-ე და დამატებით მისი განმარტებაც მოესმინა, მით უფ-
რო, რომ 2011 წლის 23 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელ-
შეკრულებები ამ ნოტარიუსის მიერ იყო დამონმებული.

კასატორი მიუთითებს საპროცესო ნორმების დარღვევაზე
და მიაჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას დაირღვა სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი მტკიცე-

ბულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შე-
სახებ, კერძოდ, სასამართლოს ამ ნორმის შესაბამისად, არ შე-
უმონმებია და არ შეუფასებია მ. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნების
შინაარსი, რომელიც სანოტარო წესით დამონმდა 2009 წლის 10
აგვისტოს ნოტარიუს მ. ბრ-ის მიერ. სასამართლომ არასწორად
მიიჩნია, რომ მ. ნ-ს არ ჰქონდა უფლება, ფიზიკური პირების სა-
სარგებლოდ იპოთეკით დაეტვირთა მ. ბ-ის საკუთრებაში არსე-
ბული უძრავი ქონება. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძ-
ნა მხოლოდ მოსარჩელისა და ე.წ „მოპასუხის“ დედის განმარ-
ტებებზე, რომელიც სარჩელის შეტანის დროისათვის აღჭურ-
ვილი იყო მოსარჩელის წარმომადგენლობითი უფლებამოსილე-
ბით. კასატორის მოსაზრებით, დარღვეულია სამოქალაქო საკ-
როცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, ვი-
ნაიდან მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვეტილე-
ბაში საერთოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ არ გაიზიარა შესაგე-
ბელში მოპასუხის მითითება იმის შესახებ, რომ მ. ნ-მა, სადავო
ხელშეკრულება დადო, როგორც მინდობილმა მესაკუთრემ. აქე-
დან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუ-
თება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძ-
ვლიანობის შემონმება შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განჩინებით ი. კ-ის საკა-
საციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-
საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკა-
საციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო სა-
ჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი
მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შე-
სახებ მ. ნ-ის უფლებამოსილების შეზღუდვა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის
მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ერთი მხრივ, მ. ბ-ს, როგორც „საკუთრების მიმდობსა“ და
მეორე მხრივ, მ. ნ-ს, როგორც „მინდობილ მესაკუთრეს“ შორის
2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმდა სანოტარო აქტი (სანოტარო
მოქმედების რეგისტრაციის №090379512), რომლის თანახმად,
საკუთრების მიმდობმა მინდობილ მესაკუთრეს მართვისა და
განკარგვის უფლებით მიანდო მთელი თავისი უძრავ-მოდრავი
ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწა, აქციები და სხვა ფასიანი ქა-

ღალღებში, წილები სამეწარმეო საზოგადოების სანქსდებო კა-
პიტალში...), „მინდობილ ქონებაში“ იგულისხმება ყველა ის ქო-
ნებრივი და არაქონებრივი სიკეთე, რომელიც წინამდებარე აქ-
ტის შედგენისას არის, ან მომავლში იქნება საკუთრების მიმ-
ნდობის სარგებლობასა ანდა მფლობელობაში. „მართვაში“ იგუ-
ლისხმება ყველა ის მოქმდება, რაც აუცილებელია მინდობილი
ქონების ჯეროვანი მოვლისა და დაცვისათვის, ან სასარგებლოა
საკუთრების მიმნდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის)
თვალსაზრისით (გაქირავება, იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი...).
„განკარგვაში“ იგულისხმება მინდობილი ქონების გასხვისება
ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა...) (მუხ-
ლი პირველი). ამავე ხელშეკრულებით მ. ბ-მ წარმომადგენლო-
ბითი უფლებამოსილება მიანიჭა მ. ნ-ს, საქართველოს ნების-
მერ ბანკში ეწარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი
მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაცი-
ისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათ-
ვის... (მუხლი 2.).

აღნიშნული ხელშეკრულება მიუხედავად მასში მრავალჯერ
მოსხენიებული ტერმინებისა „საკუთრების მიმნდობი“, „მინდო-
ბილი მესაკუთრე“ თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოად-
გენს არა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას, არამედ –
„რწმუნებულებას“. ამ დასკვნის საფუძველია სამოქალაქო კო-
დექსის 727-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, საკუთრე-
ბის მინდობის ხელშეკრულება წარმოადგენს წერილობითი სა-
ხის ფორმასავალდებულო ხელშეკრულებას, რაც სამოქალაქო
კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით ნიშნავს იმას, რომ საკუთრე-
ბის მინდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილე-
ბელია წერილობითი ფორმის დაცვა. ამ კონკრეტულ შემთხვე-
ვაში, მ. ბ-სა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო
წესით გაფორმებული აქტის „საკუთრების მინდობის ხელშეკ-
რულებად“ კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს ორივე მხა-
რის ნების წერილობითი ფორმით გამოვლენა – ხელმოწერა, მას-
ში გამოვლენილია მხოლოდ მ. ბ-ის ცალმხრივი ნება. ამდენად,
თავისი ფორმით 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო წესით გა-
ფორმებული გარიგება, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა,
ვერ შეფასდება საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფორმის დაუცველობასთან ერ-
თად, რაც სრულიად საკმარისი საფუძველი იქნებოდა საკუთ-
რების მინდობის ხელშეკრულების არარსებობის ფაქტობრივი
გარემოების დასადგენად, გარიგების შინაარსიც არ პასუხობს
სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მოთხოვნებს, სახელ-

დობრ, გარიგების რამდენიმე პუნქტში, რომელშიც განერილია უშუალოდ მინდობილი მესაკუთრის უფლებები და მოვალეობები რამდენიმეჯერ მეორდება დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობილი მესაკუთრე – მ. ნ-ი საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საკუთრების მინდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ თვისებას, ვინაიდან საკუთრების მინდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის მხოლოდ თავისი სახელით (სკ-ის 725-ე მუხლის პირველი ნაწ.).

დადგენილია, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს რწმუნებულების გამოყენებით 2011 წლის 23 სექტემბერს მ. ნ-მა გააფორმა სანოტარო აქტი „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №111026583) ფიზიკურ პირებთან: ი. კ-სა და მ. შ-ასთან, როგორც „გამსესხებლებთან“ / „იპოთეკარებთან“. ამ ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელმა მსესხებელს ასესხა ფული, ხოლო მსესხებელმა მიიღო ნასესხები თანხა, კერძოდ, მ. შ-ასაგან 50 000 აშშ დოლარი, ხოლო კ-ისაგან 70 000 აშშ დოლარი და იკისრა მისი დაბრუნების ვალდებულება სამი თვის ვადაში. სესხი იყო სარგებლიანი, რომლის ოდენობა ყოველთვიურად შეადგენდა სესხის ძირითადი თანხის 4 პროცენტს. სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება (უძრავი ქონების ს/კ:.....).

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზიის (კასაციის საფუძვლების) კანონიერების შემოწმებისათვის უნდა შეფასდეს მ. ბ-სა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული სანოტარო აქტით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №090379512) – რწმუნებულებით მ. ნ-ისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები, სადავო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე უძრავი ქონების (უძრავი ქონების ს/კ:.....) იპოთეკით დატვირთვის კანონიერებასთან მიმართებით, რისთვისაც, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტით – რწმუნებულებით მესაკუთრე მ. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნება მის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების მიმართ.

დადგენილია, რომ 2011 წლის 23 სექტემბრის სანოტარო აქ-

ტი „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №111026583) სესხის აღების ნაწილში გაფორმებულია მ. ნ-ის მიერ, რომელიც სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე პირადი მოვალეცაა. ხოლო იგივე ხელშეკრულება იპოთეკის ნაწილში გაფორმებულია მ. ნ-ის, როგორც მ. ბ-ის წარმომადგენლის მიერ.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის განმარტოს ზოგადად საკუთრების უფლების შინაარსი, ვინაიდან წარმომადგენლის (მ.ნ-ი) მიერ სწორედ ამ უფლების მართლზომიერი თუ არამართლზომიერი გამოყენება გახდა მხარეთა შორის დავის წარმოშობის საფუძველი.

საკუთრების უფლების შინაარსი, რომელიც მოცემულია სა-მოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში მოიცავს სამი კომპონენტის ერთობლიობას: მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. დასახელებული სამი კომპონენტიდან უკანასკნელი გულისხმობს ნივთის (საკუთრების ობიექტის) სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის უპირატეს უფლებას, რომლის ნაირსახეობას მესაკუთრეს სთავაზობს კერძო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსში, ასე მაგალითად, განკარგვა შესაძლოა გამოიხატოს, ნივთის გასხვისებაში (ნასყიდობა); ამ ნივთის სა-ნაცვლოდ სხვა ნივთის მიღებაში (გაცვლა); ამ ნივთით შემოსავლის მიღებაში (იჯარით გაცემა); ამ ნივთით სარგებლობის უფლების გადაცემაში (ქირავნობა); ნივთის უსასყიდლოდ გადაცემაში (ჩუქება); სხვისთვის შესანახად გადაცემაში (მიბარება) და სხვ. შესაბამისად, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტია, რომ „განკარგვის“ ცნება თავისთავში მოიცავს ყველა დასახელებული ქმედების განხორციელების უფლებამოსილებას.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის სწორად კვალიფიკაციისათვის ამოსავალი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ საკუთრების უფლების ამ უკანასკნელი კომპონენტის („განკარგვა“) სამართლებრივ რეგლამენტაციაში, არამედ მასთან ერთად უნდა შევისწავლოთ სადავო გარიგების შინაარსიც, დავადგინოთ მასში გამოვლენილი მესაკუთრის ნამდვილი ნება, რომელმაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის უფლებამოსილება მიანდო გარიგების მონაწილე მეორე მხარეს (მ. ნ-ს).

2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობით დადგენილია, რომ მ. ბ-მ მ. ნ-ს მართვისა და განკარგვის უფლებით მიანდო მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწა, აქ-

ციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ნიღები სამენარმო საზოგადოების სანესდებო კაპიტალში..) (მუხლი მე-2.). ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგების მონაწილე მხარის – მ. ნ-ის ქმედების, კერძოდ, 2011 წლის 23 სექტემბრის სესხის ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შესაბამისობა მესაკუთრის ნამდვილ ნებასთან, განმარტებას საჭიროებს გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მესაკუთრის ნების დასადგენად.

ამ მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო გარიგებით მესაკუთრე მ. ბ-მ მ. ნ-ს მიანიჭა რა თავისი უძრავ-მოძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, იქვე დააზუსტა, რომელ სამართლებრივ მოქმედებებს გულისხმობდა თითოეულ მათგანში. „მართვაში“ იგულისხმებოდა ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელი იყო მინდობილი ქონების ჯეროვანი მოვლისა და დაცვისათვის ან სასარგებლო იყო საკუთრების მიმდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის) თვალსაზრისით (გაქირავება, იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი...), ხოლო „განკარგვაში“ კი, – მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება. გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა..) (მუხლი პირველი). ამავე ხელშეკრულებით მ. ბ-მ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა მ. ნ-ს, საქართველოს ნებისმერ ბანკში ენარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაციისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის... (მუხლი მე-2.).

ამდენად, სანოტარო აქტის პირველი მუხლის შინაარსობრივი ანალიზიდან გამომდინარეობს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველი, რომ მარნმუნებელმა, მესაკუთრე მ. ბ-მ რწმუნებულ მ. ნ-ს მიანიჭა არა მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება მათი კლასიკური გაგებით (ნივთის სამართლებრივი ბედის გადანყვევა), არამედ მიანდო მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული უფლებები, რაც გარიგების შინაარსიდან გამომდინარე „მართვის“ კონტექსტში გულისხმობდა მხოლოდ გაქირავებას (იჯარით გაცემას), აღნაგობითა და უზუფრუქტით დატვირთვას, ხოლო „განკარგვის“ კონტექსტში კი – გასხვისებას, რაც თავის მხრივ, გამოიხატებოდა ჩუქებაში, გაცვლასა და ნასყიდობაში.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო რა ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ:.....) იპოთეკით დატვირთვა ფიზიკური პირებისაგან აღებული სასესხო ვალდებუ-

ლების უზრუნველსაყოფად, იმ დასკვნის გამოტანა, რომ უფრო მეტი უფლების გადაცემის ასე ვთქვათ, გასხვისების ან თუნდაც მისი მესამე პირისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის, ჩუქების პირობებში, იარსებებდა უფრო ნაკლები უფლების იპოთეკით დატვირთვის უფლებაც, შესაძლოა ლოგიკურია, თუმცა, ამ კონკრეტული სანოტარო აქტის (რწმუნებულების) ერთიანად შეფასებიდან გამომდინარე, უმართებულოა და არ გვაძლევს სადავო სამართალურთიერთობის სწორი კვალიფიკაციის საშუალებას. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი – ნების გამოვლენის განმარტებისას გონივრული განსჯის კრიტერიუმით და არა მართოდ გარიგების ტექსტით ხელმძღვანელობა (სკ-ის 52-ე მუხ.), ადგენს ქვევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, გარიგების განმარტებისას მთლიანობაში უნდა იქნეს შესწავლილი გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მიზნის (ნების) დასადგენად.

ვინაიდან ამ შემთხვევაში, სადავოა ნივთის „განარგვაში“ ნაგულისხმევი მესაკუთრის ნება, ყურადღებაა მისაქცევი იმ საკითხზე, რომ მესაკუთრე მ. ბ-ე მითითებულ სანოტარო აქტში სპეციალურად აღნიშნავს იმ უფლებამოსილებებს, რომელსაც ანიჭებს წარმომადგენელს (მ.ნ-ს), სახელდობრ, ტერმინ „განკარგვაში“ გულისხმობს მინდობილი ქონების გასხვისებას ნებისმიერი ფორმით – ჩუქებას, გაცვლას, ყიდვას, გაყიდვას, რაც პრაქტიკულად მესაკუთრის ნამდვილი ნების დასადგენად გვაიძულებს „განკარგვის“ ცნება განვმარტოთ ვიწროდ, მხოლოდ მინდობილობის შინაარსიდან გამომდინარე და არა ისე, როგორც ეს მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც სამართლებრივი ბედის გადაწყვეტას მოიცავს ფართო გაგებით. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურება და ნების გამოვლენის ავტონომიაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო სამართლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან დადონ ისეთი გარიგებებიც და იმგვარად განსაზღვრონ მათი შინაარსი, რომელიც არ არის მოცემული სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება ზოგადად საჯარო წესრიგსა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს (სკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწ.).

ამდენად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მინდობილობაში ჩამოთვლილ უფლებამოსილებათა დიფერენციალურად გარიგებაში გამოვლენილი მესაკუთრის ნამდვილი ნების განმარტებისათვის საგულისხმო მინიშნებას გვაძლევს. ის გარემოება, რომ მესაკუთრე კონკრეტულად ჩამოთვლის უფლე-

ბამოსილებათა ნუსხას, როგორცაა ჩუქება, გაქირავება, იჯარით გაცემა, მიგვითითებს სწორედ იმ გარემოებაზე, რომ „განკარგვის“ ცნების მიღმა ვიგულისხმობთ არა ყველა ის უფლებამოსილებები, რაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის სამოქალაქო კოდექსისეულ საშუალებას გვაძლევს, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად მესაკუთრემ განსაზღვრა, როდესაც მ. ნ-ზე გაცემულ მინდობილობაში პირდაპირ მიუთითა არ დაეტივრთა მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება იპოთეკით ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რადგან „გასხვისება“ და „იპოთეკით“ დატვირთვა განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მ. ნ-მა ვალი აიღო ფიზიკური პირისაგან (ი. კ-ისაგან) და უზრუნველყოფის მიზნით დატვირთა მარნმუნებლის ქონება, რის უფლებამოსილებასაც მესაკუთრე არ ანიჭებდა რნმუნებულს, რადგან გარიგების მე-2 მუხლში სპეციალური აღნიშვნა იყო მოცემული იმის თაობაზე, რომ მ. ნ-ი უფლებამოსილი იყო საქართველოს ნებისმერ ბანკში ენარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაციისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის. შესაბამისად დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონეა ის გარემოებაც, რომ მესაკუთრემ მხოლოდ საკრედიტო დანესებულებებთან წარმოდგენის უფლება მიანიჭა მ. ნ-ს, შესაბამისად, სასესხო ვალდებულების აღების – თუნდაც ფართო განმარტების საშუალებას ეს დათქმა არ იძლევა.

კონკრეტულ საქმეზე დადგენილია, რომ სესხი აღებულია ფიზიკური პირისაგან, რომლისგანაც ვალის აღების და მით უფრო, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილებას მ. ბ-ე არ ანიჭებდა მ. ნ-ს.

ამდენად, 2011 წლის 23 სექტემბრის სესხის ხელშერულებით ნაკისრი მ. ნ-ის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად მ. ბ-ის ქონების გამოყენება უმართებულოა და არ გამოდინარეობს გარიგებაში გამოვლენილი მესაკუთრის ნების გონივრული განმარტებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული სანოტარო აქტით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №090379512) – რნმუნებულებით მ. ნ-

ს არ ჰქონდა უფლებამოსილება ფიზიკური პირების სასარგებლოდ იპოთეკით დაეტვირთა მარნმუნებელ – მ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქ.მცხეთაში, კ-ის ქ.№14-ში მდებარე უძრავი ქონება (უძრავი ქონების ს/კ:.....) სწორი და დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივსამართლებრივ წინაპირობებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინება;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სსკვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები

უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები

ბანჩინება

№ას-308-293-2013

27 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ბ-ისა და ბ. მ-ის მიმართ მოპასუხეთათვის 150 000 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძველებით:

2003 წელს მოსარჩელემ შეიძინა ქ. თბილისში, კ-ას ქ. №45-ის „ბ“ ბლოკში მდებარე 115 კვ.მ ფართი. 2004 წლის 18 თებერვალს მისმა დეიდაშვილმა ი. ხ-მა აღნიშნული ფართის ნაწილი – 68 კვ.მ ყალბი მინდობილობის საფუძველზე მიჰყიდა კ. ბ-სა და ბ. მ-ს. მან მიმართა სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად და მოითხოვა აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით ი. ხ-ის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ბათილად იქნა ცნობილი ი. ხ-სა და მოპასუხეებს შორის 2004 წლის 18 თებერვალს სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოსარჩელის კუთვნილ 68 კვ.მ-თან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დატოვა ძალაში.

ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მიუხედავად, მოპასუხეებმა არ დაუბრუნეს მოსარჩელეს სადავო ფართი და გაასხვისეს ე. გ-ზე. ფაქტობრივად, ისინი მოქმედებდნენ განზრახ, რათა უძრავი ქონება მოსარჩელეს არ დაბრუნებოდა.

ე. გ-ე სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა კეთილსინდისიერ

შემძენად, რის გამოც რეალურად ვერ აღსდგა 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე არსებული მოსარჩელის საკუთრების უფლება.

ამდენად, მოპასუხეები მოსარჩელეს არც კუთვნილ ფართს და არც მისი რეალიზების შედეგად მიღებულ თანხას არ უბრუნებენ. აღნიშნულით მათ უკანონოდ მიისაკუთრეს ნ. მ-ის ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები, რომელიც უნდა გადაეცეს გასხვისებული ქონების ყოფილ კანონიერ მესაკუთრეს.

სადავო მინდობილობისა და ხელშეკრულებების ბათილობასთან დაკავშირებული დავების სასამართლო წესით განხილვისას მოპასუხეთა წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავად ურჩია მარწმუნებლებს სადავო ფართის გასხვისება, ვინაიდან ვერ მისცემდა აღნიშნული ქონების შენარჩუნების გარანტიას.

მოპასუხე კ. ბ-მ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოპასუხეებმა კეთილსინდისიერად შეიძინეს და შემდეგ სრულიად კანონიერად გაყიდეს სადავო ფართი. მოსარჩელის პრეტენზია შეიძლება იყოს მიმართული ი. ხ-ის მიმართ, რომელიც მისი დეიდაშვილია. სწორედ მან ხელყო და ზიანი მიაყენა მოსარჩელეს შესაბამისი მინდობილობის გაყალბებით. როგორც ნოტარიუსმა, ამხანაგობის თავმჯდომარემ, ისე მშენებლებმა და მეზობლებმა იცოდნენ, რომ ი. ხ-ი იყო მოსარჩელის ნდობით აღჭურვილი პირი. მას ფართის გასხვისებისას გააჩნდა მინდობილობა და არ არსებობდა არავითარი ეჭვი დოკუმენტის სიყალბეზე, უკანონობასა ან ნების გამოვლენის არარსებობაზე. ამასთან, თავად ნ. მ-მაც ისარგებლა სადავო მინდობილობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ნ.მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 150 000 ლარის გადახდა, რაც კ. ბ-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადანყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილია საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

ნ. გ-ის (ქორწინების შემდგომ, ნ. მ-ი) საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, კ-ას ქ. №45-ის „ბ“ ბლოკში მდებარე №4 68 კვ.მ ბინა.

2004 წლის 18 თებერვალს ნ. გ-ის სახელით, მისმა წარმომადგენელმა ი. ხ-მა გამყიდველის კუთვნილი უძრავი ქონების – ნაწილი 68 კვ.მ ფართი საკუთრების უფლებით გადასცა მყიდველებს – ბ. მ-სა და კ. ბ-ს.

აღნიშნული უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო ბ. მ-ისა და კ. ბ-ის თანასაკუთრებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით ი. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და დადგინდა, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ნ. გ-ს. ი. ხ-მა მოტყუებით გაასხვისა კ-ას ქ. №45-ის „ბ“ ბლოკში მდებარე ნ. გ-ის კუთვნილი 115 კვ.მ კომერციული ფართიდან 68 კვ.მ. აღებული თანხა მთლიანად მიითვისა, რითაც ასევე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბ. მ-ს და კ. ბ-ს, ისევე როგორც ნ. გ-ს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მოცემულ საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ი. ხ-ს შორის.

2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ს, ბ. მ-სა და მყიდველ ე. გ-ს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა სადავო 68 კვ.მ ფართი.

ნასყიდობის თანხა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 150 000 ლარით, რომელიც ამავე ხელშეკრულების თანახმად, გადაიხდებოდა ხელშეკრულებაზე მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე. აღნიშნული უძრავი ქონება დარეგისტრირდა ე. გ-ის სახელზე.

2012 წლის 6 თებერვალს ნ. გ-მ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – ი. ხ-ის, ე. გ-ის, კ. ბ-ისა და ბ. მ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ნოტარიუს შ. კ-ის მიერ 2003 წლის 30 მაისს დამონმებული მინდობილობის, 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობისა და 2008 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

2003 წლის 30 მაისის მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ი. ხ-მა გააფორმა მესაკუთრე ნ. გ-ის სახელით ნასყიდობის ხელშეკრულება, იყო გაყალბებული, მასზე არ იყო ნ. გ-ის ხელმოწერა, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა ბათილად. ასევე, ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 18 თებერვალს ნ. გ-ის წარმომადგენელ ი. ხ-სა და, მეორე მხრივ, ბ. მ-სა და კ. ბ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ს უარი ეთქვა 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ს, ბ. მ-სა და ე. გ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე, დამონმებული ნოტარიუს ნ. მ-ას მიერ რეესტრში რეგისტრაციის №1-8162.

ამავე გადაწყვეტილებით ნ. გ-ს უარი ეთქვა სადავო 68 კვ.მ ფართზე საკუთრების უფლების აღდგენაზე, რაც მან საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ე. გ-ე მიჩნეულ იქნა კეთილსინდისიერ შემძენად, რის გამოც ნ. მ-ს უარი ეთქვა 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ს, ბ. მ-სა და ე. გ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და სადავო 68 კვ.მ-ზე საკუთრების უფლების აღდგენაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 463-ე მუხლები, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

პალატის მოსაზრებით, მოცემული დავა უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანია უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად შექნილი ქონების (შელავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა, რა მიზნითაც ეს ქონებრივი შელავათი იმას უნდა დაუბრუნდეს, ვის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა, ანუ „უსაფუძვლო გამდიდრება“.

უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვისი სამართლებრივი სიკეთის განკარგვას. კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობს ხელყოფის კონდიქცია, რომელიც ჰგავს დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მაგრამ იგი წინაპირობად არ აყენებს ბრალეულობას. ხელყოფის მოთხოვნის წამოყენების საფუძველი ხელყოფის არამართლზომიერებაში მდგომარეობს, რადგან თავად მოქმედება აკრძალული არ არის (ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა დელიქტთან და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნასთან), არამედ გადამწყვეტი გარემოება არის ის, რომ მოპოვებული ქონებრივი შელავათი

სხვას ეკუთვნოდა. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის კრედიტორი არის უფლებამოსილი პირი, ე.ი. განკარგვის უფლების მქონე (მესაკუთრე, კეთილსინდისიერი მფლობელი), მოთხოვნის მოპასუხე არის არაუფლებამოსილი პირი, ე.ი. პირი, რომელსაც არ აქვს განკარგვის უფლება (იგი არც უფლების მესაკუთრეა და არც განკარგვაზე უფლებამოსილი). მოპასუხე განკარგავს საგანს ანუ დებს სამართლებრივ გარიგებას, რის შედეგადაც ხდება მესაკუთრის საკუთრების უფლების შეზღუდვა ან სრული დაკარგვა. სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში ხდება კონდიქცია განმკარგველის მიმართ. აღნიშნული განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ კეთილსინდისიერი სასყიდლიანი შემძენი დაცული უნა იყოს სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის გამოყენების საფუძველი შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე. აღნიშნული ნორმა ჩამოთვლის იმ საშუალებებს, რომლებითაც შეიძლება მოხდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ესენია: განკარგვა, დახარჯვა, სარგებლობა და ა.შ. სამართლებრივი სიკეთის განკარგვის დროს, ეს მუხლი შეიძლება გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც უფლებამოსილ პირს არ შეუძლია შეეცილოს ხელმყოფის მიერ მესამე პირთან დადებულ გარიგებას. ანუ 982-ე მუხლის გამოყენებისას, ხელმყოფის მიერ მესამე პირთან დადებული გარიგება ნამდვილია და მესამე პირი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 18 თებერვალს ნ. გ-ის წარმომადგენელს ი. ხ-სა და ბ. მ-სა და კ. ბ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ს უარი ეთქვა 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ს, ბ. მ-სა და ე. გ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე და სადავო 68 კვ.მ ფართზე ნ. გ-ის საკუთრების უფლების აღდგენაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით ე. გ-ე მიჩნეულ იქნა კეთილსინდისიერ შემძენად.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულება, უძრავი ქონება ნ. მ-ს უნდა დაბრუნებოდა, რაც ვერ განხორციელდა იმ მოტივით, რომ 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-მ და ბ. მ-მა განკარგეს ქონება. აღნიშნულით ნ. მ-მა ვერ აღიდ-

გინა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, არსებობს უძრავი ნივთის განკარგვის გზით სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ფაქტი, რაც წარმოშობს მიღებული შემოსავლის დაბრუნების ვალდებულებას ნ. მ-ისათვის.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი). აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში დაბრუნებას ექვემდებარება საგნის განკარგვის შედეგად მიღებული ფასი. ამდენად, პასუხისმგებლობაც უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, მიღებული ფასიდან თითოეულის წილის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება კ. ბ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 2008 წლის 30 მაისის ხელშეკრულების დადების მომენტში 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად ცნობილი არ ყოფილა.

2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ისა და ბ. მ-ის მიერ სადავო ქონების გასხვისების მომენტში, 2004 წლის 18 თებერვლის ხელშეკრულება ინარჩუნებდა იურიდიულ ძალას და ამ ხელშეკრულების საფუძველზე კ. ბ-ე და ბ. მ-ი რეგისტრირებული იყვნენ საჯარო რეესტრში სადავო ფართის მესაკუთრეებად.

მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია მოსაზრება, რომ 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-მ და ბ. მ-მა განკარგეს სხვისი (ნ. მ-ის) ქონება. სინამდვილეში ნ. მ-ის ქონება განკარგა ი. ხ-მა არა 2008 წლის 30 მაისს, არამედ 2004 წელს.

ნ. მ-მა ზიანი განიცადა სადავო 68 კვ.მ ფართზე საკუთრების უფლების დაკარგვის შედეგად, რასაც არც პროცესუალური მონინალმდეგეები ხდიან სადავოდ. ამასთან, ზიანის მიყენებაში მონაწილეობდა ნოტარიუსიც, რომელმაც შეადგინა ყალბი მინდობილობა.

ნ. მ-ს ზიანი მიადგა 2004 წელს, ბინაზე საკუთრების უფლებას იგი შემდგომში ვეღარ დაკარგავდა, რადგან მას შემდეგ არასდროს ყოფილა ბინის მესაკუთრედ და არ ყოფილა ასეთად რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. უფრო მეტიც, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. მ-ის უარი ეთქვა ბინის დაბრუნებაზე.

ლოგიკის ნორმების საწინააღმდეგოდაც რომ დავუშვათ ნ. მ-იმ საკუთრების უფლება დაკარგა 2008 წლის 30 მაისით დათა-

რიღებული ხელშეკრულების დადების მომენტში, გამოვა, რომ იგი 2004 წლიდან 2008 წლამდე ისევ ბინის მესაკუთრე იყო, რაც არსებული ფაქტების უგულებელყოფა იქნებოდა. ცნობილია, რომ იგი 2004 წლიდან აღარ წარმოადგენდა ბინის მესაკუთრეს. გარდა ამისა, ასეთი მსჯელობის შედეგად გამოვა, რომ 2004 წელს, ი. ხ-ის მიერ ბინის უკანონოდ გასხვისებისას ნ. მ-ს ზიანი არ მიდგომია.

სავსებით ცხადია, რომ ნ. მ-ს ზიანი მიაყენა ი. ხ-მა, ასევე, ნოტარიუსმა, რომელმაც გააყალბა მინდობილობა, მაგრამ არა კ. ბ-მ და ბ. მ-მა.

ი. ხ-მა განახორციელა დელიქტური ქმედება, კერძოდ კი, ყალბი მინდობილობის გამოყენებით გაასხვისა ნ. მ-ის კუთვნილი ბინა. ის ფაქტი, რომ ნ. მ-ს ზიანი მიადგა სწორედ ი. ხ-ის უკანონო ქმედებით დამტკიცებულია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით. 2004 წლის ხელშეკრულების დადების მომენტში, კ. ბ-ს და ბ. მ-ს ბრალეული ქმედება არ ჩაუდენიათ. ისინი შეცდომაში იქნენ შეყვანილი.

საწინააღმდეგო დაშვების შემთხვევაში გამოვა, რომ 2004 წლის ხელშეკრულების დადების მომენტში ნ. მ-მა ზიანი არ განიცადა და მან ზიანი განიცადა მხოლოდ 2008 წელს, როდესაც აპელანტებმა გაასხვისეს ქონება, რაც არასწორი მსჯელობაა. შეუძლებელია, იგივე ზიანი ნ. მ-ს მიყენებოდა 4 წლის შემდეგაც (კ. ბ-ისა და ბ. მ-ის მიერ საჯარო რეესტრში მათ სახელზე აღრიცხული სადავო ფართის გასხვისების მომენტში).

აბსურდულია დასკვნა, რომ ი. ხ-ის ბრალეული ქმედების შედეგად ნ. მ-ს მიადგა ზიანი 2004 წელს და იგივე ზიანი მიადგა მას 2008 წელს განხორციელებული კანონიერი ქმედებითაც.

კ. ბ-ისა და ბ. მ-ის მხრიდან ნ. მ-ის სამართლებრივი სიკეთე არ ხელყოფილა, რის გამოც დაუშვებელია მათთვის კომპენსაციის გადახდის დაკისრება.

სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის გარემოება, რომ ნ. მ-ის მიერ შესყიდვის დროს სადავო ფართი იყო კარკასულ მდგომარეობაში. ასეთივე მდგომარეობაში არსებული ფართი შეისყიდეს კ. ბ-მ და ბ. მ-მა. თავად ის სახლი, სადაც სადავო ფართი მდებარეობს მშენებარე იყო. შემდგომში კ. ბ-მ და ბ. მ-მა გაარემონტეს იგი. სახლის მშენებლობა დასრულდა, რამაც მისი ღირებულება გაზარდა. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაეკისროთ კ. ბ-სა და ბ. მ-ს ნ. მ-ის სასარგებლოდ აშენებულ სახლში არსებული გარემონტებული ფართის ღირებულება მაშინ, როდესაც ნ. მ-მა შეისყიდა კარკასული ფართი მშენებარე სახლში და საკუთრების უფ-

ლება დაკარგა მაშინ, როდესაც ფართი იყო კარკასულ მდგომარეობაში, თანაც მშენებარე სახლში.

ცხადია, ნ. მ-ის ზიანი გამოიხატა იმ ღირებულებაში, რაც ნივთს გააჩნდა მისი დაკარგვის მომენტში.

სასამართლომ არ გაითვალისწინა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი ფაქტები.

ნ. მ-ი სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ამტკიცებდა, რომ ჯამში ი. ხ-ის ქმედების შედეგად მიაღვა ზიანი 30 000 აშშ დოლარის ოდენობით.

ამდენად, ნ. მ-მა სადავო ფართი შეიძინა 17 000 აშშ დოლარად. კ. ბ-მ და ბ. მ-მა ფართი შეისყიდეს 20 000 აშშ დოლარად, თანხა მიითვისა ნ. მ-ის დეიდაშვილმა ი. ხ-მა და ამ ყველაფრის შედეგად საფუძველს მოკლებული იქნება, კ. ბ-მ და ბ. მ-მა (და არა ი. ხ-მა) გადაუხადონ ნ მ-ს 150 000 ლარი. ასეთი შედეგი კანონიდან არ გამომდინარეობს და უსამართლოა.

მნიშვნელოვანია, დადგინდეს ის საკითხი, რომ კ. ბ-ე და ბ. მ-ი არ გამდიდრებულან, შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 976-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების წარმოშობის საფუძველები.

კ. ბ-ს და ბ. მ-ს, არა თუ შეეძლოთ ევარაუდათ, რომ ნ. მ-ს სურდა ფართის გადაცემა, არამედ ამ გარემოებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არც გასჩენიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იყიდდნენ სხვა ფართს. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა სწორედ ნ. მ-ის ქმედებების შედეგად. თავად ნ. მ-მა სადავო ფართი შეიძინა იმ მინდობილობის საფუძველზე, რომელიც შემდგომში ყალბად იქნა აღიარებული. ყალბი მინდობილობა საფუძველად დაუდო სადავო ფართის ნ. მ-ის საკუთრებაში გადაცემას (ამას ადასტურებს ნოტარიუს ნ. გ-ის წერილი). ამდენად, გამოდის, რომ ნ. მ-მა ყალბი მინდობილობით თავადაც ისარგებლა.

ამასთან, კ. ბ-ს და ბ. მ-ს არ შეპარვიათ ეჭვი იმაში, რომ ნ. მ-ის სადავო ფართის გასხვისება არ სურდა გარიგების დადების შემდგომაც. ისინი შეუდგნენ შეძენილი ფართის გარემონტებას და წამოიწყეს ამ ფართში ბ.მ-ის მიერ ფართის შესყიდვიდან დაახლოებით 30 თვის შემდეგ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსარჩელემ არ გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის სათანადო გულმოდგინება.

სასამართლომ არ გაითვალისწინა თუ ვინ და როდის ხელყო ნ. მ-ის სამართლებრივი სიკეთე და მივიდა მცდარ დასკვნამდე, რომ ნ. მ-ის სამართლებრივი სიკეთე განკარგეს კ. ბ-მ და ბ. მ-მა, რაც აშკარად არასწორია. რეალურად ნ. მ-ის სამართლებრივი

სიკეთე ხელყო ი. ხ-მა.

სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ რა ღირებულების ქონება დაკარგა ნ. მ-მა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინსწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. ნ. გ-ის (ქორწინების შემდგომ ნ. მ-ი) საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, კ-ას ქ. №45-ის „ბ“ ბლოკში მდებარე №4 68 კვ.მ ბინა;

2. 2004 წლის 18 თებერვალს ნ. გ-ის სახელით, მისმა წარმომადგენელმა ი. ხ-მა გამყიდველის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილი – 68 კვ.მ ფართი საკუთრების უფლებით გადასცა მყიდველებს ბ. მ-სა და კ. ბ-ს;

3. აღნიშნული უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო ბ. მ-ისა და კ. ბ-ის თანასაკუთრებად;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით ი. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და დადგინდა, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ნ. გ-ს. ი. ხ-მა მოტყუებით გაასხვისა კ-ას ქ. №45-ის „ბ“ ბლოკში მდებარე ნ. გ-ის კუთვნილი 115 კვ.მ კომერციული ფართიდან 68 კვ.მ. აღებული თანხა მთლიანად მიითვისა, რითაც ასევე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბ. მ-ს და კ. ბ-ს, ისევე როგორც ნ. გ-ს;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მოცემულ საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ი. ხ-ს შორის.

6. 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ს, ბ. მ-სა და მყიდველ ე. გ-ს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა სადავო 68 კვ.მ ფართი.

7. ნასყიდობის თანხა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 150 000 ლარით, რომელიც ამავე ხელშეკრულების თანახმად, გადაიხდებოდა ხელშეკრულებაზე მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე. აღნიშნული უძრავი ქონება დარეგისტრირდა ე. გ-ის სახელზე.

8. 2012 წლის 6 თებერვალს ნ. გ-მ სარჩელი აღძრა თბილისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – ი. ხ-ის, ე. გ-ის, კ. ბ-ისა და ბ.მ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ნოტარიუს შ. კ-ის მიერ 2003 წლის 30 მაისს და-მონმებული მინდობილობის, 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობისა და 2008 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

9. 2003 წლის 30 მაისის მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ი. ხ-მა გააფორმა მესაკუთრე ნ. გ-ის სახელით ნასყიდობის ხელშეკრულება, იყო გაყალბებული, მასზე არ იყო ნ. გ-ის ხელმოწერა, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა ბათილად. ასევე, ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 18 თებერვალს ნ. გ-ის წარმომადგენელ ი. ხ-სა და, მეორე მხრივ, ბ. მ-სა და კ. ბ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ს უარი ეთქვა 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ს, ბ. მ-სა და ე. გ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე, ამავე გადაწყვეტილებით, ნ. გ-ს უარი ეთქვა სადავო 68 კვ.მ ფართზე საკუთრების უფლების აღდგენაზე, რაც მან საკასაციო წესით გაასაჩივრა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

12. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ე. გ-ე მიჩნეულ იქნა კეთილსინდისიერ შემძენად, რის გამოც ნ. მ-ს უარი ეთქვა 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ს, ბ. მ-სა და ე. გ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და სადავო 68 კვ.მ-ზე საკუთრების უფლების აღდგენაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი შედავება ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების მიმართ არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი უნდა ყოფილიყო გამოყე-

ნებული.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ხელყოფის კონდიქცია ჰგავს დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მაგრამ იგი წინაპირობად არ აყენებს ბრალეულობას. ხელყოფის მოთხოვნის წამოყენების საფუძველი ხელყოფის არამართლზომიერებაში მდგომარეობს, რადგან თავად მოქმედება აკრძალული არ არის (ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა დელიქტთან და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნასთან), არამედ გადამწყვეტი გარემოება არის ის, რომ მოპოვებული ქონებრივი შეღავათი სხვას ეკუთვნოდა. საკასაციო სასამართლო, ასევე, დამატებით მიუთითებს, რომ განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვიითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ამ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება (იხ. სუსგ №ას-472-448-2013).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი ი. ხ-ა და არა ბ-ე და მ-ი, ვინაიდან სწორედ ი. ხ-მა გააყალბა მინდობილობა და გაასხვისა ნ. მ-ის კუთვნილი ქონება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელყოფის კონდიქციის არსებობისას პასუხისმგებლობის საფუძველია სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ანუ, ამ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ნ. მ-ის კუთვნილი ქონება არამესაკუთრემ განკარგა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კ. ბ-სა და ბ. მ-ს სადავო უძრავი ქონება ბათილი გარიგების საფუძველზე

გადაეცა, ნამდვილი მესაკუთრის მიერ ნების გამოვლენის გარეშე, ამასთან არც კ. ბ-ე და არც ბ. მ-ი კეთილსინდისიერ შემძენად არ არის მიჩნეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათსა და ი. ხ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ იარსებებდა. გარიგების ბათილობას კონკრეტულ სამართალურიერთობაში უკუქცევითი ძალა აქვს და ბათილი გარიგება დადებისთანავე არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, ამდენად, ცალსახაა, რომ კ. ბ-მ და ბ. მ-მა სხვისი სამართლებრივი სიკეთე განკარგეს, რის შედეგადაც ნ. მ-ს ქონების დაბრუნების შესაძლებლობა აღარ გააჩნია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ბ-ე და ბ. მ-ი ი. ხ-თან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს ზიანის ანაზღაურებაზე. სოლიდარული ვალდებულების თავისებურება კი ის არის, რომ კრედიტორს ნებისმიერი მოვალისაგან შეუძლია ვალდებულების შესრულება მოითხოვოს (სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი).

კასატორი მიუთითებს, რომ ნ. მ-ის ზიანი გამოიხატა იმ ღირებულებაში, რაც ნივთს გააჩნდა მისი დაკარგვის მომენტში. ბინის გასხვისებისას კი, იგი ე.წ „შავი კარკასის“ მდგომარეობაში იყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი უსაფუძვლო გამდიდრების თავშია მოცემული, მსგავსად შესრულების კონდიქციისა, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე კოდექსის 979-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით (დამატებით იხ. სუსგ №ას-1136-1067-2012). ნ. მ-ს ბ-ისა და მ-ის მიმართ მოთხოვნის უფლება მათ მიერ უძრავი ქონების განკარგვის დროიდან წარმოეშვა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება გამდიდრება, რომელიც ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის ღირებულებას უთანაბრდება. კონკრეტულ შემთხვევაში, ნ. მ-ს უნდა აუნაზღაურდეს ბინის ღირებულება იმ მოცულობით, რასაც მისი საკუთრების უფლება მოიცავდა, ანუ, მარტივად, რაც მას დაუბრუნდებოდა, ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად რომ ყოფილიყო ცნობილი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედე-

გად რესტიტუციის განხორციელებისას შემძენს გააჩნია უფლება, მის მიერ ნივთზე განეული გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს (მაგ. სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი), ამდენად, ამგვარი გაუმჯობესება გამდიდრების ნაწილი არ არის და დაბრუნებას არ ექვემდებარება, ამასთან, საუბარია არსებით გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნივთის ღირებულებას და, დაუბრუნებლობის შემთხვევაში, პირიქით, კრედიტორის გამდიდრებას გამოიწვევს.

მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ მან სადავო ბიზნესზე გარკვეული სამუშაო განახორციელა, გააუმჯობესა იგი, რის შედეგადაც ფართის საბაზრო ღირებულება გაიზარდა, ამასთან, ღირებულებებს შორის სხვაობა, ისევე როგორც გაუმჯობესების ფაქტი სათანადო მტკიცებულებებით უნდა ყოფილიყო დადასტურებული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ღირებულებებს შორის სხვაობის დადგენისათვის მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასზე აპელირება არ არის საკმარისი, ვინაიდან, ხელშეკრულებაში მხარეები მიუთითებენ მათ შორის შეთანხმებულ ფასს, რომელიც ნივთის რეალურ საბაზრო ღირებულებას შესაძლებელია, არ შეესაბამებოდეს (ამ საკითხზე, ასევე, იხ. სუსგ №ას-1651-1548-2012), გამდიდრება კი, ობიექტური მაჩვენებელია, რომელიც, ამ შემთხვევაში, ბინის საბაზრო ღირებულებას უტოლდება. ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება (შეფასება), თუ რას წარმოადგენდა ფართის ღირებულება გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ, ასევე, არც გაუმჯობესება დასტურდება რაიმე მტკიცებულებით, კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 401-ე 410-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. კ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1085-1016-2012

5 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა და მფლობელობის უფლების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. ი-ის, დ. ს-სა და გ. ჯ-ის მიმართ და მოითხოვა, ცნობილ იქნას ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე სახლთმფლობელობის ლიჭ „ა“ ნაგებობის პირველი სართულის №12 ოთახისა და №13 სათავსის მესაკუთრედ მოპასუხისათვის წილობრივი მონაცემების პროპორციულად დაკავებული ფართის საბაზრო ღირებულების – 15000 აშშ დოლარის (24450 ლარის) 10%-ის – 2450 ლარის გადახდის სანაცვლოდ შემდეგი საფუძვლებით:

1981 წლიდან თ. კ-ი შინაურული ხელნერილის საფუძველზე, 900 მანეთის სანაცვლოდ, ფლობდა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში

მდებარე 30 კვ.მ ოთახსა და 7 კვ.მ სათავსს. აღნიშნული დროიდან მოსარჩელე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს.

ამჟამად სადავო ფართის თანამესაკუთრეები არიან ს. ი-ი 1/2 წილით, დ. ს-ი და გ. ჯ-ი – 1/4-1/4 წილებით. ისინი მოსარჩელეს საკუთრების უფლებას ნებაყოფლობით არ გადასცემენ. ამდენად, არსებობს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის გამოყენების წინაპირობა.

ს. ი-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ თ. კ-ი ფლობს სახლთმფლობელობას მის კუთვნილ ნაწილში. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, რომ სადავო ფართს მოსარჩელე ფლობს შინაურული ხელნერილის საფუძველზე, რადგან ასეთი ხელნერილი წარმოდგენილი არ არის.

ს. ი-მა შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. კ-ის მიმართ და მოითხოვა სადავო საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულების – 15000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის 75%-ის გადახდის სანაცვლოდ, მფლობელობის შეწყვეტა. ამავე შინაარსის შეგებებული სარჩელით სასამართლოს მიმართეს დ. ს-მა და გ. ჯ-აც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით თ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ს. ი-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ს. ი-ს თ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 11250 აშშ დოლარის გადახდა და, ამ ვალდებულების დაკისრების სანაცვლოდ, თ. კ-ს შეუწყდა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი ...) განთავსებულ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება, დ. ს-სა და გ. ჯ-ს უარი ეთქვათ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ს-მა და თ. კ-მა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. დ. ს-მა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, თ. კ-ის მფლობელობის შეწყვეტისა და დ. ს-ის თანამესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე, ხოლო თ. კ-მა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება თანხის გადახდის სანაცვლოდ თ. კ-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თ. კ-ის სააპელაციო

საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადან-
ყვეტილება გაუქმდა და თ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, დ. ს-
ს, გ. ჯ-სა და ს. ი-ს უარი ეთქვათ შეგვებულ სარჩელის დაკმა-
ყოფილებაზე, თ. კ-ი, 3750 აშშ დოლარის ლ. ვ-ის, ს. ი-ის, ს. გ-ის
გადახდის სანაცვლოდ, ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში
მდებარე ლიტ „ა“ შენობა-ნაგებობაში (...) პირველ სართულზე
მდებარე №12 და №13 ოთახების მესაკუთრედ შემდეგ გარემო-
ებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ა-
ის ქ. №6-ში (საკადასტრო კოდი ...) მდებარე 289,97 კვ.მ საერთო
სასარგებლო ფართის მქონე შენობა-ნაგებობაზე ამჟამად აღ-
რიცხულია გ. ჯ-ის, დ. ს-ის, ლ. ვ-ის, ს. ი-ის და ს. გ-ას საკუთრე-
ბის უფლება იდეალური წილის სახით, კერძოდ, გ. ჯ-ის უფლება
ვრცელდება 1/4 წილზე, დ. ს-სა – 1/4 წილზე, ლ. ვ-ის – 1/32
წილზე, ს. ი-ის – 7/32 წილზე, ს. გ-ას – 1/4 წილზე.

1923 წლის 23 სექტემბერს ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდე-
ბარე ქონების 1/2 ნაწილი იყიდეს ა. და რ. ი-მა. მათი გარდაცვა-
ლების შემდეგ ქონების ეს ნაწილი მემკვიდრეობით მიიღო ს. ი-
მა და საკუთრების უფლება მოიპოვა მამისა და ბიძის დანაშთ
სამკვიდროზე, რაც მთელი სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილს
შეადგენდა.

1989 წლის მდგომარეობით სადავო სახლთმფლობელობის 1/
2-1/2 წილებზე ვრცელდებოდა თ. გ-სა და ს. ა-ის საკუთრების
უფლება (102, 103, 108-111).

1990 წლის 28 ივნისს თ. გ-ემ კუთვნილი 1/2 ნაწილიდან 1/4
მიჰყიდა გ. ჯ-ს, ხოლო 1991 წლის 11 დეკემბერს დარჩენილი 1/4
ნაწილი – დ. ს-ს. ამდენად, ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე
უძრავი ქონებიდან თ. გ-ის კუთვნილ 1/2 ნაწილზე დღეის მდგო-
მარეობით აღრიცხულია გ. ჯ-სა და დ. ს-ის თანასაკუთრების
უფლება 1/4-1/4 წილებზე.

მოგვიანებით, 2011 წლის 28 აპრილს ს. ი-მა კუთვნილი 1/2
ნაწილიდან 1/4 მიჰყიდა ს. გ-ას, ხოლო 2011 წლის 18 აგვისტოს
1/32 ნაწილი აჩუქა ქალიშვილს – ლ. ვ-ს. ამდენად, ქ.თბილისში,
ა-ის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ს. ი-ის კუთვნილ 1/2
ნაწილზე დღეის მდგომარეობით აღრიცხულია: ს. ი-ის თანასა-
კუთრების უფლება 7/32 ნაწილზე, ლ. ვ-ის თანასაკუთრების უფ-
ლება – 1/32 ნაწილზე და ს. გ-ას თანასაკუთრების უფლება – 1/
4 ნაწილზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და მხარეთა
განმარტებების საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ გ. ჯ-ს,
დ. ს-ს, ლ. ვ-ას, ს. ი-სა და ს. გ-ას იდეალური წილებით აქვთ რე-

გისტორიებული ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე 289,97 კვ.მ საერთო სასარგებლო ფართის მქონე შენობა-ნაგებობა და მათ შორის საზიარო უფლების გაუქმებაზე ფართის ნატურით გა-მიჯვნის გზით შეთანხმება არ არის მიღწეული.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეთაგან გ. ჯ-ს, დ. ს-ს, ლ. ვ-სა და ს. ი-ს სადავოდ არ გაუხდიათ თ. კ-ის მოსარგებლობა. ამდენად, პალატამ დაადგინა, რომ 1981 წლიდან თ. კ-ი წარმოადგენს ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე მის მიერ დაკავებული 30 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მოსარგებლეს. ამასთან, თ. კ-ის განმარტებით, მისმა წინაპრებმა დათმობის საფუძველზე მიიღეს ფართი სწორედ ი-ან, ხოლო გ-ეს იგი არ შეთანხმებია. (სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 ივლისის სხდომის ოქმი). შესაბამისად, დ. ს-სა და გ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან თ. კ-ი მათ საკუთრებაში არსებული ფართის მოსარგებლეს არ წარმოადგენს.

მესაკუთრე ს. ი-მა შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარგებლე თ. კ-ის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ. ლ. ვ-ამ მხარი დაუჭირა შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო ერთ-ერთ თანამესაკუთრეს – ს. გ-ას თავისი პოზიცია წინამდებარე დავასთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებია არც თბილისის საქალაქო სასამართლოში და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოში, კერძოდ, მას არც შესაგებელი წარუდგენია და არც შეგებებული სარჩელით მესაკუთრის უფლების რეალიზება მოუთხოვია.

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ ს. გ-ს, როგორც ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ მესაკუთრის უფლების რეალიზებაზე მზაობის ან/და თანხმობის არარასებობის პირობებში გამოირიცხება დანარჩენი თანამესაკუთრეების მიერ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე მესაკუთრის უფლების რეალიზების შესაძლებლობა.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის, 173-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ თუკი ერთ-ერთ თანამესაკუთრეს არა აქვს აღძრული სარჩელი (ან შეგებებული სარჩელი) მოსარგებლის წინააღმდეგ, თუნდაც დანარჩენი თანამესაკუთრეები დავობდნენ თავიანთი

უფლების თაობაზე, მხოლოდ მათი მზაობა კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდის შესახებ არ შეიძლება გახდეს მოსარგებლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან აღნიშნული შემთხვევა (თანამესაკუთრეთა მიერ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების იძულებითი წესით რეალიზაციის მოთხოვნის თაობაზე ერთობლივი პოზიციის არარსებობა) ნაკლიანად აქცევს მესაკუთრის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ნებას, „გაისტუმროს“ მოსარგებლე. შესაბამისად, აღნიშნული უნდა შეფასდეს მესაკუთრის (თანამესაკუთრეების ერთობლივად) მიერ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით უპირატეს სარგებლობაზე უარის თქმად, რაც, თავის მხრივ, იწვევს ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით მოსარგებლისათვის მინიჭებული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას. ს. გ-ა არ ახორციელებს მესაკუთრის უფლების რეალიზაციას, ამიტომ პალატამ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში არც დანარჩენი თანამესაკუთრეების უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ფაქტობრივი გარემოება თ. კ-ის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების შესახებ, რომელიც შეადგენს 15 000 აშშ დოლარს, რომლის 25%-ის ანუ, 1750 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, თ. კ-ს უნდა გადაეცეს საკუთრების უფლება მის მიერ დაკავებულ სადგომზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ს. ი-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება თ. კ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და ს. ი-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და მიღებულ იქნა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებების შედეგად.

სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილი და 956-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რის

გამოც გადაწყვეტილება მიიღო კანონის დარღვევით. სასამართლომ უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით საქართველოს მოქალაქისათვის მინიჭებული საკუთრების უფლება და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლითაც მესაკუთრეს ენიჭება უპირატესი უფლება, მოსარგებლეს – თ. კ-ს გადაუხადოს მის სარგებლობაში არსებული სადგომის საბაზრო ღირებულება და მოითხოვოს სადგომის გათავისუფლება. სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1923 წლის 23 სექტემბერს ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე ქონების 1/2 ნაწილი იყიდეს ა. და რ. ი-მა. მათი გარდაცვალების შემდეგ ქონების ეს ნაწილი მემკვიდრეობით მიიღო ს. ი-მა და საკუთრების უფლება მოიპოვა მამისა და ბიძის დანაშთსამკვიდროზე, მთელი სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე სახლის სხვა მესაკუთრეებს – გ. ჯ-ს, დ. ს-ს, ს. გ-სა და ლ. ვ-ას დაკავებული აქვთ და სარგებლობენ თავიანთი წილების შესაბამისი კონკრეტული ფართებით.

აღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილის მესაკუთრე არის თ. გ-ე, ამდენად, ს. ი-ი მამისა და ბიძისაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების საფუძველზე თ. გ-ან ერთად წარმოადგენს ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული სახლის თანამესაკუთრედ.

ს. გ-ამ 2011 წლის 18 აგვისტოს ს. ი-ან შეიძინა ის საცხოვრებელი ფართი, რითაც სარგებლობს. თ. კ-ი და მისი წინაპრები მანამდე ცხოვრობდნენ აღნიშნულ მისამართზე და ს. ი-ს მათი საცხოვრებელი ფართი ს. გ-ის არ მიუყიდა. ლ. ვ-ას საკუთრების უფლების საფუძველს წარმოადგენს ნაჩუქრობის ხელშეკრულება.

1991 წლის 11 დეკემბერს დ. ს-მა თ. გ-ან შეიძინა სახლის 1/4. 1990 წლის 28 ივნისს გ. ჯ-მა იმავე ოდენობის წილი შეიძინა თ. გ-ან და მათ ს. ი-ის საკუთრებაში არსებულ ნაწილთან არანაირი კავშირი არა აქვთ.

თ. კ-ის განმარტებით, მისმა წინაპრებმა დათმობის საფუძველზე მიიღეს ფართი ს. ი-ის მამისა და ბიძისაგან, რითაც დგინდება და საქმეში არსებული მტკიცებულებებითაც დასტურდება, რომ თ. კ-ი არის ს. ი-ის საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თითოეული წილის მესაკუთრეს დაკავებული აქვს, ცხოვრობს და წლების განმავლობაში სარგებლობს საერთო საკუთრების სახლში განთავსებული ამ ფართებით, რაც მათ იყიდეს. მათ გათვითცნობიერებული აქვთ სახლში მცხოვრები ყველა ოჯახის ინდივიდუალური სარგებლობის პარამეტრები და ამ ცნობიერებით ხანგრძლივი დროის მანძილზე თანაცხოვრობენ ერთ სახლში.

საერთო საკუთრება შეიძლება არსებობდეს ორი სახით: წილადი და საზიარო საკუთრება. წილადი საკუთრების თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში, რომლის განკარგვაც მას შეუძლია, როგორც ეს უდავო ფაქტობრივი გარემოებებით კონკრეტულ შემთხვევაშია დადგენილი.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მხარეთა განმარტებებითა და ასევე სასამართლოს გადანყვეტილებებში მითითებული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თ. კ-ი არის ს. ი-ის საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლე, მისი საცხოვრებელი ფართი არ არის სხვა მესაკუთრეების წილადობრივად განსაზღვრული საცხოვრებელი ფართების შემადგენელი ნაწილი, ყველა მესაკუთრეს დაკავებული აქვს საკუთარი ფართი, ასევე ს. გ-აც, რომელმაც იყიდა ის ფართი, სადაც ცხოვრობს. ამიტომ სადავო საცხოვრებელი ფართი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საზიარო საგნად.

სააპელაციო პალატა თავისი გადანყვეტილებით ს. გ-სა და ლ. ვ-ას აძლევს უსაფუძვლო გამდიდრების შესაძლებლობას და ხელყოფს ს. ი-ის საკუთრების უფლებას, რაც კანონდარღვევაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს. ი-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გა-

დანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

1923 წლის 23 სექტემბერს ქ. თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე ქონების 1/2 ნაწილი იყიდეს ა. და რ. ი-მა. მათი გარდაცვალების შემდეგ ქონების ეს ნაწილი მემკვიდრეობით მიიღო ს. ი-მა.

1989 წლის მდგომარეობით, სადავო სახლთმფლობელობაზე ვრცელდებოდა თ. გ-სა და ს. ა-ის საკუთრების უფლება სახლთმფლობელობის 1/2-1/2 წილზე.

თ. გ-ემ, კუთვნილი 1/2 წილიდან 1/4 წილი 1990 წლის 28 ივნისს გაასხვისა გ. ჯ-ე, ხოლო დარჩენილი 1/4 წილი 1991 წლის 11 დეკემბერს – დ. ს-ე.

ს. ი-მა კუთვნილი 1/2 წილიდან 1/4 წილი 2011 წლის 28 აპრილს გაასხვისა ს. გ-ე, ხოლო 1/32 წილი 2011 წლის 18 აგვისტოს გააჩუქა ქალიშვილზე, ლ. ვ-ე.

ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე, 289,97 კვ.მ. საერთო სასარგებლო ფართის მქონე შენობა-ნაგებობაზე ამჟამად აღრიცხულია გ. ჯ-ის, დ. ს-ის, ლ. ვ-ის, ს. ი-ის და ს. გ-ას საკუთრების უფლება იდეალური წილების სახით, კერძოდ, გ. ჯ-ის უფლება ვრცელდება 1/4 წილზე, დ. ს-ის – 1/4 წილზე, ლ. ვ-ის – 1/32 წილზე, ს. ი-ის – 7/32 წილზე, ს. გ-ს – 1/4 წილზე.

ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეებს შორის საზიარო უფლების გაუქმებაზე, ფართის ნატურით გამიჯვნის გზით შეთანხმება არ არსებობს.

თ. კ-ი 1981 წლიდან წარმოადგენს ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №6-ში მდებარე, 30 კვ.მ. საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეს.

თ. კ-ი არ წარმოადგენს დ. ს-ის და გ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული ფართის მოსარგებლეს, ვინაიდან თ. კ-ის განმარტებით, მისმა წინაპრებმა დათმობის საფუძველზე ფართი მიიღეს ი-საგან.

თ. კ-ის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება შეადგენს 15 000 აშშ დოლარს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას და მართებულად დაადგინა, რომ ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს „საცხოვრებელი

სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მითითებული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით კი მოსარგებლეს შეუძლია მოიპოვოს საკუთრების უფლება მის მიერ დაკავებულ სადგომზე, მესაკუთრისათვის კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს თავისი უფლების რეალიზაციაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით გარკვეულწილად შეზღუდულია მოსარგებლის მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის განსახილველი კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. კ-მა მოპასუხეების, ს. ი-ის, დ. ს-სა და გ. ჯ-ის მიმართ და მოითხოვა მესაკუთრეთათვის წილობრივი მონაცემების პროპორციულად, დაკავებული ფართის საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობა. ს. ი-მა აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა თ.კ-ის მიერ სადავო საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა მოსარგებლისათვის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ. შესაბამისად, მესაკუთრის უფლების რეალიზაცია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის თავისებურებიდან გამომდინარე, ცალსახად გამორიცხავს მოსარგებლის სარჩელის დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ შეგებებული სარჩელი არ დააკმაყოფილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე და 956-ე

მუხლების საფუძველზე.

ვინაიდან სასამართლო არ არის შებოჭილი მხარეთა სამართლებრივი მოსაზრებებით, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს ის საკითხი, თუ რამდენად სწორად გამოიყენა და განმარტა სააპელაციო სასამართლომ კანონი და რამდენად სწორად იქნა მისადაგებული სამართლის ნორმები საქმეზე დადგენილ გარემოებებთან.

უპირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ქ.თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს საერთო საკუთრების ობიექტს და მასზე აღიწხულია რამოდენიმე პირის (გ. ჯ-ის, დ. ს-ის, ლ. ვ-ის, ს. ი-ის და ს. გ-ას) ნილობრივი საკუთრება (იდეალური წილები). თანამესაკუთრებს შორის უძრავი ქონებით სარგებლობის წესზე რაიმე შეთანხმება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თითოეულ მონილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მონილეთა სარგებლობას. საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული მესაკუთრის უფლებები ასევე მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის წიგნში, კერძოდ, 173-ე მუხლით მონესრიგებული ისეთი საკითხები, როგორიცაა საერთო საკუთრების დაცვა, საერთო საკუთრების უფლებბრივი დატვირთვა, საერთო საკუთრების მოვლა და შენახვა, საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო საკუთრების რეჟიმზე ვრცელდება მესაკუთრის ისეთივე გარანტიები, როგორიც ეს დამახასიათებელია ინდივიდუალური საკუთრებისათვის, კერძოდ, ნივთის თავისუფლად ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება, მესამე პირთა მხრიდან დაუშვებელი ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნის უფლება და ა.შ. ძირითადი განსხვავება ინდივიდუალურ საკუთრებასა და საერთო საკუთრებას შორის არის ის, რომ საერთო საკუთრების შემთხვევაში, მესაკუთრე უფრო მეტად არის შეზღუდული კანონით, ვიდრე ინდივიდუალური საკუთრების შემთხვევაში. ამის ნათელი მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ. ასევე 959-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვითაც, თითოეულ მონილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად.

ისმის კითხვა: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას

წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მესაკუთრის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, აუცილებელია თუ არა ყველა მესაკუთრის მიერ სარჩელის აღძვრა, როდესაც სახეზეა საერთო საკუთრების რეჟიმი? თუკი ეს აუცილებელია, რომელი ნორმის ანალიზიდან გამომდინარეობს ამგვარი დასკვნა?

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად ვერ გამოდგება სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლი, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ განმარტა. აღნიშნული მუხლი ეხება საზიარო საგნის მართვას, რაც თავისი არსით ემსახურება საზიარო საგნის შენარჩუნებას სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში. რაც შეეხება 173-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმას, მითითებული ნორმა ითვალისწინებს მესამე პირებისათვის ქონების გამო მოთხოვნების არა მხოლოდ კოლექტიური წესით (ყველა თანამესაკუთრის თანხმობით) წარდგენის შესაძლებლობას, არამედ დამოუკიდებლადაც. 173-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო. აღნიშნული მუხლის მესამე წინადადების რეგულაცია – „ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ“, არ შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს მოცემული დავისათვის, ვინაიდან ს. ი-ის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სადავო სადგომზე კვლავ გავრცელდება ყველა თანამესაკუთრის უფლება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ერთობლივი პოზიციის არარსებობა ნაკლიანად აქცევს მესაკუთრის ნებას „გაისტუმროს“ მოსარგებლე, არ გამომდინარეობს ნორმათა სწორი განმარტებიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან დადგენილია თ.კ-ის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ს. ი-ის შეგებებული სარჩელი, თ. კ-ის დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ, მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ს. ი-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. თ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. ს. ი-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს.
5. ს. ი-ს თ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 11250 აშშ დოლარის გადახდა და ამ ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ თ. კ-ს შეუწყდეს თბილისში, ა-ის ქ. №6-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი ...) განთავსებულ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეპელი

პირადი უფლებების დაცვა	3; 15; 33
აუცილებელი გზა	37
რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია	55
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის	72
ნასყიდობის ფასის გადახდა	83
მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლება ნივთის ნაკლის გამო	92
ქირავნობის ხელშეკრულება	102
ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა	113
დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა	137
საკუთრების მინდობის ხელშეკრულება	149
თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა	162
უსაფუძვლო გამდიდრება	179
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები	193
საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები	206